ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლების და მეცნიერებათა ფაკულტეტი
ბიოლოგიის დეპარტამენტი

სოფიკო ცქვიტინიძე

„ტუბერკულოზის სენსიტიურ და რეზისტენტულ ფორმებთან სისხლის ჯგუფური ანტიგენების (ABO; Rh-Hr; MN; Kell) ასოცირების და დაავადებულთა ჰუმორული იმუნური სტატუსის შესწავლა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ პოპულაციებში“

ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია
სპეციალობით - ადამიანის პოპულაციების გენეტიკა

ხელმძღვანელები: პროფ. რ. ხუხუნაიშვილი
პროფ. კ. ვაჭარაძე

ბათუმი
2013

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი ---------- 4

ტერმინთა განმარტება---------- 10

თავი I. ლიტერატურული მიმოხილვა ---------- 12

I.1. ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგია, მისი კონტროლისა და პრევენციის თანამედროვე სტრატეგიები ---------- 12

I.2. ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგია საქართველოში ---------- 17

I.3. ტუბერკულოზის გამომწვევი - Mycobacterium tuberculosis ---------- 21

I.3.1. მიკობაქტერიის რეზისტენტობის განმაპირობებელი ფაქტორები---------- 24

I.4. რეზისტენტული ტუბერკულოზის გლობალური ეპიდემიოლოგია და ეტიოლოგია ---------- 26

1.5. მულტიფაქტორული დაავადებები და პოპულაციების გენეტიკური პოლიმორფიზმი ---------- 28

I.5.1 ერითროციტური ჯგუფური ანტიგენები და მათი ასოციაციური კავშირები სხვადასხვა ტიპის პათოლოგიებთან ---------- 32

I.6. ორგანიზმის იმუნური დაცვის მექანიზმები მიკობაქტერიის მიმართ განვითარებულ იმუნურ პასუხში ---------- 44

I.7. ტუბერკულოზი და *M. tuberculosis* მიმართ ორგანიზმის მგრძნობელობაში მონაწილე გენები ---------- 53

თავი II. კვლევის მასალა და მეთოდები---------- 62

II.1. კვლევის მასალა ---------- 62

II.2. კვლევის მეთოდები ---------- 63

II.2.1. იმუნოსეროლოგიური მეთოდები ---------- 63

II.2.2. ბიოსტატისტიკური ანალიზის მეთოდები ---------- 64

II.2.3. კვლევის მოლეკულურ-ბიოქიმიური მეთოდები---------- 66

II.2.4. იმუნოლოგიური ანალიზის მეთოდები ---------- 43

თავი III. კვლევის შედეგები ---------- 77

III.1. ფილტვის ტუბერკულოზის სენსიტიური და წამალრეზისტენტული ფორმებს ასოცირება AB0, Rh-Hr, Kell, MN სისტემის ერითროციტურ ჯგუფურ ანტიგენებთან ქართულ პოპულაციაში ---------- 77

III.1.1. სენსიტიური და წამალრეზისტენტული ტუბერკულოზის ასოცირება ერითროციტური ჯგუფური სისტემების (ABO, Rh, MN) ალელებთან საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანულ პოპულაციაში---------- 98

III.1.2. ერითროციტური ABO (r,p,q), Rh-Hr (RhD+,RhD-) და MN (p,q) ჯგუფური სისტემის ალელთა გავრცელების შედარებითი ანალიზი ტუბერკულოზით დაავადებულ ქართულ და აზერბაიჯანულ პოპულაციებში ---------- 105

III. 2. IgM, IgG და IgA დონე ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ პოპულაციაში ---------- 109

III.3. SLC11A1 გენის D543N ლოკუსის პოლიმორფიზმის შესწავლა ფილტვის ტუბერკულოზის წამალრეზისტენტული და სენსიტიური ფორმებით დაავადებულ პაციენტებში ---------- 121

დასკვნები ---------- 129

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 131

შესავალი

ტუბერკულოზი *Mycobacterium tuberculosis*-ის პათოგენური აგენტით გამოწვეული ინფექციური დაავადებაა, რომელიც უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე საზოგადოების ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. *M. tuberculosis* ინფექციური აგენტი მსოფლიოში ყოველწლიურად 2-3 მლნ ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდება, ხოლო მსოფლიო მოსახლეობის 1/3 ინფიცირებულია აღნიშნული პათოგენით და დაავადების კლინიკური განვითარების მუდმივი საფრთხის წინაშე დგას. ტუბერკულოზი განსაკუთრებით მწვავე პრობლემას წარმოადგენს განვითარებად ქვეყნებში. დაავადების შემთხვევების 95% აღმოსავლეთ აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე მოდის, მათ შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი სიხშირით – პოსტსაბჭოთა სივრცეზე, სადაც მოსახლეობის 55% ინფექციური აგენტის მატარებელია. ბოლო წლებში დაავადების შემთხვევათა მატების ტენდენცია გამოვლინდა ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, დასავლეთ ევროპისა და სკანდინავიის ქვეყნები.

ტუბერკულოზის პრობლემა მწვავედ დგას საქართველოშიც. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველო 27-ე ადგილზეა იმ ქვეყნებს შორის, სადაც დაავადების მაღალი პრევალენტობა ფიქსირდება. თუმცა, უკანასკნელი 10 წლის მონაცემებით, ტუბერკულოზის აღნიშნული მაჩვენებელი მეტ-ნაკლებად სტაბილურია ანტიტუბერკულოზური პროგრამების მოქმედების შედეგად. მაგრამ, საგანგაშო მდგომარეობას ქმნის წამლის მიმართ რეზისტენტული ტუბერკულოზის შემთხვევების ზრდა. სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს პირველადი რეზისტენტობის ახალ შემთხვევათა მაღალი მაჩვენებელი.

ტუბერკულოზი მულტიფაქტორულ დაავადებათა (მფდ) რიცხვს მიეკუთვნება. *M. Tuberculosis* ჩხირით ინფიცირების შემთხვევაში დაავადების კლინიკურ განვითარებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რომელთაგან აღსანიშნავია: ეკონომიკური მდგომარეობა (ცხოვრების დონე), ინდივიდის მგრძნობელობა ინფექციისადმი, ასაკი, კვების რაციონი, კოინფექციების არსებობა, ემოციური და ფიზიკური სტრესი, სამედიცინო მომსახურების დონე და ხელმისაწვდომობა,

ჰიგიენური პირობები, შესაძლოა, ინდივიდის სქესიც და აშ. თუმცა, ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანები ინფიცირდებიან, მაგრამ არ ავადდებიან ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების არსებობის შემთხვევაშიც კი. ამ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ დაავადება კლინიკური სახით ტუბერკულოზის ჩხირით ინფიცირებულთა 10%-ში ვითარდება, ხოლო 90% ინფექციის მატარებლად რჩება მთელი სიცოცხლის მანძილზე. ბოლო პერიოდის მეცნიერული კვლევების თანახმად (Ryu et al., 2000; Remus et al., 2004; Deglado et al., 2002; Li et at al., 2006; Takahashia et al., 2008; Tamaria et al., 2010; Tyagi et al., 2010), ტუბერკულოზის კლინიკურ განვითარებაში გარემო ფაქტორებთან ერთად არსებით როლს ასრულებს ინდივიდის გენეტიკური კონსტიტუცია, რომელიც განსაზღვრავს დაავადებისადმი სენსიბილობას ან მისდამი ორგანიზმის მდგრადობას.

ყოველ ცოცხალ ორგანიზმს გააჩნია თავისი ინდივიდუალური გენოტიპი, რომელიც კონკრეტულად მისთვის დამახასიათებელ გენთა ნაკრებს შეიცავს. გენომში არსებული ცალკეული გენი ან გენთა ჯგუფი პასუხისმგებელია ორგანიზმის განსაზღვრულ ნიშან-თვისებაზე. მათ შორის არის გენები, რომლებიც დაავადებათა მიმართ ორგანიზმის სენსიბილობას ან მდგრადობას განსაზღვრავს. აღნიშნულ გენებში მომხდარი, თუნდაც, ერთნუკლეოტიდიანი ცვლილება გენეტიკურ პოლიმორფიზმს განაპირობებს და პათოგენური აგენტების მიმართ ორგანიზმის განსხვავებული მგრძნობელობის საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, მულტიფაქტორული დაავადებების დიდი ნაწილი ეთნოსპეციფიკური წინასწარგანპირობებულობით ხასიათდება. ჩვეულებრივ, ადამიანთა ეთნიკური ჯგუფები გენთა შემადგენლობით ჭრელია, რაც დაავადებების გამოვლენის სიხშირით და მათი განმაპირობებელი ფაქტორების ვარიაბელობით გამოიხატება. ფიქსირდება დაავადებათა სენსიბილიზაციის განსხვავებული მაჩვენებლები, თუნდაც, ერთი და იგივე ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ პოპულაციებში. სწორედ ამიტომ, პოპულაციურ დონეზე, ხშირად, დაავადებათა მიმართ განსხვავებული მიდრეკილება იკვეთება. არის პოპულაციები, რომლებიც ადვილად ექვემდებარებიან რომელიმე კონკრეტულ დაავადებას, მაშინ, როცა სხვები ამ დაავადების მიმართ ბუნებრივი მდგრადობით გამორჩევიან.

ადამიანთა ეთნოტერიტორიული ჯგუფების ფორმირება შესაბამის საარსებო გარემო პიობებთან ურთიერთობაში ხანგრძლივი ევოლუციური პროცესის შედეგია და მათი გენოფონდის თანამედროვე სტრუქტურა ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ჩამოყალიბდა. ამ პროცესების საფუძველზე ეთნიკურ პოპულაციებში, ერთი მხრივ, ადგილი აქვს მფდ-ის გენური ლოკუსების ცვალებადობის ფართო დიაპაზონის ჩამოყალიბებას, მეორე მხრივ კი, იმ ჰაპლოტიპების სტრუქტურულ უნიკალობას, სადაც ესა თუ ის კონკრეტული გენია ლოკალიზებული. აქედან გამომდინარე, განსხვავებულ ეთნოსებში მფდ-ის გენები იმყოფება განსხვავებულ ალელურ მდგომარეობასა და გარემოცვაში, რაც გავლენას ახდენს კონკრეტული გენის ფენოტიპურ გამოვლენაზე და ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს დაავადების მიმართ წინასწარგანპირობებულობას. კვლევებით გამოვლენილი იქნა, რომ ეთნოსების გარკვეული ნაწილი მეტად სენსიბილურია ტუბერკულოზით დაავადების მიმართ, მაშინ, როცა სხვებს ჩამოყალიბებული აქვთ ე.წ. „პოპულაციური იმუნიტეტი“, რასაც იმ ალელების ევოლუციური გაცხრილვის პროცესით ხსნიან, რომლებთანაც მკაცრადაა ასოცირებული შესაბამისი დაავადებები.

დაავადებების წინასწარგანპირობებულობაში ჩართული გენების კვლევა წარმოებს, როგორც უშუალოდ გენის სტრუქტურის შესწავლით, ასევე მის მიერ მყარად დეტერმინირებული ფენოტიპური ნიშნებით. ერითროციტური ჯგუფური ანტიგენები ასეთ ფენოტიპურ ნიშანს წარმოადგენს. აღნიშნული ანტიგენებით დეტერმინირებული განსხვავებული ფენოტიპური ჯგუფები და, შესაბამისად, მათი იმუნოგენეტიკური ლოკუსები განსხვავებულად არიან მიდრეკილნი ამა თუ იმ დაავადების განვითარებისკენ, როგორც ინდივიდის, ისე ეთნიკური ჯგუფების დონეზე. ერითროციტური ჯგუფური სისტემების ანტიგენებისა თუ ჰაპლოტიპების კვლევისას ხშირად ვლინდება მათი კორელაცია სხვადასხვა ინფექციურ თუ არაინფექციურ დაავადებასთან.

ინფექციური დაავადების მიმდინარეობისას აქტიურადაა ჩართული ორგანიზმის იმუნური სისტემა. ტუბერკულოზის სხვადასხვა კლინიკური ფორმის დროს, ნამკურნალევ თუ პირველად პაციენტებში, სამკურნალწამლო პრეპარატების მიმართ სენსიტიურ და რეზისტენტულ ფორმებში ორგანიზმის იმუნური სისტემა განსხვავებულად რეაგირებს უჯრედული ან ჰუმორული იმუნური მექანიზმებით.

შესაბამისად, ორგანიზმის იმუნური სტატუსი განსხვავებულია. ინფორმაცია ორგანიზმის იმუნური სტატუსის შესახებ გენეტიკურ ფაქტორებთან ერთად სრულ სურათს იძლევა დაავადების რისკის შეფასებისა და დროული პრევენციული ღონისძიებების გატარებისთვის.

ინფექციური დაავადების განვითარებაზე პასუხისმგებელი გენების უმეტესი ნაწილი ჩართულია ორგანიზმის იმუნური დაცვის მექანიზმებში. დღეისათვის შესწავლილია ტუბერკულოზისადმი წინასწარგანპირობებულობის მრავალი გენი (SLC11A1, TLR, HLA, TNF-α, VDR, IL10, TGFβ, TGFβ და ა.შ.) და მათი პოლიმორფული ვარიაციების ასოციაციური კავშირები ტუბერკულოზის მიმართ მოსალოდნელობასა და დაავადებისადმი მდგრადობასთან. დაწყებულია რეზისტენტული ტუბერკულოზის გენეტიკური ასპექტების კვლევა. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იკვეთება ადამიანის ორგანიზმის გენეტიკური სტრუქტურის მნიშვნელობა წამლის მიმართ რეზისტენტული ტუბერკულოზისადმი ორგანიზმის მიდრეკილებასა თუ მდგრადობასთან მიმართებაში.

თემის აქტუალობა. ტუბერკულოზის გავრცელების მაღალი მაჩვენებელი საქართველოში დაავადების კონტროლის და პრევენციის ეფექტური ღონისძიებების გატარების აუცილებლობას განაპირობებს. ეს შესაძლებელია, მიღწეულ იქნეს, ერთი მხრივ, დაავადების კლინიკური მართვის მეთოდების სრულყოფით, მეორე მხრივ, პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავებით. დაავადებისადმი მიდრეკილი „მაღალი რისკის“ ჯგუფების გამოყოფა შემდგომში მათ მიმართ პრევენციული ზომების შემუშავების საფუძველს წარმოადგენს.

თანამედროვე გენეტიკისა და გენომიკის განვითარებასთან ერთად გაიზარდა პათოგენური პროცესების მართვის შესაძლებლობა. ერითროციტური ჯგუფური ანტიგენების, როგორც გენეტიკურად მყარი ნიშნის შესწავლა, ტუბერკულოზით დაავადებულებში ჯანსაღ დონორებთან მიმართებაში, შესაძლებელს ხდის, გამოიყოს დაავადებისადმი მიდრეკილი რისკ-ჯგუფები და მათ მიმართ განხორციელდეს პროფილაქტიკური ღონისძიებები. ტუბერკულოზთან ასოცირებული გენების (მათ შორის ეთნოსპეციფიკური) და მათი პოლიმორფული ვარიაციების გამოვლენა, აგრეთვე, რეციპიენტის იმუნური რეაქციის შესწავლა

ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების ძიების და ვაქცინაციის ახალი მიდგომების შემუშავების საშუალებას იძლევა.

აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ეთნიკური ჯგუფის თუ ორგანიზმის დააავადების მიმართ სენსიბილობის ან მდგრადობის წინასწარი პროგნოზირება, რაც, საბოლოო ჯამში, დაავადების უკეთ კონტროლის განხორციელების საშუალებას იძლევა.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური პოპულაციები ამ მიმართებით დღემდე არ იყო შესწავლილი.

კვლევის მიზანი. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის მიზანს წარმოადგენდა:

ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში გენეტიკურად დეტერმინირებული ფაქტორების – ერითროციტური ჯგუფური ანტიგენების გავრცელების თავისებურებების შესწავლა და მათთან დაავადების შესაძლო ასოციაციური კავშირების გამოვლენა;

ერითროციტური ჯუფური ანტიგენების მიხედვით ტუბერკულოზისადმი მგრძნობიარე ფენოტიპებისა და ალელების გამოყოფა და დაავადებისადმი მიდრეკილი მაღალი რისკ-ჯგუფების გამოვლენა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ (ქართული, აზერბაიჯანული) პოპულაციებში;

ორგანიზმში ტუბერკულოზის ინფექციური აგენტისადმი განვითარებული ჰუმორული იმუნური პასუხის შესწავლა ანტიტუბერკულინური სპეციფიკური თუ საერთო ანტისხეულების დონის გამოვლენის საფუძველზე დაავადების სხვადასხვა კლინიკური ფორმის დროს;

SLC11A1 გენის D543N ლოკუსის პოლიმორფიზმის შესწავლა ფილტვის ტუბერკულოზის სენსიტიური და რეზისტენტული ფორმით დაავადებულ ქართულ პოპულაციაში.

კვლევის ამოცანები:

- ერითროციტური ჯგუფური სისტემების (ABO, Rh, Kell, MN) ანტიგენების, ფენოტიპების, მათი განმსაზღვრელი ალელების და ჰაპლოტიპების გავრცელების

თავისებურებების შესწავლა ფილტვის ტუბერკულოზის სენსიტიურ და წამლის მიმართ რეზისტენტულ ფორმებში;

- ერითროციტური ჯგუფური სისტემების კორელაციური კავშირის გამოვლენა ფილტვის ტუბერკულოზთან და დაავადების მიმართ მაღალი რისკ-ჯგუფების გამოყოფა დაავადებულ ქართულ და აზერბაიჯანულ პოპულაციაში;
- ანტიტუბერკულინური იმუნოგლობულინების ჯამური და იმუნოგლობულინების (IgA+G+M) საერთო დონის შესწავლით დაავადებულთა ჰუმორული იმუნური სტატუსის შეფასება პირველად და ნამკურნალევ პაციენტებში, ფილტვის ტუბერკულოზის სენსიტიური, რეზისტენტული და განსხვავებული სიმძიმის კლინიკური (ინფილტრაციული, კეროვანი, ფიბრო-კავერნოზული) ფორმების დროს;
- ინფექციური დაავადების მიმართ ორგანიზმის ბუნებრივ რეზისტენ-ტობასთან ასოცირებული მაკროფაგული NRAMP1 ცილის მაკოდირებელი SLC11A1 გენის D543N ლოკუსის პოლიმორფიზმის შესწავლა ფილტვის ტუბერკულოზის სენსიტიურ და რეზისტენტულ ფორმებში.

ტერმინთა განმარტება

- **მფდ** – მულტიფაქტორული დაავადებები
- **ფტბ** – ფილტვის ტუბერკულოზი
- **BCG-** (Bacilli Camlet_Guerine) კამლეტ-გუერინის ვაქცინა
- **CFU** – (Colony Forming Unit) – კოლონია-წარმომქმნელი ერთეული
- **DOTS** – (Directly observed treatment, short course) მეთვალყურეობის ქვეშ
- **E -** ეთანბუტოლი
- **GWAS -** Genome-wide Association Study- გენომის მასშტაბის ასოსიაციური კვლევა
- **HLA-** (Human Leukocyte Antigen) ადამიანის ლეიკოციტური ანტიგენი
- **IL-** (Interleukin) ინტერლეიკინი
- **IFN γ** – (Interferon γ) ინტერფერონი-გამა
- **INH/H -** იზონიაზიდი
- **Ig**- (Immunoglobulin) - იმუნოგლობულინი
- **LAM** – (LipoArabinoManan) - ლიპოარაბინომანანი
- **MDR** TB -(multidrug-resistant Tuberculosis) –მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი
- **MHC**- (Major Histocompatibility Complex)- ჰისტოშეთავსებულობის მთავარი კომპლექსი
- **PAMP** – (Pathogen Assocciated Molecular patterns) -პათოგენთან ასოცირებულ მოლკულები
- **PAS – (**Para-Aminosalicylate Sodium) –პარა-ამინოსალიცილატის მარილი
- **PZA -** პირაზინამიდი
- **R –** რიფამპიცინი
- **S -** სტრეპტომიცინი
- **SLC11A1-** SoLute Carrier family 11 member 1 gene – ბუნებრივ რეზისტენტობასთან ასოცირებული მაკროფაგული ცილა-1-ის მაკოდირებელი გენი
- **SNP-** single nucleotide polimorfism – ერთნუკლეოტიდიანი პოლიმორფიზმი
- **TGFβ** -(Transforming Growth Factor β) -მატრანსფორმირებელი ზრდის ფაქტორი β

- **TLR**- (Toll Like Receptor) – ტოლის მსგავსი რეცეპტორი
- **TNF-α** - Tumor Necrosis Factor α – სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი-α
- **VDR** – Vitamin D Receptor – ვიტამინ D-ს რეცეპტორი
- **USAID** - United States Agency for International Development – აშშ-ს სერთაშორისო განვითარების სააგენტო

თავი I

ლიტერატურული მიმოხილვა

I .1. ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგია, მისი კონტროლისა და პრევენციის თანამედროვე სტრატეგიები

ტუბერკულოზი ანტიკური ხანიდან მომდინარე დაავადებაა, რომელიც ამ დროიდანვე იყო საზოგადოების ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა. *Mycobacterium tuberculosis*-ის გვარი 150 000 წლის წინ წარმოიშვა (Daniel., 2006). ძვ.წ.აღ.-ით დათარიღებული ეგვიპტისა და ანდების მუმიებში, ეგვიპტური და კოლუმბიური ხელოვნების ნიმუშებში ნაპოვნია ჩონჩხის ტიპური ტუბერკულოზური დეფორმაციები (Nerlich et al., 1997; Donoghue et al., 2004; Palomino et al., 2007). *Mycobacterium bovis*-ით გამოწვეული ტუბერკულოზური ანომალიები ჩვ.წ.აღ-მდე 8000 წლით დათარიღებულ ჩრდილო ევროპისა და აზიის ნამარხებშიც არის ნაპოვნი (Cosivi et al., 1995; Behera., 2010).

„ფთიზის“ (ფილტვების ანთება) პირველად დაახლოებით ძვ.წ.აღ-ით 60 წელს ბერძნულ ლიტერატურაში ჰიპოკრატეს მიერ იქნა მოხსენიებული, როგორც იმ დროისთვის ყველაზე გავრცელებული მომაკვდინებელი დაავადება. მე-17 საუკუნიდან ტუბერკულოზი ევროპაში „თეთრი ჭირი“-ს სახელით თითქმის ორი საუკუნე მძვინვარებდა. ამ პერიოდიდან დაიწყო დაავადების პათანატომიური შესწავლა. ტუბერკულოზით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელმა ძალიან მაღალ ნიშნულს 1650 წელს მიაღწია. პოპულაციების მაღალი სიმჭიდროვე, ცუდი სანიტარული მდგომარეობა, რომელიც იმ დროის ევროპისა და ჩრდილო ამერიკისთვის ტიპურ სურათს წარმოადგენდა, პათოგენის გავრცელებისთვის სრულყოფილ გარემოს ქმნიდა (Palomino et. Al., 2007).

სიმპტომების მრავალფეროვნების გამო ტუბერკულოზური დაავადების იდენტიფიკაცია მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ძალიან რთული იყო. შემდგომმა მეცნიერულმა აღმოჩენებმა დაავადების არა თუ იდენტიფიკაცია, არამედ მისი პრევალენტობის მაჩვენებლის შემცირება, გარკვეულწილად კონტროლი და

პრევენციული ღონისძიებების გატარებაც კი გახადა შესაძლებელი. 1882 წელს რობერტ კოხის მიერ იდენტიფიცირებული იქნა ინფექციური აგენტი, ხოლო 1921 წელს კამლეტისა და გუერინის მიერ გამოყოფილი იქნა ტუბერკულოზის ბაქტერიის სპეციფიკური, დაბალვირულენტური შტამი, რომელიც საფუძვლად დაედო BCG ვაქცინის შექმნას და მიუხედავად მისი არასაკმარისი ეფექტურობისა, იგი დღესაც ერთადერთი ტუბსაწინააღმდეგო ვაქცინაა. უკანასკნელ წლებში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ახალი ვაქცინის დიზაინზე (Montanes et al., 2011).

1895 წელს რენტგენის სხივების აღმოჩენამ შესაძლებელი გახადა სწორი დიაგნოსტირება. 1944 წლიდან დაიწყო ტუბსაწინააღმდეგო ქიმიოთერაპიის ერა, რომელიც უკავშირდება ვაქსმანის და სატზის მიერ ანტიბიოტიკ სტრეპტომიცინის მიგნებას სტრეპტომიცინის შემდეგ მედიცინა მივიდა იზონიაზიდამდე. ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატებით მკურნალობამ გარკვეულწილად შეამცირა ტუბერკულოზით ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი. იმ პერიოდისთვის მთელ რიგ ქვეყნებში რეალურად არსებობდა ტუბერკულოზის კონტროლის შესაძლებლობა, მაგრამ მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან მსოფლიოში კვლავ აღინიშნა ტუბერკულოზის შემთხვევათა მატება და დაავადების გლობალური შემოტევა. ტუბსაწინააღმდეგო წამლების მიმართ მიკობაქტერიის რეზისტენტული შტამების წარმოშობამ და გავრცელებამ არსებული პრობლემა კიდევ უფრო გააღრმავა (Palomino et al., 2007).

სადღეისოდ, ტუბერკულოზი, არა მარტო სამედიცინო, არამედ სხვა დარგების (გენეტიკური, იმუნოგენეტიკური, იმუნოლოგიური) კვლევების ფოკუსში მოექცა. თანამედროვე მეცნიერული კვლევებით ხდება დაავადების წინასწარ-განპირობებულობის შესწავლა მოლეკულური დონიდან ეთნიკურ-პოპულაციურ დონემდე. მეცნიერები ცდილობენ, მიაგნონ დაავადების პრევენციის და კონტროლის უკეთეს მექანიზმებს, ახალი ქიმიოთერაპიული მედიკამენტებისა და სრულყოფილი ვაქცინის შექმნის გზებს (Schulger & Rom, 1998; Casanova & Abel, 2002). აღნიშნული ძალზედ მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის უსაფრთხოების ორგანიზების, პროფილაქტიკის, დიაგნოსტირების, მკურნალობის და დაავადებასთან ბრძოლის პროგრამების შესამუშავებლად.

ყოველწლიურად ტუბერკულოზის ჩხირით მსოფლიოს მოსახლეობის 1/3 ინფიცირდება, ხოლო 2 მლნ. ადამიანი დაავადების მძიმე ფორმით იღუპება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მასალებით, ტუბერკულოზი გავრცელების მიხედვით მეშვიდე ადგილზეა, მის მიერ გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებლით კი – მეხუთეზე (WHO, 2012). დაავადებათა კონტროლის პროგრამების, ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების, პრევენციული ღონისძიებების მიუხედავად, ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგიური პროგნოზი საკმაოდ შემაშფოთებელია. მაგალითად, აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხვმა 50%-ს გადააჭარბა. მეცნიერების პროგნოზით, თუ დაავადების საწინააღმდეგოდ ინტენსიური ღონისძიებები არ იქნა გატარებული, არსებული მდგომარეობა 2020 წლისთვისაც შენარჩუნდება (Dye et al., 1999, Smith & Frieden, 2004; Dye et al., 2005). უფრო მეტიც, მომდევნო 20 წლის განმავლობაში ტუბერკულოზით მილიარდი ადამიანი დაავადდება, ხოლო ლეტალობის მაჩვენებელი 25 მლნ-მდე გაიზრდება. არსებული მდგომარეობით, ტუბერკულოზით დაავადებულთა 75% ეკონომიკურად პროდუქტიული (15-54 წლის) ასაკობრივი ჯგუფია, რომელშიც სიკვდილიანობის მაჩვენებელი მსოფლიო მასშტაბით 95%-ს აღწევს, მაქსიმალური სიხშირით შუა საჰარის აფრიკაში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ფიქსირდება (WHO, 2011; Tiemersma at al., 2011.).

ტუბერკულოზის მართვის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დიაგნოსტი-რების მეთოდების შერჩევა. განვითარებულ ქვეყნებში ამ მიზნით ბაქტერიული კულტურის მეთოდი (ოქროს სტანდარტი) და ეფექტური სადიაგნოსტიკო მოლეკულური ტესტები გამოიყენება. ჩამორჩენილ და განვითარებად ქვეყნებში ტუბერკულოზის გაკონტროლების შესაძლებლობას აფერხებს დიაგნოსტირების მოძველებული მეთოდები, რომელებიც ვერ იძლევა დაავადების ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას. შესაბამისად, მკურნალობა არაეფექტურია, რაც სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდაზეც აისახება (Tiemersma at al., 2011). არასწორი დიაგნოსტიკა და მკურნალობა მიკობაქტერიის რეზისტენტული შტამების გავრცელების ერთ-ერთ მიზეზად ითვლება.

WHO-ის მიერ ხორციელდება ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგიის შესწავლის, მისი მიმდინარეობის შეფასების, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების გლობალური კონტროლი. 2006 წლიდან ტუბერკულოზის შეფასების სამი მთავარი მაჩვენებელი გამოყენება: *ახალი შემთხვევა* (მიკობაქტერიით ინფიცირების ახალი შემთხვევები), *პრევალენტობა* (ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხობრივი მაჩვენებელი კონკრეტული პერიოდისათვის) და *ლეტალობა* (ტუბერკულოზით გამოწვეული სიკვდილიანობა დროის განსაზღვრულ პერიოდში, ძირითადად, ერთი წლის ფარგლებში). აღნიშნულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, ახალი „ეპიდემიის" წარმოშობის საშიშროების გამო ტუბერკულოზი გამოცხადდა „გლობალურ საფრთხედ", რის გამოც WHO ახორციელებს მიზანმიმართულ პროგრამებს „Stop TB Partnership - WHO Global Task Force on TB Impact Measurement"-ის ფარგლებში, რათა შემცირებული იქნეს ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლები 2015 წლისთვის. პროგრამაში ჩართულნი არიან წამყვანი ტექნიკური და ფინანსური პარტნიორები და ტუბერკულოზის მაღალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნები (Palomino et al., 2007). ტუბერკულოზის რეგიონულ დონეზე მართვის საქმეში აქტიურად გამოიყენება 1994 წლიდან WHO-ს მიერ რეკომენდებული პირდაპირი მეთვალყურეობით მკურნალობის - DOTS სტრატეგია.

WHO-ს მხარდაჭერით განხორციელებული ტუბერკულოზის კონტროლის თანამედროვე პროგრამების შედეგების მიხედვით, 2006 წლიდან რიგ ქვეყნებში აღინიშნა ტუბერკულოზის ახალ შემთხვევათა აბსოლუტური რიცხვის, ხოლო 2002 წლიდან - მისი სიხშირის (ყოველ 100,000 ინდივიდზე) 1.3%-ით კლება. გამონაკლისს წარმოადგენს აფრიკის რეგიონი. პარტნიორობის მიზანი ფაქტიურად მიღწეულია ამერიკის და წყნარი ოკეანის დასავლეთ რეგიონში. დაავადება რადიკალურად შემცირდა ჩინეთის რეგიონში (China Tuberculosis Control Collaboration, 1996). აღსანიშნავია, რომ 1990 წლის შემდეგ ლეტალობის მაჩვენებელიც (აივ-დადებითი შემთხვევების ლეტალური მაჩვენებლის გამორიცხვით) 1/3-თ შემცირდა და თუ აღნიშნული ტემპი შენარჩუნებული იქნება, „Stop TB Partnership's" მიზანი 2015 წლისთვის 50%-ით მიღწეულად ჩაითვლება (WHO/HTM/TB/2010; WHO,2011). ამავდროულად, WHO-ის მონაცემებით ჯერ კიდევ არსებობს ქვეყნები, სადაც ახალ შემთხვევათა რაოდენობა

ტუბერკულოზის პრევალენტობის 80% -ს აღწევს. ტუბერკულოზის ახალ შემთხვევათა რაოდენობა WHO-ის 2010 წლის მონაცემებით ნაჩვენებია რუკაზე (სურ.1).

ტუბერკულოზის ახალ შემთხვევათა, პრევალენტობის და ლეტალობის მაჩვენებლებზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს: სიღარიბის ზრდა, დემოგრაფიული ძვრები, პარალელური ინფექციები (პანდემური აივ) (Chretien et al, 1990; Chintu et al, 2005) და აშ. საგანგებო მდგომარეობას ქმნის, ასევე, მიკობაქტერიის რეზისტენტული შტამები (Haas et al., 1994; Fatkenheuer et al., 1999 Ballif et al., 2012).

დაავადების კონტროლის ორგანიზაციების ძალისხმევის, ანტიტუბერკულოზური პროგრამების განხორციელების, მკურნალობის კომბინირებული მეთოდების გამოყენების და მაღალეფექტური მედიკამენტების ხელმისაწვდომობის მიუხედავად, ტუბერკულოზი ჯერ ისევ რჩება გლობალურ საფრთხედ.



სურ 1. ტუბერკულოზის ახალ შემთხვევათა გავრცელების რუკა მსოფლიოს მასშტაბით (WHO.2010). ფერებით ნაჩვენებია ტბ-ის ახალ შემთხვევათა რაოდენობა ყოველ 100 000 მოსახლეზე

ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობას განსაკუთრებით ამწვავებს უკანასკნელ ათწლეულში გაზრდილი მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის (MDR-TB) შემთხვევები. 1994 წლიდან რიგ ქვეყნებში ტუბერკულოზური პაციენტების

5%-დან 19%-მდე ავადდება ახლადშეძენილი მულტირეზისტენტული მიკობაქტერიით. პრევალენტობა ყოველწლიურად 1.5 მლნ-ს (60%) აღწევს (Zignol M, 2011).

I.2. ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგია საქართველოში

ტუბერკულოზი საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, საზოგადოების ჯანმრთელობის საკმაოდ სერიოზული და საყურადღებო პრობლემაა. სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების მსგავსად, საქართველო ტუბერკულოზის პრევალენტობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა.

ტუბერკულოზის პირველი კვალი საქართველოში ჩვ.წ.აღ-ის VI-VII საუკუნეების ნამარხებშია აღმოჩენილი. ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში ტუბერკულოზი ანუ „ჭლექი" პირველად X საუკუნეში, კანანელის "უსწორო კარაბადინში", მოგვიანებით კი სხვა ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებშიც გვხვდება. აღნიშნულმა სენმა საუკუნეების განმავლობაში უამრავი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ტუბერკულოზთან ბრძოლის პირველი მცდელობა ქვეყანაში 1918-1921 წწ.-ში დაიწყო, შეიქმნა სამედიცინო სამეცნიერო და კვლევითი ცენტრები. 1970-1990 წწ. ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების შედეგად, საქართველოს რესპუბლიკაში ტუბერკულოზით ავადობა 56%-დან 28,3%-მდე შემცირდა, ხოლო ლეტალობა – 10,9% დან 4,91%-მდე.

1991-1994 წწ.-ში საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურმა მოვლენებმა, ჯანდაცვის სისტემის მოშლამ, სამოქალაქო ომმა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებმა, მოსახლეობის მძიმე სოციალურმა და ეკონომიკურმა პირობებმა, ასევე, მსოფლიო მასშტაბით ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგიური სიტუაციის დამძიმებამ გამოიწვია ავადობის ზრდა და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესება. ამ პერიოდში ტუბერკულოზთან ბრძოლის ღონისძიებები პრაქტიკულად არ ხორციელდებოდა, ინერციით გრძელდებოდა დაავადე-

ბულთა უსისტემო დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ყოველივე ამის შედეგად გაიზარდა დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობის და ახალ შემთხვევათა სიხშირე.

USAID-ის მონაცემებით, ტუბერკულოზის ახალ შემთხვევათა და პრევალენტობის მაჩვენებლის საგრძნობი მატება საქართველოში 2001 - 2005 წლებში დაფიქსირდა. განსაკუთრებით მაღალი სიხშირით გამოირჩეოდა შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, აჭარის, იმერეთის და სამეგრელოს რეგიონები. მაგალითად, 2001 წელს სამეგრელოში რეგისტრირებული იყო 670 პაციენტი, ხოლო 2005 წელს მათი რიცხვი 865-მდე გაიზარდა. იმერეთში 2001 წელს დაფიქსირდა 630, ხოლო 2005 წელს – 876 შემთხვევა. აჭარის რეგიონში ხუთი წლის განმავლობაში დაავადებული პაციენტების რაოდენობამ 496-დან 897-მდე მოიმატა. აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა ახალი შემთხვევების მაჩვენებელიც. მაგალითად, აჭარაში 2001 წელს ტუბერკულოზის 364 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა, 2005 წელს კი – 614. 2005 წელს საქართველოს ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა თითქმის უტოლდებოდა მაღალი მაჩვენებლის მქონე ცენტრალური აზიის რეგიონს (USAID, 2007).

2005 წლიდან საქართველოში ტუბერკულოზი შედარებით უფრო კოტროლირებადი გახდა, რასაც ხელი შეუწყო USAID-ის და WHO-ის მიერ განხორციელებულმა პროგრამებმა (მაგ., DOTS), რომელთა სტრატეგიულმა მუშაობამ მეტ-ნაკლებად გააუმჯობესა ტუბერკულოზთან ბრძოლის ღონისძიებები (Gegia M. et al. 2011). სადღეისოდ, დაავადება მეტ-ნაკლებად ექვემდებარება კონტროლს და ტუბერკულოზის პრევალენტობის მაჩვენებელიც შედარებით დასტაბილურებულია. აღნიშნული მდგომარეობა არ ვრცელდება საპყრობილეებზე, სადაც შეინიშნება დაავადების საგანგაშო ზრდა (Gegia M. et al. 2011).

საქართველოს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრიდან მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით, ტუბერკულოზის პრევალენტობისა და ახალ შემთხვევათა მაჩვენებელი პოპულაციის რიცხოვნობასთან შეფარდებით 2005-2010 წლებში ნაჩვენებია დიაგრამებზე (დიაგრ. 1-2):



დიაგრ. 1. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა 1996-2010 წლებში



დიაგრ. 2. საქართველოში ტუბერკულოზის პრევალენტობის და ახალ შემთხვევათა მაჩვენებელი 1996-2010 წლებში

მოცემულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ტუბერკულოზის პრევალენტობა საქართველოში მაქსიმალური სიხშირით 2002-2005 წწ. გამოვლინდა, ხოლო ახალ შემთხვევათა მატება აღინიშნა 2009-2010 წლებში.

ჯანმრთელობის გლობალური მართვის ორგანიზაციის (Global Health Policy, 2011) მონაცემებით, საქართველოში 2011 წლისათვის დაფიქსირდა ტუბერკულოზის 5400 ახალი შემთხვევა, ხოლო დაავადების პრევალენტობა 6900-ს შეადგენდა, რომ-ლის მაჩვენებელი ყოველ 100 000 მოსახლეზე, 159-ის ტოლია. ტუბერკულოზით

გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყოველ 100 000 მოსახლეზე 160-ს შეადგენს.

ევროპული რეგიონის მასშტაბით, საქართველო მეხუთე ქვეყანაა ტუბერკულოზის პრევალენტობის მაღალი მაჩვენებლით და 27-ზე მაღალი პრევალენტობის ქვეყნებს შორის (Gegia et al., 2011). ტუბერკულოზის კონტროლის გაძლიერების მიზნით, 2012 წლის სახელმწიფო პროგრამაში, დაავადებულთა მკურნალობის გარდა, გათვალისწინებულია ლატენტური ტუბერკულოზის მქონე მაღალი რისკის ჯგუფების ეპიდემიოლოგიური კვლევა და მკურნალობა. საქართველოში ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა და მკურნალობა დღეისათვის უფასო და ხელმისაწვდომია.

2012 წელს დაიგეგმა ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგიური კვლევების გაფართოვება, ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ხარისხის გაუმჯობესება და დაავადების დროულ გამოვლენასა და მკურნალობის ეფექტურობაზე მიმართული სხვა ღონისძიებები, რომელშიც ჩართულია ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი და რეგიონული მართვის დაწესებულებები. გარდა ამისა, WHO რეკომენდაციით, საქართველოში 1995 წლიდან მოქმედებს ტუბერკულოზთან ბრძოლის ეროვნული პროგრამა, რომლიც ეფუძნება DOTS სტრატეგიებს.

განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, დაავადების რისკით საქართველო კვლავ სერიოზული საფრთხის წინაშე მდგომ განვითარებად ქვეყნებს შორის მოიაზრება. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი წამალრეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზის საგრძნობლად გაზრდილი მაჩვენებელია, რომელსაც სხვადასხვა ტიპის მედიკამენტისადმი გამძლე მიკობაქტერიები იწვევს. მაგალითად, 2005 წელს 94 ახალი შემთხვევიდან (100 000 მოსახლეზე) მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის 6,8% პირველადი რეზისტენტობის, ხოლო 27,4% წარსულში ნამკურნალევი შემთხვევები შეადგენდა (Mdivani et al, 2009; Gegia et al, 2011).

განსაკუთრებულ საფრთხეს საზოგადოებაში მიკობაქტერიის რეზისტენტული შტამების გავრცელება ქმნის. ასეთი შტამით ინფიცირების შემთხვევაში პაციენტი პირდაპირ რეზისტენტული ტუბერკულოზით ხდება ავად. როგორც მე-3 დიაგრამიდან ჩანს, საქართველოს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა

ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2009-2010 წწ.-ში მკვეთრად მოიმატა პირველადი რეზისტენტობის ახალ შემთხვევათა რაოდენობამ.



დიაგრ. 3. საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის ახალ და ნამკურნალევ შემთხვევათა მაჩვენებელი 2006-2010 წლებში (საქართველოს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი)

მდგომარეობას ამძიმებს ის ფაქტი, რომ პირველადი რეზისტენტობის დროს მიკობაქტერიების შტამები განსხვავებულ მდგრადობას ავლენენ სხვადასხვა ანტიტუბერკულოზური მედიკამენტის მიმართ, რაც კიდევ უფრო ართულებს სამკურნალო პრეპარატების ეფექტურობას რეზისტენტული ტუბერკულოზის სრულყოფილი მკურნალობისთვის.

I .3. ტუბერკულოზის გამომწვევი -*Mycobacterium tuberculosis*

M. tuberculosis და მასთან მონათესავე კოლონიები წარმოიშვა რამდენიმე ათეული ათასი წლის წინ აღმოსავლეთ აფრიკაში და შემდგომში ევოლუციურად გამოეყო თავის წინაპარ სახეობას და ჩამოყალიბდა, როგორც *M. tuberculosis* კოლონია. *M. tuberculosis* -ის წინაპრები 3 მლნ წლისაა (Gutierrez et al., 2005).

მიკობაქტერიების უმრავლესობა არატუბერკულოზური ანუ ატიპური, არაპათოგენური მიკობაქტერიებია. მათი რამდენიმე სახეობა ადამიანისა და ცხოველების უჯრედშიდა პათოგენია (*M. tuberculosis,* M. *canettii M. africanum,* და *M. bovis, M. Microti). M. tuberkulosis, M. africanum* *და* *M. bovis* მიკობაქტერიები ცნობილია, როგორც „ტუბერკულოზის კომპლექსი", რომლის თითოეული წევრი პათოგენურია და იწვევს დაავადებას. *M.africanum-ის* შტამი ძირითადად დასავლეთ აფრიკაში გვხვდება. *M.bovis* ტუბერკულოზის განვითარებას იწვევს შინაურ და გარეულ მსხვილფეხა საქონელში. იშვიათად, აუდუღარი ან არაპასტერიზებული რძის მიღების შედეგად ის შეიძლება ადამიანსაც გადაეცეს. აღნიშნული სახეობა, სავარაუდოდ, *M. tuberculosis* წინაპარია. ვარაუდობენ, რომ ამ გზით პირველად ინდო-ევროპელები დაინფიცირდნენ, აქედან დაავადება დასავლეთ ევროპასა და აზიაში გადავიდა, ხოლო ჩვ.წ.აღ-მდე 1000 წლისთვის მთელს მსოფლიოში გავრცელდა.

M. Tuberculosis 1,5–6მკმ სიგრძის და 0,2–0,5მკმ სისქის მოხრილი ფორმის ბაქტერიაა, რომელიც პათოლოგიურ მასალაში გროვებს ქმნის. იგი დაცულია უნიკალური, ლიპიდებით მდიდარი უჯრედული კედლით, რომელშიც უხვადაა ცხიმოვანი მჟავები და გლიკოლიპიდები, რაც გამოშრობისა და ქიმიური აგენტების მოქმედებისგან იცავს. მსგავსი შედგენლობის მემბრანა ბაცილას საშუალებას აძლევს, ანტიმიკრობული დამცველობითი მექანიზმების მოქმედებისაგან თავი გადაირჩინოს და რეციპიენტ ორგანიზმში გამრავლდეს (Hingley-Wilson et al, 2003; Zahrt,2003; Rom & Garay, 2003; Rom & Garay, 2004). *M. tuberculosis* გრამ-რეზისტენტული აერობია და ძალიან ნელა იზრდება (მათი რიცხვის გაორმაგებას საშუალოდ 20 სთ სჭირდება). ფილტვების ბნელი, ჟანგბადით მდიდარი არე და 37°C ტემპერატურა ბაცილის გამრავლებისათვის იდეალური გარემოა. იგი სწრაფად იშლება ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით, მაგრამ მდგრადია სხვადასხვა ფიზიკური და ქიმიური აგენტებისადმი. ბაქტერია 5–6 თვის განმავლობაში ინარჩუნებს სიცო-ცხლისუნარიანობას თხევად ნახველში. ასევე, რამდენიმე თვის განმავლობაში სიცოცლისუნარიანი რჩება გამომშრალ მდგომარეობაში და ინარჩუნებს ვირულენტობას. ხელსაყრელ გარემო პირობებში მოხვედრისას ავლენს პათოგენურ აქტივობას.

M.tuberculosis, ჩვეულებრივ, აზიანებს ფილტვებს (ფილტვის ტუბერკულოზი) და სხვა ორგანოებს (ფილტვგარე ტუბერკულოზი – თავის ტვინის გარსები, ძვლები, სახსრები, თირკმლები, შარდის ბუშტი). დაავადება კონტაგიოზურია.

M.tuberculosis-ით ინფიცირებულთა 90% შემთხვევაში ბაქტერია რჩება ლატენტურ ფაზაში, მხოლოდ 10%-ში აღინიშნება დაავადების კლინიკური განვითარება. პირველადი ინფიცირების შედეგად ყალიბდება ნაწილობრივი იმუნიტეტი, თუმცა, მასიური ინფექციის ან იმუნოსუპრესიის არსებობის პირობებში იმუნიტეტი ვერ უზრუნველყოფს დაავადების პრევენციას და იგი გადადის აქტიურ ფაზაში. პირველად ტუბერკულოზურ კერაში არსებული მიკობაქტერიები იწყებენ ინტენსიურ გამრავლებას, კერა მოცულობაში მატულობს, შეიძლება შემდგომში ქსოვილი დაირღვეს და დაშლილი ქსოვილის ადგილზე ჩამოყალიბდეს ღრუ. პირველადი კერიდან მიკობაქტერიები სისხლის ნაკადის მეშვეობით შეიძლება მოხვდნენ სხვადასხვა ორგანოში, სადაც, ასევე, ვითარდება ტუბერკულოზური პროცესი (Kochar et.al., 2011).

დაავადების ღია ფორმის (მგბ+) დროს ავადმყოფი ხველის, ცემინების ან საუბრის დროს საშუალოდ 10-15 ადამიანს აინფიცირებს. ჯანმრთელი ადამიანის იმუნური სისტემა, ან ხოცავს ტუბერკულოზის ბაცილებს, ან "აკონსერვებს" წლების განმავლობაში (Kochar et.al. 2011).

ტუბერკულოზის მიმართ მღალი რისკის ქვეშ არიან დაავადებულთა ოჯახის წევრები, ღარიბი, უსახლკარო, საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებნი, განსაკუთრებით - პატიმრები; პარალელური დაავადებების (სიმსივნე, დიაბეტი, შიდსი) მქონენი, ექიმები და ჯანდაცვის სხვა მომსახურე პერსონალი; ასევე, ადამიანები, რომლებიც ინფექციური დაავადებებისადმი მაღალი მგრძნობელობის იმუნოგენეტიკურ ფაქტორებს ატარებენ.

დაავადების მკურნალობა საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია. თუ მკურნალობა უწყვეტად და, ამასთანავე, ერთდროულად რამდენიმე ანტიტუბერკულოზური პრეპარატით მიმდინარეობს, შესაძლებელია პირველადი ტუბერკულოზით დაავადებული თითქმის ყველა პაციენტის გამოჯანმრთელება. შეწყვეტილი მკურნალობა, ხშირად, ინფექციის რეციდიულ ფორმას იწვევს და ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის ჩამოყალიბებას

განაპირობებს, რაც არც თუ იშვიათად უკონტროლო პროცესებში გადადის და ლეტალური შედეგით სრულდება.

1.3.1. *მიკობაქტერიის რეზისტენტობის განმაპირობებელი ფაქტორები*

ანტიბიოტიკებით ტუბერკულოზის არასათანადო მკურნალობის ან მისი შეწყვეტისას მიკობაქტერიაში მომხდარი გენური მუტაციები, ხშირად, სხვადასხვა სახის მედიკამენტისადმი რეზისტენტობას იწვევს. კონკრეტული წამლის მიმართ რეზისტენტობას მეტწილად ბაქტერიაში მომხდარი სპონტანური მუტაციები განაპირობებს, რომელთა სიხშირე 10^{-6}-დან 10^{-8}-მდე მერყეობს რომელიმე ერთი წამლის მიმართ, ხოლო ერთზე მეტი წამლის მიმართ რეზისტნტობისას მუტაციათა სიხშირე 10^{12}-10^{16} მიკრობულ უჯრედს შეადგენს (Palomino et al., 2007). უტაციები, შესაძლოა, გამოწვეული იყოს რეპლიკაციის დროს მომხდარი გენეტიკური სტრუქტურის ისეთი ცვლილებით, რომლის გავლენით ბაქტერიამ შეიძლება დაკარგოს ადეკვატურობა ანტიტუბერკულოზური მედიკამენტის მიმართ. მიკობაქტერიის პოპულაციაში მუდმივად მიმდინარე ტრანსმისიები რეზისტენტობის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი წყარო ხდება (Bartu et al., 2007).

რეზისტენტობის გამომწვევი კლასიკური მექანიზმის მიხედვით, მუტაცია ხდება მიკობაქტერიის გენის იმ ნაწილში, რომელიც აკოდირებს წამლის სამიზნე ლიგანდებს. მუტაცია ახდენს იმ ფერმენტების ინჰიბირებას, რომლებიც პასუხისმგებელია წამლის სამიზნე რეცეპტორების ჩამოყალიბებაზე. ფაქტობრივად, აღნიშნული მუტაციები ამცირებს წამლის შესაძლებლობას, იპოვოს და დაუკავშირდეს სამიზნეებს მიკობაქტერიაში.

სხვა ტიპის მუტაციების დროს კი, პირიქით, მატულობს წამლის სამიზნე ლიგანდები. ბაქტერიის ზედაპირზე ყალიბდება უფრო მეტი ლიგანდი, ვიდრე ეს წამლითაა შესაძლებელი. ზოგიერთი მედიკამენტი, მაგალითად, იზონიაზიდი (INH) და პირაზინამიდი (PZA) ბაქტერიის უჯრედში შედის, როგორც პროწამალი, რომელსაც გააქტიურებისთვის სჭირდება ბაქტერიული ფერმენტი. აქედან გამომდინარე, ნების-

მიერი მუტაცია, რომელიც თრგუნავს აღნიშნული ფერმენტის სინთეზს, თავისთავად ბლოკავს წამლის აქტივობას და საბოლოო ჯამში ყალიბდება რეზისტენტობა.

მიკობაქტერიის რეზისტენტობის მიზეზი შესაძლოა იყოს ისეთი ტიპის მუტაციებიც, რომლებიც ამცირებენ წამლის აკუმულაციას ბაქტერიის შიგნით. ეს შესაძლებელია ბაქტერიაში წამლის განვლადობის შემცირებით ან ბაქტერიიდან მისი გამოსვლის აჩქარებით. საბოლოოდ, რეზისტენტობა შეიძლება პრეპარატის ქიმიური მოდიფიცირებით და ინაქტივირებით განვითარდეს (Bastian & Portales, 2000).

პოლი- და მულტირეზისტენტობის გამომწვევი მუტაციები ხდება არა ერთ რომელიმე გენურ ლოკუსში, არამედ – რამდენიმეში ერთად.

ამჟამად ცნობილია რეზისტენტობის განმაპირობებელი მუტაციური საიტები. მაგალითად, *rpsL* (STM-სტრეპტომიცინის სამიზნე) *rpoB* (RIF-რიფამპიცინის სამიზნე) ან 16S რიბოსომულ რნმ-ში (KAN კანამიცინის, AMK ამიკაცინის და 2-დეოქსისტრეპ-ტამინ ამინოგლიკოზიდების სამიზნე) მომხდარი მუტაციები ასოცირდება რეზისტენტობის მაღალ დონესთან, ხოლო *gldB* (STM-სტრეპტომიცინის სამიზნე) *eis (*KAN კანამიცინის სამიზნე) და *inhA* (INH იზონიაზიდის სამიზნე) გენებში მომხდარი მუტაციები ასოცირდება რეზისტენტობის შედარებით დაბალ დონესთან. ზოგჯერ, ერთი წამლის მიმართ რეზისტენტობა, შესაძლოა, გამოწვეული იყოს მრავალი გენის ერთობლივი გარდაქმნებით ან კიდევ პირიქით, შესაძლოა, ერთი და იგივე გენის სხვადასხვა ლოკუსში მომხდარი მრავლობითი გარდაქმნებით (Bottger, 2011).

მოლეკულურ დონეზე მუტაციების დადგენას სპეციალური ტექნიკის გამოყენებით ახდენენ. ეს მეთოდები საკმაოდ სენსიტიური, სპეციფიკური და სწრა-ფია და მისი საშუალებით შესაძლებელია ჩანაცვლებული იქნეს ბაქტერიოლოგიუ-რი ტესტირების მეთოდი. ამავდროულად, ტესტის საიმედოობას მუტაციის იდენტიფიკა-ციის სიზუსტეც განაპირობებს (Lee et al., 2000; Goh et al., 2006; Bottger, 2011).

რეზისტენტობა, შესაძლოა, იყოს ბუნებრივი ანუ პირველადი ან შეძენილი ანუ მეორადი, რაც მეტწილად პაციენტის ანამნეზით დგინდება. შეძენილ და ბუნებრივ რეზისტენტობებს შორის თანაფარდობა არათანაბარია (Bastain & Portales, 2000). რეზისტენტობის განვითარების თავიდან აცილების საუკეთესო გზა კარგად დაგეგმილი

პირველი რიგის მკურნალობაა. ასევე, მნიშვნელოვანია პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება ტუბერკულოზისადმი მაღალი რისკის ჯგუფებში.

I .4. რეზისტენტული ტუბერკულოზის გლობალური ეპიდემიოლოგია და ეტიოლოგია

ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობა დოკუმენტურად 1940 წლიდან დაფიქსირდა, ხოლო პრობლემის მონიტორინგი მხოლოდ 1994 წლიდან დაიწყო, როდესაც რეზისტენტობის პრობლემამ გლობალური სახე მიიღო. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუარესება, გარკვეულწილად, წამალრეზისტენტული ფორმის გავრცელებას უკავშირდება. დაავადებამ სამხრეთ აფრიკაში იფეთქა აივ-ის ვირუსის ფონზე, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სიკვდილიანობის მაჩვენებელი (Zignol et al, 2011).

წამალრეზისტენტული ტუბერკულოზის (DR-TB) გამომწვევია *M. tuberculosis*, რომელიც მდგრადია ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტების მიმართ. იმისდა მიხედვით, თუ რომელი რიგის და რა ტიპის წამლების მიმართაა მიკობაქტერია რეზისტენტული, გამოყოფენ ტუბერკულოზის მონო-, პოლი- და მულტირეზისტენტულ ფორმებს.

ტუბერკულოზის სამკურნალოდ გამოიყენება I რიგის (ეთანბუტოლი (EMB/E, იზონიაზიდი (INH/ H), პირაზინამიდი (PZA/Z)) და II რიგის წამლები (ამინოგლიკოზიდები: ამიკაცინი (AMK), კანამიცინი (KM); პოლიპეპტიდები: კაპრეომიცინი, ვიომიცინი, ენვიომიცინი; ფლუოროქინოლები: ციპროფლოქსაცინი (CIP), ლევოფლოქსაცინი (MXF); თიოამიდები: ეთიონამიდი, პროთიონამიდი).

როცა მიკობაქტერია გამძლეა ორი ან მეტი ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტის მიმართ, მაგრამ არა ერთდროულად იზონიაზიდის და რიფამპიცინის მიმართ, პოლირეზისტენტულ ტუბერკულოზად (PDR-TB) იწოდება. მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის (MDR-TB) – დაავადების გამომწვევი მიკობაქტერია გამძლეა, მინიმუმ, იზონიაზიდის და რიფამპიცინის მიმართ. თუ პაციენტი რეზისტენტულია პირველი

რიგის წამლების მიმართ, მათ მკურნალობენ მეორე რიგის წამლებით, რომლებიც საკმაოდ ძვირადღირებულია, ახასიათებს გაცილებით მეტი გვერდითი ეფექტი და მოითხოვს ხანგრძლივ მკურნალობას. რეზისტენტული ტუბერკულოზის უმძიმესი ფორმაა ექსტენსიური ტუბერკულოზი (XDR-TB), რომლის გამომწვევი მიკობაქტერია გამძლეა იზონიაზიდინის და რიფამპიცინის, ფლუოროქინოლების ჯგუფის მედიკამენტების და, თუნდაც, ერთი საინექციო მედიკამენტების (კანამიცინი, ამიკაცინი, კაპრეომიცინი) მიმართ (Floyd., 2003; Smith., 2003; WHO, 2005).

მედიკამენტებისადმი რეზისტენტობა შეიძლება ბუნებრივი ან შეძენილი იყოს. მუტაციები, რომლებიც იწვევს ბუნებრივ რეზისტენტობას, ოთხივე პირველი რიგის ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტის მიმართ, განსაზღვრული ალბათობით ხდება არანამკურნალევ ადამიანებში H–10^{-6}; S–10^{-6}; E–10^{-6}; R–10^{-8}. ხოლო ორი დამოუკიდებელი მედიკამენტის მიმართ რეზისტენტობის განვითარების ალბათობა, მაგალითად, H+R შემთხვევაში შეადგენს 10^{-6} X 10^{-8}=10^{-14}. იმის გამო, რომ ბაქტერიების რაოდენობა, მძიმე კავერნოზული ფორმის დროსაც კი იშვიათად აღწევს 10^{-14} მულტირეზისტენტული ბაქტერიის სპონტანური ევოლუცია ძალიან იშვიათია. შეძენილი (მეორადი) რეზისტენტობა ვითარდება ტუბერკულოზის მკურნალობისას, როცა მკურნალობის ზემოქმედებით ხდება ბაქტერიების მუტანტური ფორმების სელექცია (Long, 2000). რეზისტენტობის ხშირი მიზეზია მკურნალობაზე პაციენტის ცუდი დამყოლობა ან არასრულფასოვანი რეჟიმი (გაიდლაინი, 2007).

მულტირეზისტენტობა სერიოზული პრობლემაა აღმოსავლეთ ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებისთვის. WHO-ს მონაცემებით, რეზისტენტული ტუბერკულოზით 2008 წელს გარდაიცვალა 150 000 ადამიანი. 2010 წლისთვის მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის 650 000 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა (WHO 2011/2012).

ვარაუდებენ, რომ მულტირეზისტენტული ტუბერკულოზით გამოწვეული ლეტალობის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს ოფიციალურად არის ცნობილი. სტატისტიკური მონაცემების სიზუსტეს ეჭვქვეშ აყენებს ის ფაქტი, რომ ტუბერკულოზური პაციენტების ძალიან დიდ ნაწილს არა აქვს დიაგნოზის სწორად

დასმის შესაძლებლობა თანამედროვე სადიაგნოსტიკო ლაბორატორიების არარსებობის ან არასაკმარისობის გამო (Bastain & Portales, 2000; Zignol et al, 2011).

რეზისტენტული ტუბერკულოზის პრობლემა მწვავედ დგას საქართველოშიც. ქვეყანაში მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მაჩვენებელმა 1995-1996 წლებში ახალ შემთხვევათა 23-25%-ს მიაღწია, ხოლო ნამკურნალევ შემთხვევებში – 39%-ს. 2003 წლის მონაცემებით, ახალ შემთხვევათა 15%-ში და ნამკურნალევი შემთხვევების 23%-ში დაფიქსირდა დაავადების მულტირეზისტენტული ფორმა (Zalesky et, al., 1999). 2005 წელს ყოველ 100 000 მოსახლეზე დაფიქსირდა ტუბერკულოზის 94 შემთხვევა, სადაც ახალი შემთხვევების 6.8% და წარსულში ნამკურნალევი შემთხვევების 27.4% მულტირეზისტენტულ ტუბერკულოზზე მოდიოდა (გაიდლაინი, 2007). 2009 წელს მულტირეზისტენტული ფორმამ ტუბერკულოზის პრევალენტობის საერთო მაჩვენებლის 28,1% შეადგინა, რომლის 10,5% პირველად რეზისტენტობაზე მოდის, 53,1% კი – ნამკურნალევ შემთხვევებზე (Mdivani et al.,2009).

რეზისტენტული შტამების ფართოდ გავრცელების საშიშროება მსოფლიოში მოითხოვს ტუბერკულოზის დამატებითი კონტროლის მექანიზმების ამოქმედებას, დიაგნოსტირების ახალი მეთოდების შექმნას და დანერგვას, არსებული ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების გაუმჯობესებას (Palomino et al., 2007).

1.5. მულტიფაქტორული დაავადებები და პოპულაციების გენეტიკური პოლიმორფიზმი

ევოლუციური განვითარების პროცესში ადამიანთა პოპულაციები სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედების ქვეშ, გარკვეულწილად, „გენეტიკურად ერთმანეთს ემიჯნებოდნენ“ და იძენდნენ ინდივიდუალობას. ამავდროულად, მათ შორის მუდმივად მიმდინარეობდა გენების გაცვლა, რაც თავის მხრივ, საერთო გენეტიკური ნიშნების ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს. ადამიანი, როგორც ბიოლოგიური სახეობა, იმდენად

ახალგაზრდაა, რომ არც ერთ მის პოპულაციას არ გააჩნია დროის ისეთი მარაგი, რაც მათ სრულ იზოლაციას უზრუნველყოფდა (Степанов, 2010).

ეთნიკური პოპულაციების გენოფონდი მასში შემავალი გენების დონეზე ინახავს ინფორმაციას ყველა იმ მნიშვნელოვანი პროცესის შესახებ, რომლებიც ეთნოსმა ისტორიული განვითარების პროცესში გადაიტანა (Cavalli-Sforza., 1998). პოპულაციის გენოფონდში გენების და მათი ალელების მრავალფეროვნება პოპულაციურ პოლიმორფიზმს ქმნის. პოლიმორფული ვარიაციების (გენო- თუ ფენოტიპური) წონასწორობა, რომელიც ჩამოყალიბდა გენთა ნაკადებისა და ბუნებრივი გადარჩევის მოქმედებით, ინდივიდუალობას სძენს ყოველ პოპულაციას.

პოპულაციათა პოლიმორფიზმის ინდივიდუალობა ხშირად დაავადებათა მიმართ განსხვავებულ მგრძნობელობაში ვლინდება (Conrad et al., 2010). არსებობს პოპულაციები, რომლებიც მეტად ექვემდებარებიან რომელიმე კონკრეტულ დაავადებას, მაშინ, როცა სხვები მის მიმართ მდგრადობით გამოირჩევიან. ეს ფაქტი განსაკუთრებით კარგად ჩანს მულტიფაქტორულ დაავადებებთან მიმართებაში (დიასამიძე, 2008; Conrad et al., 2010). დაავადებათა მიმართ პოპულაციების განსხვავებული მგრძნობელობა ზოგჯერ პოპულაციათა ლოკალური ადაპტაციებითაც აიხსნება (Cheboksari et al., 2006).

ცნობილია, რომ ხშირად დაავადებისადმი მდგრადობა თუ სენსიბილობა დამოკიდებულია გენომში არა ერთი რომელიმე კონკრეტული გენის არსებობაზე, არამედ - რამდენიმეზე ერთად. დაავადებათა მრავალი ფაქტორით განპირობებულობის გამო, მათ მიმართ მემკვიდრული მიდრეკილება მაღალი ვარიაბელობით ხასიათდება და იგი პირდაპირ კავშირშია პოპულაციური პოლიმორფიზმის სიძლიერესთან (Степанов, 2010). მფდ-სადმი პოპულაციათა განსხვავებული მიდრეკილება ნაჩვენებია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების (Voevoda et al., 2006; Wassel et al.,2009), დიაბეტის (Karter et al., 2002), ზოგიერთი ტიპის სიმსივნის (Shibata et al., 1997), გლაუკომის (Tielsch et al.,1991), ნეფროპათიების (Tarver-Carr et al., 2002) და მრავალი სხვა დაავადების მიმართ.

თითქმის საუკუნეა, რაც აღიარებულია, რომ ტუბერკულოზის მიმართ მგრძნობელობა განსხვავებულია, როგორც რასების, ასევე პოპულაციების დონეზე

(Millar, 1908). მეცნიერები მიიჩნევენ, რომ პოპულაციის მდგრადობა ტუბერკულოზის მიმართ განისაზღვრება პოპულაციის „კლინიკური“ ისტორიით (Stead., 1992). ზოგადად, მსოფლიოს შავკანიანი პოპულაცია ტუბერკულოზისადმი მაღალი მგრძნობელობით გამოირჩევა, ვიდრე ევროპელები, რაც შესაძლოა, აიხსნას იმით, რომ ევროპის რეგიონისთვის ტუბერკულოზი ენდემურია და ბევრად დიდი ხნის ისტორია აქვს, როგორც გადამრჩევ ევოლუციურ ფაქტორს (Dubos & Dubos, 1952), ხოლო შავკანიან მოსახლეობაში დაავადების (განსაკუთრებით დაავადების მძიმე ფორმების) მაღალი სიხშირე ტუბერკულოზის მიმართ აღნიშნული რასის მაღალ მგრძნობელობაზე მიუთითებს (Bellamy et al.,1998). სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების აზრით, ტუბერკულოზის მიმართ რასობრივი განსხვავებები გარემო ფაქტორებით განისაზღვრება, მაგრამ მრავალი ფაქტი ადასტურებს დაავადებისადმი გენეტიკურ წინასწარგანპირობებულობასაც. სტიდისა და მისი თანამშრომლების (Stead et al., 1990) მიერ დაფიქსირდა, რომ საერთო საცხოვრებლის 25000 ტუბერკულინ-უარყოფით მობინადრეს შორის შავკანიანები ორჯერ მეტი სიხშირით დაინფიცირდნენ ტუბერკულოზით, ვიდრე თეთრკანიანები, რომლებიც იგივე გარემოში ცხოვრობდნენ. აღნიშნული ფაქტი აშკარად მეტყველებს, რომ ტუბერ-კულოზისადმი ორგანიზმის მგრძნობელობაზე გენეტიკურ ფაქტორებს გარკვეული როლი აკისრიათ.

დაავადებათა მიმართ პოპულაციების განსხვავებული მგრძნობელობა (მიდრეკილება თუ მდგრადობა) გარკვეულწილად ალელთა გარემოცვაზეც არის დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, დაავადებების მიმართ პოპულაციის მემკვიდრულ წინასწარგანპირობებულობას პოპულაციის მთლიანი გენეტიკური სტრუქტურა განსაზღვრავს (Cavalli-Sforza, 1998; Степанов, 2010).

ეთნო-გენეტიკური დივერგენციის და მრავალფეროვნების მსგავსება- განსხვავების შესწავლა ეთნიკურ ჯგუფებში და პოპულაციებში 1950 წლიდან დაიწყო ცილოვანი მარკერების გამოყენებით (Cavalli-Sforza, 1971; Mourant et al., 1976). მოგვიანებით ამ მიზნით გენეტიკური მარკერების გამოყენება დაიწყეს. დაგროვილი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ეთნოგენეტიკა ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბდა (Underhill et al., 2000). უკანასკნელ წლებში კი პოპულაციების ვარიაბელობის შესწავლა და

დაავადებებთან მათი ასოციაციური კავშირების გამოვლენა დნმ-ის ერთნუკლეოტიდიანი ცვლილებების პოლიმორფიზმის (SNP) დონეზე ხდება. თანამედროვე ტექნიკა, ასევე, საშუალებას იძლევა გენომის სექვენირების საფუძველზე GWAS-მეთოდით შესწავლილ იქნეს მთელი პოპულაციის გენოფონდი (Novembre et al., 2008; Auton et al., 2009).

ადამიანის პოპულაციებს შორის გენეტიკური განსხვავება გენეტიკური ვარიაბელობის მხოლოდ 10-15%-ს შეადგენს. მისი შესწავლა პერსონალიზებულ მედიცინაში მონოგენური დაავადებების დიაგნოსტირების საუკეთესო საშუალებაა, ხოლო მფდ-სას საშუალებას იძლევა, გამოვლენილი იქნეს დაავადებისადმი წინასწარგანპირობებულობის ფაქტორები. უკანასკნელი დაავადების წინასწარი პროგნოზირების და ეფექტური თერაპიის საშუალებას იძლევა (Степанов, 2010).

უდავოა, რომ ეთნიკური ფაქტორი უნდა იქნეს გათვალისწინებული სამედიცინო კვლევებში, განსაკუთრებით კი პერსონალიზებულ მედიცინაში (Genet. Hum. Race, 2004). მკვლევარები, რომლებიც მუშაობენ პერსონალურ გენომიკაში, სერიოზულ ყურადღებას უთმობენ პოპულაციურ ასპექტებს. მონაცემთა შეგროვების და დამუშავებისას მონაცემების ინტერპრეტაციას ინდივიდუალურ ან პოპულაციურ დონეზე ახდენენ (Khoury et al., 2009).

ისევე, როგორც ყოველ პოპულაციას აქვს თავისი გენოფონდი, ყოველ ინდივიდს გააჩნია თავისი ინდივიდუალური გენოტიპი. გენომში არსებული თითოეული გენი პასუხისმგებელია ორგანიზმის განსაზღვრულ ნიშან–თვისებაზე, მათ შორის დაავადებების მიმართ ორგანიზმის მგრძნობელობაზე. გეოგრაფიული რეგიონი, ეთნიკური ჯგუფი და პოპულაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ინდივიდის აღნიშნულ მახასიათებლებს (Cavalli-Sforza, 1998). ცნობილია, რომ ბევრი ინფექციური პათოგენის გამოვლენის ხარისხზე იმუნოგენეტიკური ლოკუსები ახდენს გავლენას.

მიკობაქტერიის აქტივაციას და ტუბერკულოზის კლინიკურ განვითარებას იწვევს ორგანიზმის იმუნური სისტემის დაქვეითება, რომელიც განპირობებულია როგორც გარემო (Holmes et al.,1998; Davies,1999; Schwenk & Macallan. 2000), ისე გენეტიკური (გენები, ალელები, ჰაპლოტიპები) ფაქტორებით, რაც ტყუპების შესწავლის კლასიკური

მეთოდებით გამოვლინდა. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩატარებული კვლევებით მონოზიგოტურ ტყუპებში დაავადებისადმი მაღალი კონკორდანტობა დაფიქსირდა დიზიგოტურებთან შედარებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეთნიკური ჯგუფების შიგნით (ინდივიდების დონეზე) გენეტიკური ფაქტორები გავლენას ახდენს ტუბერკულოზისადმი წინასწარგანპირობებულობაზე (Comstock, 1978).

დაავადებათა მიმართ ორგანიზმის მიდრეკილება ან მდგრადობა ხშირ შემთხვევაში ფენოტიპურ ნიშნებითანაა დაკავშირებული. ერთ-ერთ ასეთ ფენოტიპურ ნიშანს წარმოადგენს ერითროციტური ჯგუფური ანტიგენები, რომლებიც განლაგებულია ერითროციტების მემბრანაზე და განსაზღვრავენ პიროვნების ინდივიდუალობას და ხშირად დაავადებებისადმი ასოციაციას ავლენენ (Tamaria et al, 2010).

I.5.1 ერითროციტური ჯგუფური ანტიგენები და მათი ასოციაციური კავშირები სხვადასხვა ტიპის პათოლოგიებთან და ტუბერკულოზთან

ერითროციტური ჯგუფური ანტიგენები და მათ მიერ განსაზღვრული სისხლის ჯგუფები გენეტიკურად მყარად დეტერმინირებულ ფენოტიპურ ნიშანს წარმოადგენს (Донсков, 2001). მრავალი მეცნიერული კვლევა ადასტურებს, რომ არსებობს კორელაციური კავშირები სხვადასხვა ტიპის ინფექციურ თუ არაინფექციურ დაავადებასა და ერითროციტურ ჯგუფურ ანტიგენებს და, შესაბამისად, სისხლის ფენოტიპურ ჯგუფებს შორის. დღეს უკვე ცნობილია, თუ რომელი დაავადებისკენ არიან მიდრეკილნი სისხლის პირველი ჯგუფის ადამიანები მეორესთან შედარებით და ა.შ.

AB0 სისტემის ანტიგენები, მათი გავრცელება და ასოციაცია დაავადებებთან. ABO სისტემა ხასიათდება ერითროციტის ზედაპირზე სამი ძირითადი ანტიგენის - A, B, H და პლაზმაში - ბუნებრივი ჯგუფსპეციფიკური გლიკოპროტეინული ანტი -A და ანტი - B ანტისხეულების არსებობით (Ogasawara et al., 1996). ისინი ერითროციტების გარდა, აღმოჩენილია აგრეთვე სეკრეტებში და ადამიანის ქსოვილთა უმრავლესობაში

(Головачев, 1983). ABH ანტიგენები ნაპოვნია, ასევე, სისხლში ლეიკოციტებისა და თრომბოციტების მემბრანის ზედაპირზე (Досse, 1959). AB0 სისტემის გენური ლოკუსი მოთავსებულია მე-9 ქრომოსომაში -9 q 34.1-q34.2. H გენური ლოკუსი, რომელიც H ნივთიერების სინთეზს აკონტროლებს, მოთავსებულია 19 q13.3. იგი AB0-სგან დამოუკიდებელ ანტიგენურ სისტემას წარმოადგენს (Reguigne-Arnould et al., 1995; Schenkel-Brunner, 2000).

სისხლის ABO სისტემის ფენოტიპური ჯგუფების სიხშირე არათანაბარია მსოფლიოს პოპულაციებში, რაც დამოკიდებულია 0, A და B ალელების განაწილებაზე. ერითროციტური ჯგუფური ანტიგენების გავრცელების ვარიაბელობა გამოწვეულია წლების წინ პოპულაციების მიგრაციებითა და მათი შერევით. ასევე, პოპულაციების კლინიკური ისტორიით (გადატანილი დაავადებები), რეპროდუქციული თავისებურებით და წეს-ჩვეულებით, გეოგრაფიული არეალით, გენეტიკური თავისებურებით და ა.შ. მოგვიანებით პოპულაციებში მოხდა მათი დაბალანსება და დაფიქსირება, როგორც პოპულაციისთვის დამახასიათებელი მყარი გენეტიკური ნიშანი (Nasidze, 1995; Kucher at al., 2000; Михайлова с соавт., 2002; Varsahr at al., 2003; Schmidt & Scheil, 2003).

მსოფლიოში ყველაზე მაღალი სიხშირით (63%) O ფენოტიპური ჯგუფია გავრცელებული. ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის მკვიდრ პოპულაციაში მისი გავრცელება თითქმის 100%-ია. ასევე, მაღალია მისი სიხშირე ავსტრალიელ აბორიგენებში და დასავლეთ ევროპაში. ყველაზე დაბალი სიხშირით აღნიშნული ფენოტიპური ფგუფი აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაშია წარმოდგენილი (Garratty et al., 2004; Daniels et al, 2004; Dean 2005).

A ალელი შედარებით უფრო ფართოდაა გავრცელებული (21%) მსოფლიოს მოსახლეობაში, ვიდრე B. მისი ყველაზე მაღალი კონცენტრაცია მონტანას შავკანიან ინდიელებში (80%), ავსტრალიელ აბორიგენებში (40-53%) და ჩრდილო სკანდინავიის ქვეყნებში (ლაპლანდია, საამის ქყვეყნები) (50-90%) ფიქსირდება. აღნიშნული ალელი თითქმის არ გვხვდება ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ინდიელებში (Dean, 2005).

B(III) ფენოტიპური ჯგუფი შედარებით იშვიათი გავრცელებით ხასიათდება. B ალელს მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 16% ატარებს. შედარებით მაღალი

სიხშირით ფიქსირდება იგი ცენტრალურ აზიასა და აფრიკაში. ძალიან დაბალია მისი გავრცელების სიხშირე ამერიკისა და ავსტრალიის აბორიგენულ მოსახლეობაში (Garratty et al., 2004; Dean, 2005).

AB იშვიათი ფენოტიპური ჯგუფია. მაქსიმალური სიხშირით (10%) იგი ჩინელებში და კორეელებში გვხვდება (Dean, 2005).

ევროპელებში ABO სისტემის ფენოტიპური ჯგუფები შემდეგი თანაფარდობით ნაწილდება: O-44%; A_1-33%, A_2-10%; B-9%; A_1B,-3%, A_2B-1% (Dean, 2005).

საქართველოში ABO სისტემის ფენოტიპების გავრცელებით პირველ ადგილზეა სისხლის O ფენოტიპური ჯგუფი, მეორე ადგილს იკავებს A ფენოტიპური ჯგუფი, მესამეს B, ხოლო ყველაზე დაბალი სიხშირით AB ჯგუფი ფიქსირდება (Арчвадзе, 1978). უკანასკნელი მონაცემებით, აჭარის რეგიონში ABO სისტემის ფენოტიპური ჯგუფების გავრცელება შემდეგ სურათს იძლევა: O ფენოტიპური ჯგუფი 47,6±3%; A _ 36±5,1%; B – 11,4±3,5%; AB _ 4,2±2% (Nagervadze et al., 2010). აღნიშნული სისტემის ალელებიდან ყველაზე მაღალი (0,68) სიხშირით O ალელია წარმოდგენილი. რაც შეეხება A ალელს, მისი სიხშირე 0,23-ს, ხოლო B ალელის - 0,09-ს უტოლდება (Nagervadze et al, 2010).

რამდენადაც, ყველა ალოანტიგენი შესაბამისი გენის სეროლოგიურ პროდუქტს წარმოადგენს და მეტ-ნაკლებად ჩართულია ორგანიზმის იმუნურ შესაძ-ლებლობებში, ამდენად, საკმაოდ ზუსტად შეიძლება კორელაციური კავშირის შესწავლა ანტიგენურ შემადგენლობასა და სხვადასხვა სახის პათოლოგიას შორის.

დღეს თითქმის სრულყოფილადაა შესწავლილი ABO სისტემის სისხლის ჯგუფური ანტიგენების კლინიკური მნიშვნელობა და მათი როლი ტრანსფუზი-ოლოგიაში, მაგრამ აღნიშნული სისტემის დაავადებებთან ასოციაციური კავშირების შესწავლა, ჯერ კიდევ, მეცნიერული კვლევების ინტერესის სფეროდ რჩება.

სისხლის ჯგუფებსა და სხვადასხვა სახის პათოლოგიებს შორის ასოციაციური კავშირების შესახებ ლიტერატურაში მონაცემები მრავლად მოიპოვება, რომელიც ხშირად პოპულაციების თავისებურებებზე აისახება. ინფექციური დაავადებები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პოპულაციების გენეტიკური სტრუქტურის ცვლილებაში. ცნობილია, რომ პოპულა-ციებში AB0 სისტემის ანტიგენების გავრცელების სიხშირე პირდაპირ კავშირშია

აღნიშნული პოპულაციის კლინიკურ წარსულთან, კერძოდ, ისეთ ეპიდემიურ, ინფექციურ დაავადებებთან, როგორიცაა: შავი ჭირი, ქოლერა, ყვავილი, მალარია. იმ რეგიონებში, სადაც გასულ საუკუნეში აღნიშნული ეპიდემიები მძვინვარებდა, გამოიკვეთა AB0 სისტემის p ალელის სიხშირის კლება, ხოლო q ალელის სიხშირის ზრდა. სწორედ, დაავადებების კერებთან ალელთა სიხშირის დამოკიდებულებით აიხსნება 0(I) და B(III) ჯგუფის წარმომადგენლების სიმცირე მონგოლოიდურ პოპულაციებში, ხოლო A(II)-ჯგუფის – ევროპოიდულ პოპულაციებში და ა. შ. (Salmon, 1979; Прокоп и Геллер., 1991).

გასული საუკუნის 90-იან წლებში განხორციელებული მეცნიერული კვლევებით დადგენილი იქნა, რომ მნიშვნელოვანი ასოციაციები არსებობს AB0 ფენოტიპურ ჯგუფებსა და ამა თუ იმ სახის პათოლოგიას შორის (Markovic et al., 1991; Nazaretian et al., 1993; Albarus et al., 1997; Vojvodic, 2000). ზოგჯერ ABO სისტემის ფენოტიპებსა და დაავადებებს შორის იმდენად მყარი კორელაცია იკვეთება, რომ ხშირად ამა თუ იმ ფენოტიპური ჯგუფის მატარებლობა რომელიმე კონკრეტული დაავადების მიმართ მიდრეკილებას განსაზღვრავს.

ABO სისტემის ანტიგენები კორელაციაშია კუჭის წყლულოვან და სიმსივნურ დაავადებებთან (Dean, 2005). ამას ადასტურებს გასული საუკუნის მეცნიერული კვლევებიც, რომლის თანახმად, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან და სიმსივნურ დაავადებებთან სისხლის 0(I) ჯგუფი ასოცირდება (Туманова & Томилина, 1969; Косяков, 1974), ხოლო A(II) ფენოტიპი ხშირად პრევალირებს კუჭისა და სარძევე ჯირკვლის კიბოს, მიოკარდის ინფარქტის დროს (Прокоп с соавт., 1991; Мороков с соавт., 2002). A(II) ჯგუფის მატარებელი ინდივიდები ხშირად ექვემდებარებიან ვირუსულ რესპირატორულ და გულის იშემიურ დაავადებებს. ასევე, მათში უფრო ხშირია მაგისტრალური გზების ათეროსკლეროზი, ვიდრე 0(I) და B(III) ჯგუფის მატარებლებში (Nazaretian et al., 1993; Кузнецов с соавт., 2000).

გულის იშემიური დაავადების განვითარების მაღალი სიხშირე A(II) ჯგუფის მატარებლებში დაკავშირებულია ანტიჰემოფილური გლობულინის აქტიურ სინთეზთან. ითვლება, რომ ეს უკანასკნელი აღნიშნული პათოლოგიის განვითარებაში უდიდეს როლს თამაშობს და განაპირობებს თრომბოზის მიმართ

ორგანიზმის მიდრეკილებას (Шабалин с соавт., 1988). დაფიქსირებული იქნა აგრეთვე, რომ A(II) სისხლის ჯგუფის მქონე ბავშვები ხასიათდებიან პნევმონიის მწვავე მიმდინარეობით (Моисеев, 1987). ასევე, ვირუსული ჰეპატიტით ხშირად ავადდებიან A ჯგუფის სისხლის მატარებლები (Kiango et al., 1982). A(II) ჯგუფის ადამიანებში სუსტად პროდუცირდება ინტერფერონები. სწორედ, ამით შეიძლება აიხსნას ამ ჯგუფის მატარებლების საკმაოდ მაღალი მიდრეკილება ინფექციური დაავადებების მიმართ (Донсков, 1987).

საჰას (Saha, 1985) მონაცემებით, ასოციაციური კავშირი იქნა ნაპოვნი ABO სისტემას და კეთრს შორის. კერძოდ, აღნიშნული სენით ავადდებიან A და O ჯგუფის მქონე ინდივიდები. A ჯგუფის მატარებლები რეზისტენტულები აღმოჩნდნენ ციების მიმართ (Gupta & Chowdhuri, 1980). ამერიკელებში O ჯგუფის მაღალ პრევალენტობას სიფილისის მიმართ აღნიშნული ჯგუფის მატარებელ ინდივიდთა მაღალი მდგრადობით ხსნიან (Morrison, 1966).

არსებობს მონაცემები, რომლებიც A(II) და B(III) ჯგუფის მაღალ სიხშირეს ადასტურებენ თრომბოფლებიტით დაავადებულ ქალებში. მაგრამ აღნიშნული ჯგუფების მატარებლები გაცილებით რეზისტენტულები აღმოჩნდნენ ქოლერის მიმართ, ვიდრე O(I) ჯგუფის სისხლის მქონე ინდივიდები. დადგენილი იქნა მაგისტრალური სისხლძარღვების ათეროსკლეროზის უარყოფითი ასოციაცია 0(I) ფენოტიპის მატარებელ მამაკაცებში. 0(I) ჯგუფის მატარებლობა, შესაძლოა, ჩაითვალოს "დამცველობით" ფაქტორად, რადგანაც მათში შემცირებულია ზოგიერთი სახის სისხლძარღვის პათოლოგიის განვითარების რისკი (Кузнецов с соавт., 2000).

ზოგადად, ადამიანების უმრავლესობა, რომელთა ერითროციტების ზედაპირზე არ გვხვდება ABO სისიტემის ანტიგენები, დაავადებათა მიმართ მდგრადობით გამოირჩევიან. ამის დასტურად, შესაძლოა, გამოყენებული იქნეს O(I) ჯგუფის გავრცელების მაღალი სიხშირე მსოფლიოს მოსახლეობაში.

პენსილვანიის უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, გენები, რომლებიც პასუხისმგებელია O(I) ჯგუფის ჩამოყალიბებაზე, ორგანიზმს იცავენ გულის შეტევისგან. ამავე დროს, სხვა კვლევებმა აჩვენა O(I) ჯგუფის პაციენტებში მაღალია სისხლდენის რისკი და სისხლის გადასხმის აუცილებლობა,

გულზე ქირურგიული ჩარევის შემდეგ. ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარები ასკვნიან, რომ სისხლის აღნიშნული ჯგუფის მატარებლები მიდრეკილნი არიან გულის დაავადებებისკენ (Hope, 2012).

კორელაციური კავშირი იქნა დადგენილი სისხლის ჯგუფებსა და მწვავე დიზენტერიას შორის. მაქსიმალური კოეფიციენტები B(III) და 0(I) ჯგუფის მქონე პაციენტებში დაფიქსირდა, ხოლო მინიმალური – A(II) ჯგუფის მატარებელ პირებში (Земсков, 1994). სკლეროზით დაავადებულთა 22,22% აღმოჩნდა B(III) ჯგუფის ფენოტიპის მატარებლები, მაშინ, როცა საკონტროლო ჯგუფში მისი გავრცელების სიხშირე 11.10%-ის ტოლია (Markovic et al., 1991).

ABO სისტემის სისხლის 0(I), A(II) და B(III) ჯგუფის მატარებლებში არსებობს განსხვავებული იმუნური პასუხი. კერძოდ, სინთეზირებული ჯგუფსპეციფიკური, ბუნებრივი ანტისხეულები IgG და IgM კლასის იმუნოგლობულინებია. ამასთან, ცნობილია, რომ A(II) და B(III) ჯგუფის მატარებლები უპირატესად ასინთეზებენ IgM კლასის ანტისხეულებს, მაშინ, როცა 0(I) ჯგუფის მატარებლებში IgM-სთან ერთად დამატებით სინთეზდება მაღალავიდური IgG (ანტი-A ან ანტი-B). ისინი აქტიურები არიან 37°C-ზე და ფლობენ გამოხატულ ჰემოლიზურ თვისებას. ამ მიზეზის გამო AB0 სისტემის მიხედვით განსხვავებული ფენოტიპების მატარებლები ბუნებაში ფართოდ გავრცელებული A- და B- სუბსტანციების ელიმინაციის არაერთგვაროვან უნარს ფლობენ (Issitt, 1985; Dean, 2005). გამოვლენილი იქნა ასოციაცია ABO სისტემას და სიმსივნით, სიფილისით, დიაბეტით, ციროზით, გრიპით, პნევმონიით, ბრონქიტით და ასთმით გამოწვეულ სიკვილიანობას შორის (Masse et all, 1979).

სასუნთქი სისტემის დაავადებებიდან ცნობილია, რომ ბრონქული ასთმით და მწვავე პნევმონიით დაავადებულ პირებში O(I) ჯგუფის მაღალი სიხშირე ვლინდება (Джавишеишвили и Ксенофонтов, 1981).

ABO სისტემის ანტიგენების კორელაცია ფილტვის ტუბერკულოზთან._სხვადასხვა პოპულაციაში ტუბერკულოზსა და ABO სისტემის ანტიგენებს შორის ასოციაციური კავშირების გამოსავლენად ჩატარებულ კვლევებში ალტერნატიული დასკვნები ფიქსირდება. რიგი მეცნიერებისა ადასტურებს, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ასოციაცია აღნიშნული სისტემის ანტიგენებს და ფილტვის ტუბერკულოზს შორის

(Saha, 1965; Saha & Banerjee, 1968; Reddy & Usha, 1990; Seth & Chahal, 2003; Ukaejiofo & Nubila, 2006.), მაშინ, როცა, სხვები აღნიშნულ ფაქტს უარყოფენ (Kothare, 1959; Shenoy & Daftary, 1962; Navani & Narang, 1962; Nath et al., 1963; Sidhu et al., 1974; Mourant et al., 1976; Ramachandraiah et al., 1984; Bhasin, 1994).

რიგი მეცნიერების მონაცემებით, ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში მაქსიმალური სიხშირით დაფიქსირდა 0 (I) და შემდგომ B (III) ფენოტიპური ჯგუფები, ხოლო მინიმალური სიხშირით A(II) ჯგუფი (Rao, 1994; Platonova, 1999). ტიაგისა და მისი თანამშრომლების მიერ ტუბერკულოზით დაავადებულ მგბ+ პაციენტებში, B (III) ფენოტიპური ჯგუფი მაქსიმალური სიხშირით გამოვლინდა, ხოლო შემდგომ ადგილზე 0 (I) ფენოტიპური ჯგუფი – დონორულ პოპულაციასთან შედარებით (Tyagi et al., 2010).

ნაუმოვისა და თანამშრომლების (Naumov et al.,1993) მიერ დადგენილია, რომ ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულებში საკონტროლო დონორულ ჯგუფთან შედარებით, 0(I) ჯგუფი მაღალი სიხშირით ვლინდება. A(II) ჯგუფის მქონე პირებში კი დაავადება დაბალი სიხშირითაა წარმოდგენილი და მათ ყველაზე ნაკლებად აღენიშნებოდათ პოსტოპერაციული გართულებები.

ვისკუმის (Viskum, 1975) კვლევის შედეგად ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში დაფიქსირდა O და AB ჯგუფის გამოვლენის მაღალი სიხშირე. ამავე ავტორის მიერ შენიშნული იქნა O ჯგუფის მატარებელ დაავადებულთა სიკვდილიანობის მაღალი რიცხვი, მაშინ, როცა ამ მხრივ დაბალი მაჩვენებელია შენიშნული A ჯგუფის მატარებლებში.

ABO სისტემის ანტიგენების ასოციაციური კავშირები შესწავლილი იქნა დაავადების ფორმებშიც. მკვლევართა მიერ დაფიქსირებულია ტუბერკულოზის მსუბუქი ფორმა და მკურნალობის შედეგიანობა 0 (I) და A (II) ჯგუფის მატარებ-ლებისათვის, მაშინ, როცა B (III) ჯგუფის მატარებლებში მკურნალობის კურსი ხშირად უშედეგოა (Volkova et al., 1991; Platonova, 1999).

ტუბერკულოზთან სისხლის ჯგუფური ანტიგენების და ალელების ასოციაციურ კავშირს ადასტურებს სინგაპურის ჩინურ პოპულაციაში (Saha, 1965), იაპონელებში (Hirano, 1972), ესკიმოსებში (Overfield & Klauber, 1980) ჩატარებული კვლევები, რომლებმაც გამოავლინა ტუბერკულოზის მნიშვნელოვანი ასოციაცია B ანტიგენთან

და, შესაბამისად, B და AB ფენოტიპურ ჯგუფებთან. B ანტიგენთან ასოციაციური კავშირები გამოვლინდა ინდოელებში, სადაც, ასევე, ტუბერკულოზით დაავადებულებში მნიშვნელოვანი სიხშირით A(II) ფენოტიპიც დაფიქსირდა (Jain, 1970; Saha, 1985; Seth & Chahal, 2003; Saha & Banerjee, 2003). ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ რაოს და თანამშრომლების (Rao et al., 2012) მონაცემებით, ინდოეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ანდრას რეგიონის ტუბერკულოზით დაავადებულ პოპულაციაში დაფიქსირდა სისხლის B(III) და AB(IV) ფენოტიპური ჯგუფები, ხოლო თამარიას (Thamaria, 2010) მონაცემებით, ინდურ პოპულაციაში დაფიქსირებული იქნა ალტერნატიული, დაავადების 0(I) ჯგუფთან ასოციაციური კავშირი.

ეთნიკურ ჯგუფებში ერითროციტურ ანტიგენებთან განსხვავებული ასოციაციური კავშირების გამოვლენა, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ეთნიკურ ჯგუფებში მათი განაწილების სხვადასხვა სიხშირესა და დაავადების მულტიფაქტორულ ბუნებაზე.

Rh-Hr სისხლის ჯგუფების გავრცელება და მისი ასოცირება დაავადებებთან. რეზუს სისტემა ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე პოლიმორფული და კომპლექსური იმუნოგენეტიკური სისტემაა და მოიცავს 49 დამოუკიდებელ ანტიგენს. ანტიგენების პოლიმორფულობა სეროლოგიურად სისხლის მრავალ ფენოტიპურ ჯგუფს იძლევა. კლინიკური თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია D, C, E, c, e ანტიგენები (Avent & Reid., 2000).

Rh ფაქტორი განპირობებულია ორი, ერთმანეთთან ჭდომილი RHD და RHCE გენებით, რომლებიც მოთავსებულია 1 p36.1 – p34-3-ში. RHD ლოკუსით კონტროლდება D ანტიგენის პროდუქცია, RHCE ლოკუსი კი განაპირობებს C ან c და E ან e ანტიგენების სინთეზს (Оловникова, 2001).

Rh სისტემის ანტიგენები მაღალი იმუნოგენური თვისებებით ხასიათდებიან. განსაკუთრებული იმუნოგენური აქტივობით D ანტიგენი გამოირჩევა, რომელიც 30-ზე მეტ ეპიტოპს შეიცავს და ხშირად იწვევს ალოსენსიბილიზაციას D უარყოფით პირებში (Avent & Reid, 2000).

RHCE და RHD გენებით კოდირებული ჰაპლოტიპებიდან (გენური კომპლექსი) ყველაზე მაღალი სიხშირით 8 ჰაპლოტიპია წარმოდგენილი: CDE (Rz), Cde (R1), cDE (R2), cDe (Ro), cde (r), Cde (R’), cdE (R’’), CdE (R^y). გამოყოფილია აღნიშნული სისტემის

18 ფენოტიპური ჯგუფი: CDE, CDEe, Cde, CcDE, CcDEe, CcDe, cDE, cDEe, cDe, $CD^{(-)}E$, $CD^{(-)}Ee$, $CD^{(-)}e$, $CcD^{(-)}E$, $CcD^{(-)}Ee$, $CcD^{(-)}e$, $cD^{(-)}E$, $cD^{(-)}Ee$, $cD^{(-)}e$. ზემოთ ჩამოთვლილთაგან Cde, cDE, cDe და cde სხვებთან შედარებით უფრო ფართო გავრცელებით ხასიათდება. მათი სიხშირე დამოკიდებულია კროსინგოვერის ალბათობაზე (Syst. immunogen. Polymorp., 2000).

მსოფლიოს მოსახლეობა ხასიათდება Rh-პოლიმორფიზმით. D და d ალელების სიხშირით ევროპეიდული და ნეგროიდული რასები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მონგოლოიდურისაგან. მონგოლოიდური პოპულაციისათვის d ალელი იშვიათობას წარმოადგენს, ზოგიერთ მათგანში კი საერთოდ არ გვხვდება, მაშინ, როცა აღმოსავლეთ ევროპაში მისი სიხშირე 15-20%-ია, დასავლეთ ევროპაში (მაგალითად, ბასკებში) კი – 40-50%-ს აღწევს.

ადგილობრივ ამერიკელებში, ვიდრე მათ მსოფლიოს სხვა რეგიონების მოსახლეობა შეერეოდა, d ალელის კონცენტრაცია პრაქტიკულად არ ფიქსირდებოდა, ხოლო D ალელის კონცენტრაცია 99-100%-ს შეადგენდა, შუა საჰარის აფრიკელებში 97-99% Rh^{+}-ია, ხოლო აღმოსავლეთ აზიაში - 93-99%.

მსოფლიოს მოსახლეობაში რეზუსის სხვა ანტიგენების გავრცელების სიხშირე შემდეგნაირია: C - 70%; E - 30%; e - 97% (Умнова с соавт., 1979).

რაც შეეხება Rh-ჰაპლოტიპების გავრცელებას CDe(R1), იგი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ჰაპლოტიპია ევროპაში, შედარებით ნაკლებად -აფრიკაში (0,05-0,09). cDE(R2) ჰაპლოტიპი მნიშვნელოვნად ფართოდაა დაფიქსირებული ინდიელებში (0,50). cDe (R0) კონცენტრაცია მსოფლიოს სხვა რეგიონებთან შედარებით მაღალია (0.90) აფრიკის კონტინენტზე. Cde ჰაპლოტიპის მაქსიმალური სიხშირე ევროპაში ფიქსირდება და სრულიად არ გვხვდება შორეულ აღმოსავლეთში. მსოფლიოს ყველა პოპულაციისთვის იშვიათი CDE-ჰაპლოტიპი შედარებით მაღალი კონცენტრაციით გვხვდება ინდურ და ავსტრალიურ ტომებში, ხოლო ასევე იშვიათი cdE ჰაპლოტიპი შედარებით ხშირად - იაპონურ ტომებში.

Rh სისტემის კვლევის თვალსაზრისით, საქართველოში მონაცემები საკმაოდ მწირია. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში D(+) ფენოტიპი გვხვდება 95,9%-ის, ხოლო D(-)კი – 4,1%-ის სიხშირით. აღნიშნულ პოპულაციურ ჯგუფში D

ალელის სიხშირე 0,796-ის ტოლია, d ალელისა კი – 0,204 (Джавишеишвили и Ксенофонтов, 1981). უკანასკნელი მონაცემებით, საფუძვლიანად იქნა შესწავლილი Rh სისტემის ანტიგენებისა და ჰაპლოტიპების გავრცელება აჭარის რეგიონში, სადაც D - 78,2%; e- 97.6%; c – 90.2%; C – 53.4%; E-21, 12% სიხშირით გვხვდება. შესაბამისად, აღნიშნული სისტემის ალელები შემდეგი სიხშირით არის წარმოდგენილი: D – 0.54; d – 0.43; C-0.28; c-0.74; E- 0.11 და e – 0.87. აჭარის რეგიონისთვის ფართო გავრცელებით დაფიქსირდა cde – 0.436 და Cde – 0,192 ჰაპლოტიპები (Nagervadze, 2010).

დაავადებებთან რეზუს სისტემის ასოციაციის შესახებ ზოგიერთი ავტორის მიერ ნაჩვენები იქნა Rh(D) ანტიგენის კორელაცია ალცჰეიმერით დაავადებულ პაციენტებში, სადაც პაციენტთა 95,55% რეზუს დადებითი, 84,29% რეზუს უარყოფითი ფაქტორის მატარებელი აღმოჩნდა (Markovic et al., 1991). ასევე, რეზუს დადებითი, CcDe ფენოტიპის კავშირი გამოვლენილი იქნა კუჭის წყლულთან (Пелешук с соавт., 1974). რეზუს უარყოფით პაციენტებში მცირეა აორტის ანევრიზმით დაავადების ალბათობა. რეზუს-უარყოფით ადამიანებში გაცილებით უკეთ ფუნქციონირებს ჰუმორული იმუნიტეტი, ხოლო რეზუს-დადებით პირებში კი -უჯრედული იმუნიტეტი (Norrgard et al., 1984 Донсков, 1987, 2001).

ბაქტერიული ანატოქსინებით გამოწვეული იმუნური პასუხის ინტენსივობა მაღალია D და E ანტიგენების მატარებლ პირებში (Вереш с соавт., 1985). გულის იშემიური დაავადება მაღალი სიხშირით შეინიშნება CC გენოტიპის მქონე ინდივიდებში, ვიდრე Cc გენოტიპის მატარებლებში (Nazaretian et al., 1993).

ტუბერკულოზთან რეზუს ფაქტორისა და მისი ანტიგენების კორელაციური კავშირის შესახებ ძალიან მწირი მასალები მოიპოვება. მეცნიერთა ნაწილი ტუბერკულოზთან Rh ფაქტორის პირდაპირ კორელაციას უარყოფს. მაგალითად, რაოს (Rao et al., 2012) მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით A(II) სისხლის ჯგუფის მქონე პაციენტებში Rh+ ფაქტორის მნიშვნელოვნად მაღალი სიხშირე დაფიქსირდა სხვა კომბინაციებთან შედარებით. არსებობს მონაცემები, რომ უფრო მეტი რეზუს-უარყოფითი პაციენტი დაიღუპა ტუბერკულოზით, ვიდრე რეზუს-დადებითი (Viskum, 1975).

Kell სისტემის სისხლის ჯგუფების გავრცელება და მისი ასოცირება დაავადებებთან. Kell სისტემის გენური ლოკუსი მოთავსებულია მეშვიდე აუტოსომურ ქრომოსომაში – 7q 32 – q 36. სისტემა კომპლექსურია და მოიცავს 25 ანტიგენს (K, k; Kp^a, Kp^b; Js^a, Js^b…). ყველაზე მაღალი იმუნოგენურობით K ანტიგენი გამოირჩევა, რომლის იმუნური აქტივობა მცირედით თუ ჩამოუვარდება რეზუს D ანტიგენის აქტივობას (Dean, 2005).

K ანტიგენის გავრცელების სიხშირე მსოფლიო მოსახლეობაში საკმაოდ დაბალია (10%). ჰომოზიგოტურ მდგომარეობაში კი იგი მხოლოდ 0.3%-ია (Рагимов и Дашкова, 2004). ევროპეიდებს შორის Kell (K)-ს შეხვედრის ალბათობა 3-დან 12%-მდეა. ევროპეოდებში მისი გავრცელების სიხშირე 9%-ია (Dean, 2005), არაბეთის მოსახ-ლეობაში -10%. ესპანეთის ერთ-ერთ ლოკალურ პოპულაციაში მაქსიმალური სიხშირე - 31,71% დაფიქსირდა. ნეგროიდებში და მონგოლოიდებში K ანტიგენი იშვიათად გვხვდება, ხოლო ჩინელებსა და იაპონელებში იგი პრაქტიკულად არ არის გამოვლენილი (Mourant et al., 1978; Bowman et al., 1992). საქართველოში Kell სისტემის ანტიგენების გავრცელების შესახებ ინფორმაცია მოიპოვება მხოლოდ აჭარის რეგიონის მასშტაბით. K+ ფენოტიპი აქ 6%-ია, p(K) ალელის კონცენტრაცია 0.04-ის ტოლია (Nagervadze, 2010).

პათოლოგიებთან Kell სისტემის ანტიგენების კავშირი პრაქტიკულად შეუსწავლელია. ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია Kell-დადებითი სისხლის ჯგუფის მაღალი სიხშირე აორტის ანევრიზმით დაავადებულებში (Norrgard et al., 1984). ტუბერკულოზთან Kell სისტემის ანტიგენების ასოციაციის შესახებ ინფორმაცია ლიტერატურულ წყაროებში თითქმის არ მოიპოვება.

MN სისხლის ჯგუფების გავრცელება და მისი ასოცირება დაავადებებთან. MN-Ss სისტემის ანტიგენები კოდირებულია GYPA და GYPB გენებით, რომლებიც მოთავსებულია მე-4 ქრომოსომაში (4q28-q28) (McKusick, 1985; Dean, 2005). MN სისტემის 43 ანტიგენიდან ყველაზე მნიშვნელოვანია M, N, S, ანტიგენები. მათგან შედარებით უკეთ M და N ანტიგენებია შესწავლილი (Dean, 2005; Reid, 2009).

ლიტერატურული მონაცემებით, ევროპეოდებში M ანტიგენის სიხშირე 78%-ია; N-72%; S-55% ხოლო s-89% (Dean, 2005). მურანტის მონაცემებით, საქართველოში, კერძოდ, ქალაქ თბილისის მცხოვრებლებში M ფენოტიპის გავრცელების სიხშირე შეადგენს 39,6%-ს, MN –ის - 46,0; N ფენოტიპისა კი – 0,374%-ს (Mourant et al., 1979). ნაგერვაძის მონაცემებით, აჭარის რეგიონში M ფენოტიპი 50,2%; N - 29.8%; ხოლო MN 20,2% სიხშირით არის წარმოდგენილი (Nagervadze, 2010).

რაც შეეხება დაავადებებთან MN სისტემის კორელაციას, MN ფენოტიპური ჯგუფის მაღალი სიხშირე აღინიშნება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებში (Ксенофонтов, 1974). ასევე, მწვავე პნევმონიით ხშირად ავადდებიან MN ფენოტიპის მატარებელი ბავშვები (Алтухов с соавт., 1981). აღნიშნულია M ფენოტიპის მაღალი სიხშირე ათეროსკლეროზით დაავადებულებში, ხოლო N ფენოტიპური ჯგუფი საკონტროლო ჯგუფთან შედარებით უფრო ხშირად გვხვდება ოსტეოქონდროზით დაავადებულ პირებში (Колодченко., 1979).

ცნობილია, რომ MN სისტემის მაკოდირებელ GYPB გენში (ასინთეზირებს ჯგუფობრიობის განმსაზღვრელ A და B გლიკოფურინებს) მომხდარი კონვერსია გავლენას ახდენს მალარიისადმი მგრძნობელობაზე (Ko., 2011).

MN-Ss სისტემასა და გულ-სისხლძარღვოვან დაავადებებს შორის გარკვეული ასოციაციური კავშირი იქნა ნაპოვნი (Gleiberman et al., 1984). შენიშნულია აგრეთვე M ჯგუფის მატარებელი პირების განსაკუთრებული მიდრეკილება ალკოჰოლის მიმართ (Kojic et al., 1977). ბოტინისა და მისი თანამშრომლების მიერ დადგენილი იქნა MN სისტემის ანტიგენების დადებითი კორელაციური კავშირი ასთმასთან. კერძოდ, დონორებთან შედარებით M ფენოტიპის მაღალი სიხშირე - არაალერგიულ ასთმასთან, ხოლო N ანტიგენისა - ალერგიულ ასთმასთან. არსებობს ვარაუდი, რომ შესაძლოა, MN სისტემის გენეტიკური ვარიაბელობა გავლენას ახდენდეს ბაქტერიულ და ვირუსულ კონკურენციაზე, სასუნთქი სისტემის ლორწოვანი გარსის დაზიანების შემთხვევაში IgE-ს ჰიპერპროდუქციის არარსებობისას, რაც გავლენას ახდენს ასთმურ რეაქციებზე (Bottini et al., 2005).

ინფორმაცია MN სისტემისა და ფილტვის ტუბერკულოზის კორელაციური კავშირების შესახებ ლიტერატურულ წყაროებში ვერ იქნა მოძიებული.

I.6. ორგანიზმის იმუნური დაცვის მექანიზმები მიკობაქტერიის მიმართ განვითარებულ იმუნურ პასუხში

ტუბერკულოზის განვითარებაში ფუნდამენტურ როლს ასრულებს *M. Tuberculosis*-ის მიმართ ორგანიზმის იმუნური პასუხი, რასაც დაავადებულებთან შედარებით ინფიცირებულთა გაცილებით მაღალი რიცხვი ადასტურებს. ინფექციური აგენტის ბედი ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ, ორგანიზმის სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია მის მიმართ განვითარებულ არასპეციფიკურ თუ სპეციფიკურ იმუნურ პასუხზე. არასათანადო შემთხვევაში ინფიცირებულ ინდივიდში დაავადება კლინიკური სახით ვლინდება. იმუნური სისტემის არსებითი როლის დამადასტურებელ ფაქტს წარმოადგენს ისიც, რომ მნიშვნელოვნად იზრდება ტუბერკულოზით ავადობა ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით კოინფექციისას (Palomino et al., 2007).

ასევე, კარგად არის ცნობილი, რომ BCG ვაქცინაციაც სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ტუბერკულოზის პრევენციას. აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, შეიქმნა აშკარა მოთხოვნილება ახალი ანტიტუბერკულოზური თუ სხვა სახის ქიმიოთერაპიული პრეპარატების და ახალი, მაღალეფექტური ვაქცინის შესაქმნელად (Palomino et al., 2007).

ადრეული კვლევების უმრავლესობა, ძირითადად, ხაზს უსვამდა მიკრობის ვირულენტობას და მასპინძელი ორგანიზმის იმუნური სისტემისაგან თავდაცვის სტრატეგიებს. ნაკლები ყურადღება ექცეოდა თვით მაკროორგანიზმის დამცველობითი სისტემის არსებით როლს ამ პროცესში (Shinnic et al, 1995; Soolingen, 2001; Smith, 2003). ბოლო პერიოდის კვლევებში ხაზგასმულია, რომ დაავადების კლინიკური განვითარება თანაბრად განისაზღვრება, როგორც მიკობაქტერიის ვირულენტობით, ისე მასპინძელი ორგანიზმის დამცველობითი მექანიზმებით (Rajpal et al., 2011). კვლევები მიმდინარეობს, როგორც მიკობაქტერიის ბიოლოგიური თავისებურებების გასარკვევად, ისე ადამიანის მიერ დაავადების წინააღმდეგ განვითარებული იმუნური პასუხის მექანიზმების შესასწავლად (Schluger, 2001; Casanova& Abel, 2002). მიკობაქტერიული ინფექციის

შედეგი განისაზღვრება იმუნური სისტემის, მასპინძელი ორგანიზმის და მიკობაქტერიის გადარჩენის სტრატეგიების ერთობლიობით.

ანტიტუბერკულოზურ დაცვაში თანაბარმნიშვნელოვნადაა ჩართული, როგორც თანდაყოლილი, ისე შეძენილი იმუნიტეტი, რომლებიც კომპლემენტურად და სინერგიულად მოქმედებენ. ამ პროცესში ჩართული იმუნური მექანიზმების სრულ-ყოფილად გაგება სამომავლოდ მიგვიყვანს, როგორც პრევენციის, ასევე თერაპიის ახალი მიდგომების მიგნებამდე (Flyn & Chan., 2001; Kaufmann., 2001; Raja., 2004).

თანდაყოლილი იმუნური პასუხი *M. Tuberkulosois*-ის წინააღმდეგ. ტუბერკულოზური ინფექციის ადრეულ სტადიაზე თანდაყოლილი იმუნიტეტი ასრულებს მნიშვნელოვან როლს, მაგრამ იგი, ასევე, შეძენილი იმუნიტეტის ინიციაციისა და მოქმედების გასაღებია (Crevel et al, 2002).

M. Tuberkulosois-ით ინფიცირების შემთხვევაში პირველი ხაზის დამცველი უჯრედები, რომლებიც ინჰალირებულ პათოგენზე მოქმედებს, *ალვეოლური მაკროფაგებია,* რომლებიც შთანთქავენ და მოინელებენ ბაცილას. გადამუშავებული ბაცილა შემდეგ ეტაპზე წარედგინება T უჯრედებს, რაც იწვევს მიკობაქტერიის მიმართ უჯრედული იმუნიტეტის სტიმულირებას. მაკროფაგების მიერ ბაქტერიის გამოცნობას და შემდეგ მის შთანთქმას განაპირობებს მის ზედაპირზე არსებული ზედაპირული რეცეპტორები *–კომპლემენტის რეცეპტორი (CR- C3), მანოზას რეცეპტორი, სკავენჯერული რეცეპტორი, Fc-γ, CD14 ფაგოციტური უჯრედები* (Schlesinger et al, 1993; Pugin et al, 1994 Schluger & Rom., 1998; Le Cabec et al, 2000; Kaufmann, 2001).

მიკობაქტერიის რაოდენობის შემცირებისა და მისი გავრცელებისაგან თავ-დაცვის მიზნით მაკროფაგები განიცდიან აპოპტოზს, რაც თავისთავად ანადგურებს უჯრედშიდა ბაცილებს. ამ პროცესის მთავარი მასტიმულირებელი ფაქტორი არის სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი (TNFα) (Balcewicz-Sablinska et al, 1998). TNFα-ტრანსმემბრანული ცილაა, რომელიც თანდაყოლილ იმუნიტეტში გამოიცნობს პათოგენთან ასოცირებულ მოლეკულებს (PAMP), რომლებიც თანდაყოლილი იმუნიტე-ტის საუკეთესო სამიზნეებს წარმოადგენენ (Medzhitov et al., 2001; Akira et al., 2001).

Toll ცილები ციტოკინების, ქემოკინების, ჰისტოშეთავსებულობის მთავარი კომლექსის ცილების, აზოტის ოქსიდის სინთეტაზას და სხვათა სინთეზს ააქტივებენ. უფრო მეტიც, TLR აკონტროლებს შეძენილ იმუნიტეტსაც (Iwasaki & Medzhitov., 2004). კერძოდ, მათ მიერ ლიგანდების გამოცნობა იწვევს ინტერლეიკინ-12-ის სინთეზს, რომელიც განაპირობებს T_h0-ის T_h1 ჰელპერებად დიფერენცირებას. TLR-ები ასტიმულირებენ ანტიგენ-წარმდგენი დენდრიტული უჯრედების მომწიფებას (Medzhitov, 2001; Akira et al, 2001).

ცნობილია, რომ ტუბერკულოზის მიმართ იმუნურ პასუხში მთავარი როლი ალვეოლურ მაკროფაგებს აკისრიათ. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მიკობაქტერიით ინფიცირებიდან რამდენიმე დღის შემდგეგ ინფექციის კერებში ჩნდება *ნეიტროფილები* (Pedrosa et al., 2000; Fultonet al., 2002). ისინი ხელს უშლიან ბაცილის გამრავლებას. ასევე ფიქრობენ, რომ ისინი აკონტროლებენ ინფექციას ქემოკინების პროდუქციით, გრანულომების ჩამოყალიბებით და ა.შ. (Riedel et at., 1997; Urban et al., 2006).

ტუბერკულოზურ კერებში ნაპოვნია *დენდრიტული უჯრედების* დიდი რაოდენობა. ისინი შეიცნობენ, იჭერენ, გადაამუშავებენ ანტიგენს და წარადგენენ ჰისტოშეთავსებულობის მთავარი კომპლექსის (MHC) მოლეკულებთან ერთად. (Banchereau 1998, Gumperz 2001).

ფილტვებში მიკობაქტერიული ინფექციიდან 21 დღის შემდეგ *ბუნებრივი ქილერების* რაოდენობა მატულობს. ისინი უმნიშვნელოდ ზრდიან ციტოტოქსიკურობას CD8+T-უჯრედების მიერ IFNγ პროდუქციის ოპტიმიზაციის გზით. ამით, გარკვეულწილად, ხელს უწყობენ მიკობაქტერიით ინფიცირებული უჯრედების დაშლას (Vankayalapati et al., 2004).

ადაპტური იმუნური პასუხი M. Tuberkulosois-ის წინააღმდეგ. არასპეციფიკური იმუნური პასუხი გავლენას ახდენს სპეციფიკური იმუნური მექანიზმების მოქმედებაზე, რომელიც ახორციელებს ეფექტორულ ფუნქციებს. ორივე მექანიზმი ურთიერთდამოკიდებულია.

სპეციფიკური უჯრედული და ჰუმორული იმუნიტეტის შესწავლა ტუბერკულოზით დაავადებულებში, ჯერ კიდევ, კოხის დროს დაიწყო. T-ლიმფოციტები და გააქტივებული მაკროფაგული სისტემა არეგულირებს ტუბერკულოზის ინფექციისადმი

ორგანიზმის მდგრადობას. ანტიტუბერკულინური ანტისხეულების როლი ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად გარკვეული.

უჯრედული იმუნური პასუხი. მას შემდეგ, რაც ტუბერკულოზის ჩხირი მაკროფაგში შეიჭრება, მისი ანტიგენი CD4+T-ლიმფოციტებს წარედგინება MHCII კლასის მოლეკულებთან ერთად. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ *M.tuberculisis* წინააღმდეგ დამცველობითი პასუხის განვითარებაში. მათ გარეშე შეუძლებელია ორგანიზმში ბაცილის ზრდის კონტროლირება. აღნიშნული შემთხვევები ხდება იმუნოდეფიციტებისას (Caruso et al., 1999). CD4+T-უჯრედები თავიანთ ფუნქციას ციტოკინების პროდუქციით ახორციელებენ. ისინი ააქტივებენ მაკროფაგებს და ხელს უწყობენ ბაცილის დესტრუქციას (Serbina et al., 2001). ასევე, შესაძლოა, ისინი მონაწილეობდნენ ინფიცირებული მაკროფაგების აპოპტოზში და საბოლოოდ – ბაქტერიის სიცოცხლისუნარიანობის რედუქციაში CD95 ლიგანდის მეშვეობით (Oddo et al., 1998). შესაბამისად, ტუბერკულოზური ინფექციისას ორგანიზმში იზრდება T-უჯრედების დონე, რომლის შემცირება დაავადების გამწვავებას იწვევს. განსაკუთრებული ფუნქცია აქვს γδ T-უჯრედებს. ისინი მონაწილეობენ ლიზისურ პროცესებში, ასინთეზებენ ციტოკინებს (IL17 და IFN-γ) და მონაწილეობენ ციტოტოქსიკურ აქტივობებში.

ჰუმორული იმუნური პასუხი. იმის გამო, რომ მიკობაქტერია უჯრედშიდა პათოგენია, ხშირად მიიჩნევენ, რომ ჰუმორული იმუნური პასუხი ამ შემთხვევაში დამცველობით როლს ვერ ასრულებს. თუმცა, საწყისი ინფექციის მიმდინარეობისას ანტისხეულები, როგორც დამოუკიდებლად, ისე ციტოკინებთან კავშირში, შესაძლოა, უზრუნველყოფდნენ ლორწოვან გარსებში ბაქტერიის შეჭრის პრევენციას. არსებობს მონაცემები, რომ ჰუმორული იმუნური პასუხი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი ინფექციების მიმართ, როგორიცაა: ქლამიდიური რესპირატორული (Skeldin, 2006), აქტინომიცეტებით და, მათ შორის, M. Tuberculosis-ით გამოწვეული ინფექციების (Salinas-Carmona et al., 2004, Williams et al., 2004, Reljic et al., 2006) დროს.

M. tuberculosis-გან დაცვის ჰუმორული იმუნური პასუხი სრულყოფილად არ არის შესწავლილი. მიკობაქტერიული ინფექციისას ანტისხეულების დამცველობითი

ფუნქციის გარდა, სპეციფიკური ანტიტუბერკულოზური ანტისხეულები, შესაძლოა, მნიშვნელოვნად ღირებული იყოს კლინიკურ-სეროლოგიური დიაგნოზირებისას.

სეროლოგიური მეთოდები თავისი სიმარტივით, ხელმისაწვდომობით და დაბალი ფასით მიმზიდველი სადიაგნოსტიკო საშუალება იყო მე-20 საუკუნეში. ჯერ კიდევ 1898 წელს არლონგმა აჩვენა, რომ პაციენტების სისხლის შრატი აწებებდა ტუბერკულოზის ბაცილებს. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში მეცნიერები შეეცადნენ, იმუნოფერმენ-ტული ანალიზის მეთოდების გამოყენებით გამოევლინათ სეროდიაგნოსტირების-თვის ოპტიმალური ანტიგენი. იმ დროისათვის აქცენტი კეთდებოდა კომპლექსურ ანტიგენებზე, როგორიცაა: მთლიანი ბაქტერია, კულტურის ფილტრატი, ბაქტერიული ექსტრაქტები - ტუბერკულინი და მათი სუფთა ნარჩენები (PPD). შემდგომში, ანალიზი ტარდებოდა გასუფთავებულ ანტიგენებზე, რომლებიც მოიცავდა ცილებს, ლიპოპოლი-საქარიდებს და გლიკოლიპიდებს (Ag85, 38-kDa ცილა, LAM ან დიაცილტრეჰალოზები). დაავადებულ და ჯანმრთელ პოპულაციებში 38-kDa, rMTB48, rCFP-10/ESAT-6–ს და HLA-ს შესწავლით მათ მიმართ გამომუშავებული ანტისხეულების გაცილებით მაღალი კონცენტრაციები გამოვლინდა ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში, ჯანმრთელებთან შედარებით (Bothamley, 1995; Lyashchenko et al, 1998; Xueqiong et al, 2010). თუმცა, აღსანიშნავია, რომ მაღალი სპეციფიკურობა ზუსტი დიაგნოსტიკური თვალსაზრისით ვერც ერთმა მათგანმა ვერ აჩვენა (Singh et al., 2003; Raqib et al., 2003; Lopez-Marin et al., 2003; Julián at al., 2004).

შრატში მოცირკულირე ანტისხეულები (IgG, IgA, IgM) ზრდიან იმუნიტეტის დონეს სხვადასხვა მექანიზმის (ტოქსინების ნეიტრალიზაცია, ოფსონიზაცია, კომპლემენტის აქტივაცია, ციტოკინების სეკრეციის სტიმულაცია, ანტისხეულ-დამოკიდებული ციტოტოქსიკურობა, ანტიგენ-წარმდგენის რეაქციების გაზრდა) საშუალებით. მთელი რიგი კვლევები მიუთითებს, რომ ანტი-მიკრობული ანტისხეულები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ანტიტუბერკულოზური იმუნური პასუხის სხვადასხვა ეტაპზე (Costello et al., 1992; Teitelbaum 1998; Hoft et al., 2002; Williams et al., 2004). ვალიერის მიერ ნაჩვენები იქნა, რომ სპეციფიკური ანტისხეულები ზრდიან BCG-ს ინტერნალიზაციას და განადგურებას მაკროფაგებისა და ნეიტროფილების მიერ.

უფრო მეტიც, ანტისხეულებით შეფუთულ BCG ბაცილებს იმუნურ პასუხში დენდრიტული უჯრედები უკეთ გადაამუშავებენ და წარუდგენენ CD4+ და CD8+ T-უჯრედებს (De Valliére,2005).

ანტისხეულების მიერ მიკრობთა ინტერნალიზაცია და მათი პირდაპირი განადგურება სპეციფიკური მიკრობული სამიზნეების გამოცნობის ხარჯზე ცნობილი არ არის. მაგრამ, ექსპერიმენტში BCG ვაქცინაციით გამოწვეული ჰუმორული იმუნური პასუხის შესწავლისას იკვლევდნენ 17 სახის რეკომბინანტულ, მიკობაქტერიულ ცილოვან ანტიგენს (ბუნებრივ Ag85 კომპლექსს, LAM და მიკობაქტერიის გამონაწურს). აღმოჩნდა, რომ LAM-რეაქტიული შრატის მიმართ იმუნურ პასუხში IgG-ის დონე მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი, როგორც ვაქცინირებულ ინდივიდებში, ასევე ტუბერკულოზურ პაციენტებში. ორალური BCG ვაქცინაციისას კი LAM-რეაქტიული სეკრეტორული IgA დონის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიკვეთა (Brown et al., 2003). აღნიშნული ფაქტი მიუთითებს, რომ შრატის იმუნოგლობულინები აქტიურადაა ჩართული ორგანიზმის ანტიმიკობაქტერიულ დაცვაში და მათი დონის გამოვლენა *M. Tuberculosis*-ით ინფიცირების ინდიკატორს წარმოადგენს.

IgA-ს ანტიმიკობაქტერიული მოქმედების გასარკვევად თაგვებზე ჩატარებულ ექსპერიმენტში გამოვლინდა, რომ მონოკლონური IgA-ს ინტრანაზალური (აეროზოლი) ინოკულირება ალფა კრისტალინის (სტრესული ფაქტორი) წინააღმდეგ, დაახლოებით 9 დღეში 10-ჯერ ამცირებს მიკობაქტერიის კოლონია-წარმომქმნელ ერთეულს (CFU) ფილტვებში. როგორც მონომერული, ისე პოლიმერული IgA-ს შეყვანამ თანაბრად შეამცირა კოლონია-წარმომქმნელი ერთეულები, რაც შესაძლოა, გამოწვეული იყოს იმით, რომ ინფიცირებული ფილტვის მაკროფაგებში ანტისხეულების სამიზნეებს წარმოადგენდს Fcα რეცეპტორები (Fc-αR) და არა პოლიმერული იმუნოგლობუ-ლინური რეცეპტორი (პოლი-IgR). როგორც მოსალოდნელი იყო, დაცვა განხორ-ციელდა ხანმოკლე პერიოდის მანძილზე, რაც შესაძლოა, აიხსნას იმუნოგლობულინის ინტრანაზალური შეყვანის შემდეგ მისი სწრაფი დეგრადაციით (Williams et al., 2004; Palomino et al., 2007).

მოგვიანებით, ტუბერკულოზით დაავადებულ ცხოველებში ჯერ გამა ინტერფერონების ინოკულირებას ახდენდნენ, ხოლო სამი დღის შემდეგ შეჰყავდათ IgA-ს დროის განსხვავებული ინტერვალით (2სთ, 2 და 7 დღე). შედეგად CFU 10-ის ნაცვლად შემცირდა 17-ჯერ, ისევე, როგორც, შემცირდა გრანულომატოზური ინფილტრაცია ფილტვში (Reljic et al., 2006). ამრიგად, INF-γ და IgA, ტუბერკულოზურ იმუნოდეფიციტურ პაციენტებში შესაძლებელია გამოყენებული იქნას, როგორც პროფილაქტიკური ან დამატებითი ქიმიოთერაპიული სამკურნალო საშუალება.

გარდა IgA-ისა, IgG-ც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტუბერკულოზური ინფექციის მართვის პროცესში. ქვემო რესპირატორული ტრაქტის ლორწოვან გარსებში IgA-თან ერთად აღმოჩენილი იქნა IgG (Boyton & Openshaw., 2002).

ჯაინისა და მისი თანამშრომლების (Jain et al., 1984) მიერ ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულებში იმუნოგლობულინების დონის შესწავლისას, ასევე გამოვლენილი იქნა IgG-სა და IgA-ს მნიშვნელოვნად მაღალი დონე დონორებთან შედარებით. IgA მნიშვნელოვნად მაღალი სიხშირით ქალებში დაფიქსირდა, ხოლო IgG-სა და IgM-ს დონე სქესის მიხედვით არ ვარირებდა. დაავადების კლინიკური ფორმების შემთხვევაში IgG-ს მაღალი დონე გამოვლენილი იქნა ტუბერკულოზის ფიბრო-კავერნოზულ ფორმაში. ზოგიერთი ავტორის მიერ დაფიქსირებული იქნა, რომ IgM კლასის იმუნოგლობულინის მატება შეინიშნება დაავადების ადრეულ სტადიაზე, ხოლო დაავადების შემდეგ სტადიებზე გაზრდილი IgG-ის კონცენტრაცია, შესაძლოა, კავშირში იყოს ბაქტერიების აქტიური განადგურების პროცესთან (Ferdous et al., 2008).

სპეციფიკური და არასპეციფიკური იმუნური მარკერების გარდა, რომელიც მოიცავს *M. tuberculosis* შრატის სპეციფიკურ ანტისხეულებს, ჰუმორულ იმუნურ პასუხში ჩართულია სხვა ისეთი ნივთიერებებიც, რომელთა არსებობა ორგანიზმში დაავადების ინდიკატორად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ფილტვის, ისე ფილტვგარე ტუბერკულოზის შემთხვევაში. აღნიშნულ ინდიკატორებს ეკუთვნის T-ლიმფოციტების ფერმენტული ადენოზინ-დეამინაზები, მაკროფაგების აქტივაციის ნეოპტერინული პროდუქტები, მონონუკლეური უჯრედების ზედაპირული ცილა β_2 მიკროგლობულინი, T- უჯრედების ხსნადი ინტერლეიკინ (IL)-2-ის რეცეპტორები, ისევე, როგორც ხსნადი

CD4 და CD8 რეცეპტორები, მაკროფაგებისა და T-უჯრედების ადჰეზიის მოლეკულები და მწვავე ფაზის რეაქტიული ცილები (Hosp et al., 1997; Baumer et al., 1998).

ანტიმიკობაქტერიულ დაცვაში, ასევე, ჩართულია სხვადასხვა სახის მედიატორები: *პრე-ინფლამატორული* ციტოკინები - IFN-γ (Lalvani et al., 1998), რომლის პროდუცირებას და CD4 T- უჯრედების დიფერენცირების სტიმულირებას IL-12 – იწვევს (Cooper et al., 1997; Flynn & Chan, 2001). ცნობილია, რომ IFN-γ-ს, IL-12-სა და მისი რეცეპტორების მაკოდირებელ გენებში ნაპოვნი მუტაციები ასოცირდება მძიმე მიკობაქტერიულ ინფექციასთან (Malik & Schurr, 2002). ასევე, IL-1β ციტოკინი აქტიურადაა ჩართული გრანულომების ფორმირებაში ტუბერკულოზური ინფექციისას (van Crevel et al., 2002). ხოლო IL-18 ასტიმულირებს სხვა პრეინფლამატორული ციტოკინების, ქემოკინების და ტრანსკრიპციული ფაქტორების პროდუქციას (Netea et al., 2000). IL-18-ით ბლოკირებულ თაგვებში მაღალი მგრძნობელობა გამოვლინდა BCG-ით და მიკობაქტერიით ინფიცირებისას (Sugavara et al., 2002).

ანტი-ინფლამატორული ციტოკინებიდან აღსანიშნავია IL-10. იგი სინთეზირდება მაკროფაგების მიერ მიკობაქტერიის შთანთქმის შემდეგ, ასევე სინთეზირდება T-უჯრედების მიერ (Shaw et al., 1998; Boussiotis et al., 2000). იგი თრგუნავს IFNγ-ს, Il-12-ს და TNFα-ს პროდუცირებას (Fulton et al.,1998). თაგვებში მისი ბლოკირების შემთხვევაში მიკობაქტერიისადმი მდგრადობა აღარ ვლინდებოდა (North et al., 1999), თუმცა, მისი როლი ბოლომდე გარკვეული არ არის.

TGFβ სინთეზირდება მონოციტებისა და დენდრიტული უჯრედების მიერ, მას შემდეგ, რაც მიკობაქტერიით სტიმულირება მოხდება (Toossi et al., 1995). ის თრგუნავს T-უჯრედების პროლიფერაციას, IFNγ-ს პროდუქციას, მაკროფაგების მიერ ანტიგენის წარდგენის რეაქციებს, პრო-ინფლამატორული ციტოკინების პროდუქციას და უჯრედულ აქტივაციას. ცნობილია, რომ ისინი ტუბერკულოზისას იწვევენ ქსოვილების დაზიანებას და ფიბროზს (Toossi & Ellner, 1998).

თაგვებში ტუბერკულოზის გამწვავებისას აღინიშნა IL-4 -ის დონის მატება (Howard & Zwilling, 1998). ცნობილია, რომ უჯრედული იმუნიტეტი IL-4 -ის პროდუქციის

შემდეგ არ სტიმულირდება (North et al., 1999), ამიტომ მისი როლი კლინიკური შედეგის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.

ტუბერკულოზის მიმდინარეობისას მნიშვნელოვანია *ქემოკინები* - IL-8, მონოციტის ქემოატრაქტული ცილა-1 (MCP-1) და RANTES (Zhang et al., 1995; Kurashima et al., 1997; Sadek et al.,1998; Pedrosa et al., 2000). ცნობილია, რომ ტუბერკულოზის მკურნალობის შემდეგ პაციენტების შრატში IL-8 დონე აწეულია (Murphy, 1997). MCP-1 სინთეზირდება მაკროფაგებისა და მონოციტების საშუალებით და მისი დონე ტუბერკულოზურ პაციენტებში მაღალია (Kurashima et al., 1997). RANTES - ქემოკინი ტუბერკულოზურ პროცესებში პასუხისმგებელია გრანულომების წარმოქმნაზე (Chensue et al.,1999).

ფილტვის ტუბერკულოზის აქტივაციისას შრატში გაზრდილია კომპლემენტის ცილების C3 −სა და C4-ს კონცენტრაციები (Bothamley, 1995). ასევე, ისინი განიხილება, როგორც დაავადების აქტივაციის მარკერები (Bekker et al., 1998; Juffermans et al., 1998; Verbon et al., 1999).

ტუბერკულოზის დროს უჯრედული და ჰუმორული იმუნური პასუხის მექანიზმების სრულყოფილად ცოდნა, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს ტუბერკულოზის ახალი სრულყოფილი ვაქცინის შესაქმნელად, ალტერნატიული იმუნოთერაპიის, დაავადების გართულების პრევენციისა და მისი მართვის საქმეში.

I.7. ტუბერკულოზი და *M. tuberculosis*-ის მიმართ ორგანიზმის მგრძნობელობაში მონაწილე გენები

ტუბერკულოზის გამომწვევი ბაქტერიით ინფიცირებისას დაავადების კლინიკურ განვითარებაზე მეპატრონე ორგანიზმის გენეტიკური ფაქტორების მნიშვნელობა ეჭვს აღარ იწვევს (Bellamyet al.,1998; Bellamy, 2005; Freidin et al., 2006; Hill, 2006; Ottenhoff, 2005; Remus, 2003). უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე განხორციელებული კვლევებით დადასტურებულია, რომ ტუბერკულოზის მიმართ არსებობს ორგანიზმის გენეტიკური წინასწარგანპირობებულობა (Stead et al.,1990; Shaw et al.,1997; Li et al., 2006/2006; van der Eijk et al.,2007). ჩატარებული კვლევები ძირითადად ტუბერკულოზის ფილტვის ფორმას ეხება, რადგან ტუბერკულოზური დაავადებების 95% მასზე მოდის და ფილტვგარეშე ფორმებთან შედარებით სრულყოფილადაა შესწავლილი.

იდენტიფიცირებული იქნა ფილტვის ტუბერკულოზის მიმართ მგრძნობელობის არა ერთი გენი და გენთა ალელი, რომელთა, თუნდაც ერთნუკლეოტიდიანი ცვლილება განაპირობებს მისი ფუნქციის შეცვლას და გავლენას ახდენს დაავადების მიმართ ორგანიზმის სენსიბილობასა თუ მდგრადობაზე. მაგრამ ამავდროულად, ტუბერკულოზის მიმართ მგრძნობიარე კანდიდატი გენების შესახებ მიღებული მონაცემების მიხედვით ზოგადი დასკვნების გაკეთებას ართულებს ის გარემოება, რომ კვლევები განსხვავებულ პოპულაციებში განსხვავებულ, ზოგჯერ საპირისპირო შედეგებს იძლევა. თუ ერთი რომელიმე კონკრეტული გენი ან გენის ალელი ასოცირებულია ტუბერკულოზთან კონკრეტულ პოპულაციაში, აღნიშნული ასოციაცია არ ფიქსირდება სხვა პოპულაციაში (Li et al., 2006). ამის მიზეზი ხშირად კონკრეტული პოპულაციისთვის დამახასიათებელი ბალანსური პოლიმორფიზმის შედეგია, რომელიც კონკრეტულ გარემოში ევოლუციურად თვით ამ პოპულაციებთან ერთად ჩამოყალიბდა. განსხვავებული ალელების შემცველობა პოპულაციურ დონეზე პირდაპირ განსაზღვრავს ტუბერკულოზის მიმართ პოპულაციის მგრძნობელობას ან მდგრადობას. ხშირად პოპულაციებში ალელურ და არაალელურ გენებთან ურთიერთქმედების ბალანსი განსაზღვრავს სპეციალური იმუნური გენების ექსპრესირების დონეს და ხასიათსაც, შესაბამისად შედეგებიც განსხვავებულია.

ტუბერკულოზთან ასოცირებული გენების თითქმის 90% ორგანიზმის იმუნური სისტემის მაკონტროლებელი გენებია, რომლებიც ინფექციური აგენტების მიმართ დამცველობით იმუნურ პასუხს ავითარებენ. მეცნიერული კვლევების მთავარი ფოკუსიც, სწორედ, მათი გენეტიკური ლოკუსების შესწავლისა და დაავადებასთან ასოციაციის გამოვლენის მიმართულებით წარიმართა. აღნიშნული გენების გამოვლენა ინფიცირებამდე ან ინფიცირების შემდეგ დაავადების მიმართ პროგნოზირების და პრევენციის საკმაოდ დიდ პერსპექტივას წარმოადგენს.

ცნობილია, რომ ანტიტუბერკულოზურ იმუნურ პასუხში მთავარი ალვეოლებში განვითარებული ფაგოციტური პასუხია, სადაც არსებით როლს ალვეოლური მაკროფაგები ასრულებენ (van Crevel et al., 2002; Adams et al., 1997). ამ პროცესებში ჩართულია, ასევე, TLR, რომელიც განაპირობებს ორგანიზმის იმუნური პასუხის სტიმულირებას და მიკობაქტერიის განადგურებას (Kaufmann, 2001). შესაბამისად, გასულ ათწლეულში კვლევების ძირითადი ნაწილი ამ პროცესებში ჩართული მაკროფაგური ცილების და TLR მაკოდირებელი გენების კვლევებს მოიცავს (Medzhitov, 2001; Krutzik et al, 2001; Iwasaki & Medzitov, 2004).

TLR (TLR1, 2, 4 და 6) შეიცნობს სხვადასხვა პათოგენთან ასოცირებულ მოლეკულებს (ადაპტური MyD88 ცილა) და ასტიმულირებს თანდაყოლილი იმუნიტეტის განვითარებას, ციტოკინების პროდუცირებას და ადაპტური იმუნიტეტის პროცესს (Cook et al, 2004). მათ აქვთ უნარი, იმოქმედონ ტოლ-ინტერლეიკინ-1-ის რეცეპტორის ადაპტურ ცილასთან (TIRAP ლოკალიზებულია ციტოპლაზმაში TLR2 და TLR4 ცილების სახით,) და მოახდინონ მაკროფაგებისა და დენდრიტული უჯრედების აქტივაცია (Heldwein 2002; Khor et al., 2007). აღნიშნული ადაპტური ცილის მაკოდირე-ბელი გენის პოლიმორფული ვარიაციები განსაზღვრავენ ორგანიზმის განსხვავებულ მიდრეკილებას ინფექციური დაავადებების მიმართ. მაგალითად, ვიეტნამის პოპულაციაში ამ გენის TIRAPC558T*T პოლიმორფული ვარიაცია ასოცირდება ტუბერკულოზურ მენინგიტთან (Hawn et al., 2006), ხოლო კოლუმბიის პოპულაციაში იგივე პოლიმორფული ვარიაცია (TIRAPC558T*T) ფილტვის ტუბერკულოზის მიმართ ორგანიზმის მდგრადობასთან ასოცირდება (Castiblanco et al., 2008).

ინფექციური დაავადების მიმართ მგრძნობელობის განმსაზღვრელი გენების დიდი ნაწილი მოთავსებულია ადამიანის ჰისტოშეთავსებადობის მთავარ კომპლექს-ში (MHC) (Medzitov, 2001). პაციენტები, რომლებიც ატარებენ განსაზღვრული ტიპის ადამიანის ლეიკოციტური ანტიგენების (HLA) II კლასის ალელებს, ავითარებენ განსხვავებულ იმუნურ პასუხს ტუბერკულოზის მიმართ და განსხვავებულად არიან მიდრეკილნი დაავადების განვითარებისკენ. HLA-ს და ტუბერკულოზს შორის ასოციაციური კავშირის შესასწავლად სხვადასხვა პოპულაციაში ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილია ტუბერკულოზისადმი გენის მგრძნობელობის 10 პოლიმორფული ვარიაცია. (Kim et al.,2005; Freidin et al., 2006; Palomino et al., 2007; Taype et al., 2010;).

HLA-DRB1*1501 და -DQB1*0601 ალელები ტუბერკულოზთან ასოცირდება ინდოეთის ჩრდილო და სამხრეთის ეთნიკურ პოპულაციებში (Ravikumar et al., 1999), ხოლო -DQB1*0503 ალელი - ვიეტნამის პოპულაციაში (Goldfeld et al., 1998). HLA-DQB1*05 და -DQB1*02 ალელების ასოციაციური კავშირი ტუბერკულოზთან დაფიქსირდა პოლონეთის პოპულაციაში (Dubaniewicz et al., 2003). მექსიკაში - HLA-DQA1*0101, -DQB1*0501 (Escandon et al., 1999), ხოლო კორეაში HLA-DRB1*0803 და -DQB1*0601 ალელები აღმოჩნდა ჩართული დაავადების პროგრესირებაში. კანადის მოსახლეობის კვლევისას გამოვლინდა ტუბერკულოზის წინასწარგანპირობებულობის HLA-B8 ალელი, ჩრდილოეთ ამერიკის ზანგებში –HLA-B5, -B15 და DR-5 ალელი, ეგვიპტელებში - HLA- A2 და –B5, ბერძნებში - HLA–B27 ალელი. კვლევათა შედეგები მეტყველებს, რომ MHC გენების პოლიმორფიზმი მსოფლიოს მრავალ პოპულაციაში ასოცირდება ტუბერკულოზისადმი პოპულაციის მდგრადობის გაძლიერებასთან (Kim et al., 2005).

TNFα-ის მაკოდირებელი გენის, რომელიც მთავარ როლს თამაშობს ტუბერკულოზის დროს გრანულომის წარმოქმნაში და მაკროფაგების აქტივაციაში, ლოკუსი განთავსებულია MHC კლასის III რეგიონში. ბეკერის (Bekker et al., 2000) მონაცემებით, TNF-α ასოცირდება ექსტენსიურ ტუბერკულოზთან. მსგავსი ასოციაცია ექსტენსიური ტიპის ტუბერკულოზთან რუსულ პოპულაციებში TNF-308 პოლიმორ-ფიზმთან გამოვლინდა (Bikmaeva et al., 2002), თუმცა, პერუში ტუბერკულოზთან

აღნიშნული ლოკუსის ასოციაციური კავშირი არ იქნა ნაპოვნი (Ben-Selma et al., 2010; Fan et al., 2010). სელვარაჯის (Selvaraj et al., 2001) მიერ ინდურ პოპულაციაში მიღებული მონაცემებით, თუ გენომში HLA-A1, -B17, -B21 და -DR7 TNF-308*A ერთად იქნება, კომპლექსი განაპირობებს ტუბერკულოზის მიმართ ორგანიზმის მდგრადობას და მიკობატერიის ინჰიბირებას.

რიგი მეცნიერების აზრით, ტუბერკულოზის წინასწარგანპირობებულობას განსაზღვრავს გამა-ინტერფერონის (IFN-γ) მაკოდირებელი ლოკუსები, რომელთა პროდუქტები ჩართულია მიკობაქტერიის მიმართ განვითარებულ უჯრედულ იმუნურ პასუხში (Flynn, 1993; Lalvani et al, 1998; Hill et al., 2006; Taype et al., 2006).

გარდა ზემოთ აღნიშნული გენეტიკური ლოკუსებისა, მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო ინტერლეიკინების მაკოდირებელი გენების პოლიმორფიზმსა და ტუბერკულოზს შორის ასოციაციურმა კავშირმა. აღნიშნული ლოკუსები მაღალი ვარიაბელობით ხასიათება და ხშირად სპეციფიკურია სხვადასხვა ეთნიკური პოპულაციისთვის. ცნობილია, რომ IL-12BR1 გენი აკოდირებს IL- 12 რეცეპტორს. იგი მაროკოს (Remus et al., 2004; cooper et al., 2007) და იაპონიის (Akahoshi et al., 2003) პოპულაციაში ასოცირდება ფილტვის ტუბერკულოზთან და აღნიშნული ლოკუსის მატარებელ პირებში დაავადებისადმი მგრძნობელობა გაზრდილია, მაგრამ გენის IL-12RB1 ვარიაცია, რომელიც გამოწვეულია ერთნუკლეოტიდიანი ცვლილებით, იაპონურ პოპულაციაში არ ასოცირდება დაავადებასთან (Lee et al., 2005).

გამბიის მოსახლეობა ფილტვის ტუბერკულოზისაგან გარკვეულწილად „დაცულია“ ჰეტეროზიგოტური IL1RNVNTR*2 (IL-1რეცეპტორის ანტაგონისტური გენი) გენური ალელის მატარებლობით. აღნიშნულ პოპულაციაში შესწავლილი იქნა აგრეთვე IL1B-511 ალელი, მაგრამ მიკობაქტერიულ ინფექციასთან მისი ასოციაციური კავშირი ვერ იქნა გამოვლენილი (Bellamy et al., 1998). სხვა ავტორების მიერ გამბიაში ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა ჰეტეროზიგოტური IL1B-511*C ალელის ასოციაცია ფილტვის ტუბერკულოზთან, მაშინ, როცა IL1B-511*C-ით ჰომოზიგოტურ ინდივიდებში არანაირი ასოციაციური კავშირი არ გამოვლინდა ამ მიმართულებით (Awomoyi et al., 2005). რუსულ პოპულაციაში ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა

IL1RNVNTR*2 ალელის მაღალი მგრძნობელობა ფილტვის ტუბერკულოზისადმი (Freidin et al., 2006).

ბელამისა და თანამშრომლების (Bellamy et al., 1998) მიერ ნაპოვნი იქნა კორელაცია IL10 პოლიმორფიზმსა და ფილტვის ტუბერკულოზს შორის გამბიაში. ჰეტეროზიგოტური IL10-1082 და IL10-1082*G ალელების მატარებლობა ასოცირდება ფილტვის ტუბერკულოზის მოსალოდნელობასთან კამბოჯასა და თურქეთში ჩატარებული გამოკვლევებით (Delgado et al., 2002; Ates et al., 2007). IL10-592*A - განაპირობებს ანტიმიკობაქტერიულ დაცვას კორეის მოსახლეობაში (Shin et al., 2005), ხოლო IL10-1082*A კი ტუბერკულოზის მოსალოდნელობას განსაზღვრავს კოლუმბიაში (Henao et al., 2006). მორენოსა და თანამშრომლების (Moreno et al.,2007) მიერ შესწავლილი იქნა IL10 მაკოდირებელი გენის -1082, IL10-819 და IL10-592 ალელები, თუმცა, მიღებული შედეგები სხვადასხვა ეთნიკურ პოპულაციაში საკმაოდ განსხვავებული აღმოჩნდა.

ანტიტუბერკულოზურ იმუნიტეტში მნიშვნელოვანი როლი აკისრია ტრანსფორმაციული ზრდის ფაქტორ 1-ს TGF-b1 (Moore et al., 2001), რომელიც არეგულირებს უჯრედული ზრდისა და გარე მატრიქსის წარმოქმნის პროცესებს და მონაწილეობს იმუნორეგულაციაში ტუბერკულოზის დროს (Wenner and Yan, 2003). აღნიშნული გენის პოლიმორფიზმი შესწავლილი იქნა ჩინეთის, ჰონგ-კონგის, კოლუმბიისა და თურქეთის პოპულაციებში (Niimi et al., 2002; Henao et al., 2006; Oral et al., 2006; Mak et al., 2007), სადაც ტუბერკულოზსა და TGFβ1+869 ალელს შორის ასოციაციური კავშირი ვერ იქნა ნაპოვნი, მაშინ, როცა აღნიშნული გენის TGFβ1+869*T ალელი ირანულ პოპულაციაში განსაზღვრავს ორგანიზმის მდგრადობას მიკობაქტერიული ინფექციის მიმართ (Amirzargar et al., 2006).

თვლიან, რომ ვიტამინ D-ს რეცეპტორის გენი (VDR) რაღაც როლს ასრულებს ინფექციური აგენტების მიმართ ანტიტუბერკულოზური იმუნური პასუხის აქტივაციაში (Prithvi R. et.al. 2011). სანამ ანტიტუბერკულოზურ მკურნალობაში ჩაერთვებოდა ქიმიური პრეპარატები, სანატორიული მკურნალობის განუყოფელი ნაწილი D ვიტამინით მდიდარი რაციონი და მზის სხივების აბაზანები იყო (Evans, 1994). ვიტამინ D_3 -ის სინთეზი დამოკიდებულია კანზე ულტრაიისფერი სხივების მოქმედებაზე,

რომელშიც მთავარ როლს პიგმენტი მელანინი ასრულებს. მეცნიერთა ვარაუდით, იგი შესაძლოა, გარკვეულწილად განსაზღვრავდეს ტუბერკულოზისადმი ორგანიზმის მგრძნობელობას (Liu et al., 2006). პიგმენტირებულ რასებში, სადაც დაავადება განსაკუთრებით მაღალი პრევალენტობით ხასიათდება, შეინიშნება D ვიტამინის უკმარობა, განსაკუთრებით კი - ნაკლებადმზიანი კლიმატის პირობებში (Wilkinson et al., 2000). ოგვიანებით გამოვლენილი იქნა VDR-ის პოლიმორფული ვარიაციები (Uitterlinden., 2004) და დადგენილ იქნა აღნიშნული გენის პოლიმორფიზმის მგრძნობელობა ოსტეოართრიტის, დიაბეტის, სიმსივნის და კარდიოვასკულარული დაავადებების (Uitterlinden et al., 2004) და ტუბერკულოზის მიმართ (Bellamy et al., 1999). გამოვლენილი იქნა VDR-ის FokI, TaqI, BsmI და ApaI პოლიმორფული ალელები (Bornman et al., 2004). მეტა-ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ VDR-ის პოლიმორფული ვარიაციები სხვადასხვა პოპულაციაში ასოცირდება ტუბერკულოზისადმი მგრძნობელობასთან (Sharma et al., 2011). უილკინსონისა და თანაავტორების აზრით (Wilkinson et al., 2000), ვიტამინ D-ს რეცეპტორი სხვა გენეტიკურ თუ გარემო ფაქტორებთან ერთობლივად განაპირობებს ტუბერკულოზისადმი მდგრადობას

რადგანაც მაკროფაგები ტუბერკულოზური პათოლოგიისას ყველაზე მეტად ჩართული უჯრედებია დაცვის პირველი ხაზის შექმნაში, მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღება SLC11A1 გენმა მიიქცია.

ბუნებრივ რეზისტენტობასთან ასოცირებული მაკროფაგური ცილის მაკოდირებელი SLC11A1 გენის როლი ტუბერკულოზური ინფექციის დროს. გენი SLC11A11 თავდაპირველად *bcg* გენად იწოდებოდა (Skamene, 1994). იგი ტუბერკულოზის მიკობაქტერიით ინფიცირებული მასპინძელი ორგანიზმის გენეტიკურ სტრუქტურაში დაავადების მიმართ მგრძნობელობის შესწავლის მიზნით აპრობირებული პირველი გენი იყო და ნაპოვნი იქნა ანომალურად სენსიბილური ხაზის BCG *Salmonella* და *Leishmania* ინფექციის მქონე თაგვებში, სადაც ბაქტერიული ინფექციებისადმი მდგრადობას განაპირობებდა.

SLC11A1 გენი აკოდირებს მაკროფაგების მემბრანაში განვლად ტრანსმემბრანულ ცილას, რომლის ფუნქციას ორვალენტიანი კათიონების (Fe(2+) და Mn(2+), როგორც

პრო- და ეუკარიოტული კატალაზებისა და ზეჟანგების კოფაქტორები) მემბრანული ტრანსპორტი და ფაგოლიზოსომებში იონური სტატუსის შენარჩუნება წარმოადგენს, რაც თავის მხრივ, იწვევს მაკროფაგების აქტივაციას (Nevo, 2006), მასპინძლის ანტიმიკრობული რადიკალების გენერალიზებას და მიკობაქტერიის წინააღმდეგ დამცავი ფერმენტების გამომუშავებას (Blackwell et al, 2000, 2003; Goswami et al, 2001).

ტუბერკულოზთან SLC11A1 გენის ასოციაციური კავშირის შესახებ პირველი ეჭვი მას შემდეგ გაჩნდა, რაც თაგვებში ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები გამოაქვეყნეს. როდესაც თაგვების ერთ-ერთ ხაზს გაუთიშეს აღნიშნული გენი, ისინი ველური ხაზებისაგან განსხვავებით ისეთი რეზისტენტულები არ აღმოჩნდნენ *M. tuberculosis* მიმართ (North et al., 1999). SLC11A1 გენში მომხდარი კონკრეტული სახის მუტაცია მნიშვნელოვნად ამცირებს ფაგოსომების მომწიფებას და ასიდიფიკაციას. ამდენად, მუტანტური თაგვები უფრო მგრძნობიარენი აღმოჩდნენ ტუბერკულოზის მიმართ (Vidal et al, 1996).

მას შემდეგ, რაც ამ გენის ანალოგი SLC11A1 გენი ადამიანის გენეტიკურ სტრუქტურაშიც იქნა ნაპოვნი კანადური ოჯახის მაგალითზე (რისკ ფაქტორი = ~ 10) (Cellier et al., 1994) და გაირკვა მისი პოლიმორფიზმის ძლიერი ასოციაციური კავშირი ტუბერკულოზისადმი მგრძნობელობაში, ინტერესი კვლავ განახლდა (Greenwood et al., 2000).

გამოვლენილი იქნა ასოციაციური კავშირი ტუბერკულოზის მოსალოდნელობასა და SLC11A1 გენეტიკურ ვარიაციებს შორისაც ადამიანთა პოპულაციებში (Cervino et al., 2000; Takahashi et al., 2008). ამჟამად ცნობილია SLC11A1 გენის ოთხი ვარიაცია (Bellamy et al., 1998), რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება ტუბერკულოზური ინფექციებისადმი წინასწარგანპირობებულობის თუ მდგრადობის შესწავლის მიზნით განხორციელებულ კვლევებში. SLC11A1 გენი და მისი პოლიმორფული ვარიაციები ყველაზე მეტად შესწავლილი გენეტიკური ფაქტორია ტუბერკულოზის შემთხვევაში მსოფლიოს სხვადასხვა ეთნიკურ პოპულაციაში (Bellamy et al., 1998; Ryu et al., 2000; Blackwell et al., 2001; Zhang et al., 2005; Li et al., 2006; Liu et al., 2004; Abel & Casanova 2010)

ბოლო დროს გამოქვეყნებული მეტა-ანალიზის შედეგებით, რომელიც ეყრდნობოდა 17 სხვადასხვა კვლევას (Li et al., 2006), ნაჩვენები იქნა, რომ SLC11A1 გენის

4 სხვადასხვა ლოკუსში არსებული პოლიმორფიზმი (5’(GT)n, INT4, 3′UTR, D543N) ასოცირდება ტუბერკულოზის მიმართ ორგანიზმის მგრძნობელობასთან.

აფრიკის და აზიის პოპულაციებში SLC11A1-s 3’UTR, D543N და 5’(GT)n ლოკუსების პოლიმორფიზმი მყარად ასოცირდება ფილტვის ტუბერკულოზთან. ინდივიდები, რომლებიც ატარებდნენ აღნიშნულ ლოკუსებში, თუნდაც, ერთნუკლეოტიდიან ცვლილებას, ტუბერკულოზის განვითარების 27%, 61% და 25%-ით მაღალი რისკის ჯგუფებს მიეკუთვნებოდნენ აღნიშნული ლოკუსების შესაბამისად. აზიის პოლულაციებში სამივე ალელი უფრო მაღალი სიხშირის ასოციაციურ კავშირში (39%, 59%, 65%) გამოვლინდა ტუბერკულოზის მიმართ, ვიდრე სხვა რეგიონის წარმომადგენლებში. გენის ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი ვარიაციიდან მხოლოდ 3’UTR-ის პოლიმორფიზმი არაა დაფიქსირებული ტუბერკულოზით დაავადებულ აფრიკულ პოპულაციაში. რაც შეეხება ევროპულ რეგიონს, კვლევების შედეგად შესწავლილ პოპულაციებში აღნიშნული ოთხიდან ტუბერკულოზით დაავადებულ პოპულაციაში არც ერთი ლოკუსის პოლიმორფიზმი არ გამოვლენილა, თუმცა, არსებობს ვარაუდი დაბალი სიხშირით (9.3%) მისი არსებობის შესახებ (Li et al., 2006).

მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის პრევალენტობის მაჩვენებლის ზრდასთან ერთად მეცნიერები ახალი გამოწვევის წინაშე დადგნენ (Espinal et al., 2003). არსებული მონაცემები MDR-TB-ის განვითარებაზე მასპინძელი ორგანიზმის გენეტიკური ფაქტორების ზეგავლენის შესახებ ძალზე მწირია, თუმცა, მსგავსი ზეგავლენის არსებობა სრულიად შესაძლებელია. 2005 წელს ზანგისა და მისი თანამშრომლების მიერ დაფიქსირდა, რომ SLC11A1 გენის პოლიმორფიზმი ასოცირდება ტუბერკულოზის მძიმე ფორმასთან (Zhang et al., 2005), ხოლო იაპონიაში ჩატარებული კვლევებით ამ გენის D543N და 30UTR ლოკუსებში მომხდარი ცვლილებები ასოციაციურ კავშირშია MDR-TB-თან იაპონურ პოპულაციაში (Takahashi et al., 2008). აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა, SLC11A1-ს პოლიმორფიზმი გავლენას ახდენდეს მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის შემთხვევებზე.

დღეს მეცნიერთა ინტერესი მიმართულია ტუბერკულოზისადმი ორგანიზმის მდგრადობის განმაპირობებელი გენეტიკური ფაქტორებისა და მისი მოქმედების

მექანიზმების გამოვლენისკენ. გენეტიკური მდგრადობის ფაქტორების გარკვევამ, შესაძლოა, ახლო მომავალში მიგვიყვანოს პოპულაციის დონეზე ტუბერკულოზის პრევენციასთან ბუნებრივ მდგრადობაზე პასუხისმგებელი მექანიზმების სტიმულირებით.

თავი II. კვლევის მასალა და მეთოდები

II.1. კვლევის მასალა

კვლევა ჩატარებული იქნა ქართული და საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანული პოპულაციების ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში.

კვლევისას შესწავლილი იქნა ფილტვის ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმით დაავადებული 415 პაციენტი, რომლებიც შედარებული იქნა ჯანმრთელ დონორულ პოპულაციასთან.

საკვლევ მასალას წარმოადგენდა პაციენტების ვენური (2მლ) და პერიფერიული (20მკლ) სისხლი. კვლევისთვის სხვადასხვა ეტაპზე გამოყენებული იქნა ერითროციტური მასა, გარეცხილი ერითროციტები; ერითროციტები პლაზმაში, სისხლის შრატში და ფიზიოლოგიურ ხსნარში; პაციენტის სისხლის შრატი და პაციენტის დნმ.

სისხლი შეგროვილი იქნა რანდომულად ორთავე სქესის 17-65 წლის ასაკის პაციენტებიდან. პაციენტთა უმრავლესობა იყო კულტურა-დადებითი.

კვლევა განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

1. ტუბერკულოზთან ერითროციტური ჯგუფური ანტიგენების კორელაციური კავშირის გამოსავლენად შესწავლილი იქნა:

- ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული 203 ქართველი პაციენტი, (113 სხვადასხვა ტიპის წამლის მიმართ სენსიტიური, ხოლო 90 ტუბერკულოზის წამლის მიმართ რეზისტენტული ფორმით იყო დაავადებული). საკვლევი ჯგუფების მონაცემები შედარებული იქნა დონორულ (ჯანმრთელ) პოპულაციას-თან (Nagervadze, 2010);
- 92 აზერბაიჯანელი პაციენტი (53 ფ./ტბ. სენსიტიური, 39 ფ./ტბ. წამალრეზისტენტული ფორმით დაავადებული). საკვლევი მასალა შედარებული იქნა დონორულ (ჯანმრთელ) აზერბაიჯანულ პოპულაციასთან (Геноф. геногеогр. Народонос.Т.I. 2000).

2. ტუბერკულოზით დაავადებულთა იმუნური სტატუსის შესასწავლად გამოკვლეული იქნა 120 პაციენტი, რომელთაგან ცალკე საკვლევ ჯგუფებად

გამოიყო: სენსიტიური და რეზისტენტული ტუბერკულოზის, დაავადების სხვადასხვა კლინიკური (კეროვანი, ინფილტრაციული რღვევის ფაზაში, ფიბრო-კავერნოზული) ფორმის მქონე, ასევე, პირველადი და ნამკურნალევი პაციენტები და შედარებული იქნა ჯანმრთელ მოხალისეებთან.

3. ინფექციური დაავადებების მგრძნობელობასთან ასოცირებული SLC11A1 გენის D543N ლოკუსის პოლიმორფიზმის რეზისტენტულ ტუბერკულოზთან ასოციაციური კავშირის გამოსავლენად გამოკვლეული იქნა სულ 120 პაციენტი (80 რეზისტენტული და 40 სენსიტიური ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტი).

კვლევები განხორციელდა შემდეგი ლაბორატორიების ბაზაზე:

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტთან არსებული იმუნოგენეტიკის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია;
- ფილტვის დაავადებათა და ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრის ბიოქიმიური ლაბორატორია;
- ალექსანდრეს ტექნოლოგიური საგანმანათლებლო ინსტიტუტის ბაზაზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია (საბერძნეთი);
- კომპანია "Bioprobe"-ის სამეცნიერო-დიაგნოსტიკური ლაბორატორია „ბიო-პრობი" (საბერძნეთი).

II.1. კვლევის მეთოდები

II.1.1. იმუნოსეროლოგიური მეთოდები

კვლევისას ვიყენებდით საერთაშორისოდ აღიარებულ იმუნოსეროლო-გიურ მეთოდებს (Parsons, 1985; Judd, 1994):

- ABO სისტემის განსაზღვრის პირდაპირი რეაქცია მონოკლონური ანტისხეულების (ანტი-A და ანტი-B) გამოყენებით;

- რეზუს სისტემის ანტიგენების განსაზღვრა

ა) ექსპრეს-მეთოდი უნივერსალური რეაგენტების გამოყენებით;

ბ) ექსპრეს-მეთოდი პლანშეტზე სრული ფორმის ანტისხეულებით;

- MN და Kell სისტემის ანტიგენების განსაზღვრა ექსპრეს-მეთოდით უნივერსალური მონოკლონური ანტისხეულების გამოყენებით (Voak, 1986, 1989).

მუშაობისას ვიყენებდით შემდეგი სპეციფიკურობის მქონე ტესტ-სისტემებს: ანტი -AB, -B, -A, -D, -CD(G), -C, -c, -E, -Ce, -e, -K, -M, -N (Messeter et al., 1984; Watkins et al., 1988; ООО «Гемостандарт», Москва), სტანდარტულ 0(I), A(II), B(III), AB (IV) შრატებს (გამოყენებული რეაქტივების ტიტრი არ იყო 1:32-ზე დაბალი) (Voak, 1999). (სურ.2-3).

სურ. 2-3. სისხლის ჯგუფების ტიპირება მონოკლონური ანტისხეულების გამოყენებით

II.1.2. ბიოსტატისტიკური ანალიზის მეთოდები

AB0 სისტემის გენების ალელების გავრცელების სიხშირეს ვთვლიდით ბერშტეინის (F.Bernstein) მიერ შემოთავაზებული ფორმულით, რომელიც გამოიყენება სამალელიანი გენეტიკური სისტემის კვლევისას. I^0, I^A და I^B გენების სიხშირე მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულია ***r, p*** და ***q*** ასოებით:

$$r = \sqrt{O}$$

$$p = 1 - \sqrt{A+O}$$

$$q = 1 - \sqrt{B+O}$$

სადაც 0, A და B – 0(I), A(II) და B(III) ჯგუფის მატარებელ ადამიანთა თანაფარდობაა საკვლევ ობიექტთა საერთო რაოდენობასთან მიმართებაში.

Rh სისტემის გენებისა და ჰაპლოტიპების სიხშირე გამოთვლილი იქნა შემდეგი ფორმულების გამოყენებით:

1. $\boldsymbol{D} = 1 - \sqrt{dd}$
2. $\boldsymbol{C} = 1 - \sqrt{cc}$
3. $\boldsymbol{E} = 1 - \sqrt{ee}$
4. $\boldsymbol{c} = 1 - \sqrt{CC}$
5. $\boldsymbol{e} = 1 - \sqrt{EE}$
6. $\boldsymbol{d} = 1 - \sqrt{\boldsymbol{D}}$

სადაც D, C, E, c, e გენების მატარებელ პირთა რაოდენობაა საკვლევი მასალის რაოდენობასთან თანაფარდობაში; dd, cc, ee, CC და EE – შესაბამისი ფენოტიპების სიხშირე. Rh ჰაპლოტიპების სიხშირე გამოთვლილ იქნა მოურანტის (A. E. Mourant) მიერ შემოთავაზებული ფორმულით:

1. $\boldsymbol{cde} = \sqrt{ccddee}$
2. $\boldsymbol{Cde} = \dfrac{Ccddee}{2cde}$
3. $\boldsymbol{cdE} = \dfrac{ccddEe}{2cde}$
4. $\boldsymbol{cDe} = \dfrac{ccDee}{2cde}$
5. $\boldsymbol{cDE} = \sqrt{ccDEE + cdE^2} - \boldsymbol{cdE}$
6. $\boldsymbol{CDe} = \sqrt{CCDee + Cde^2} - \boldsymbol{Cde}$
7. $\boldsymbol{CDE} = \dfrac{CCDEe}{2(CDe + cde)}$

სადაც ccddee, Ccddee, ccddEe, ccDee, CCDee და ccDEE – შესაბამისი ფენოტიპების სიხშირეა.

RhD და Kell სისტემის ალელების კონცენტრაციის გამოსათვლელად გამოვიყენეთ შემდეგი ფორმულები:

$$q = \sqrt{\frac{n_{aa}}{N}},$$

$$p = 1 - q$$

სადაც n_{aa} აღნიშნული ლოკუსების მიხედვით რეცესიული ჰომოზიგოტებია (dd და kk); N - გამოკვლეულ პირთა საერთო რაოდენობა.

MN სისტემის ალელების კონცენტრაციის დასადგენად ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა შემდეგი ფორმულები:

$$P = \frac{n_A + \frac{1}{2} n_{AB}}{N},$$

$$q = \frac{n_B + \frac{1}{2} n_{AB}}{N}$$

სადაც n_A – M ფენოტიპის მატარებელთა რაოდენობაა, n_{AB} - MN ფენოტიპებისა, ხოლო n_B - N ფენოტიპის მატარებელთა რაოდენობაა.

ცდომილებები გამოთვლილ იქნა ფორმულით:

$$M = \sqrt{P(100 - P)/n} \quad \text{(Урбах, 1975)}$$

სადაც P – ანტიგენების სიხშირეა % -ში, n – საკვლევი ობიექტების რაოდენობა.

II.1.3. კვლევის მოლეკულურ-ბიოლოქიმიური მეთოდები

SLC11A1 გენის D543N ლოკუსის პოლიმორფიზმის შესწავლისა და ფილტვის ტუბერკულოზის მულტირეზისტენტულ ფორმებთან შესაძლო ასოციაციური კავშირების გამოვლენის მიზნით გამოყენებული იქნა პოლიმერული ჯაჭვური (PCR) და რესტრიქციული ფრაგმენტების სიგრძის პოლიმორფიზმის (RFLP) რეაქციები. ექსპერიმენტი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

1. დნმ-ის ექსტრაქცია;

2. პრაიმერების დიზაინი;

3. პოლიმერული ჯაჭვური რეაქცია (PCR);

4. რესტრიქციული ფრაგმენტების სიგრძის პოლიმორფიზმი (RFLP);

5. აგაროზას გელ-ელექტროფორეზი.

II.1.3.1. დნმ-ის ექსტრაქცია

დნმ-ის ექსტრაქციისთვის შერჩეული იქნა "ინვიტროგენის" მიერ წარმოებული „PureLink™ Genomic DNA Kits" კიტი სისხლის ნიმუშებისთვის, კატალოგის ნომრით - K1820-01, K1820-02, K1821-04.

დნმ-ის გამოყოფას ვახდენდით პაციენტებიდან აღებული 200 მკლ ვენური სისხლიდან (სურ. 4-5).

სასურველი რაოდენობის დნმ-ის მისაღებად შევარჩიეთ მეთოდიკა, რომელიც მოიცავს შემდეგ თანმიმდევრულ პროცედურებს:

I. <u>ლიზატას მომზადება.</u> - უჯრედების ლიზისი

- სტერილურ ეპინდორფებში ვათავსებდით 200 მკლ სისხლს;
- ვამატებდით პროტეინკინაზა K 20 მკლ;
- ვამატებდით რნმ-აზას 20 მკლ-ს;
- ნარევს ფრთხილად ვურევდით და ვაჩერებდით 2 წთ ინკუბაციისთვის;
- ვამატებდით 200 მკლ PureLink™ გენომურ ლიზისურ/შემბოჭავ ბუფერს და ვურევდით ჰომოგენური მასის მიღებამდე;
- ვაჩერებდით 10 წუთის განმავლობაში 55°C-ზე წყლის აბაზანაში;
- ვამატებდით 200 მკლ 96-100% ეთანოლს და ვანჯღრევდით ~5 წმ ჰომოგენური სითხის მიღებამდე.

შემდეგ ეტაპზე გამოვიყენეთ:

- ლიზატა;
- სტერილური 1.5 მლ-იანი მიკროცენტრიფუგის სინჯარები;
- მიკროცენტრიფუგა - 10 000 ბრუნზე მაღალი სიხშირის;

- სტერილური წყალი - pH 7.0-8.5 ან დამლექავი ბუფერი;
- PureLink™ გენომური გამრეცხი ბუფერი - 1 და 2;
- PureLink™ გენომური გამომლექი ბუფერი;
- PureLink™ ფილტრიანი სვეტები;
- PureLink™ პლასტიკური სინჯარები ფილტრიანი სვეტების მოსათავსებლად;

II. <u>დნმ-ის შებოჭვა</u> - ამ ეტაპზე ლიზატა მუშავდება სპეციფიკური დნმ-ის შემბოჭველი ბუფერით:

- დნმ-ის შემცველი ლიზატა გადავიტანეთ ფილტრიან სვეტში (~640მკლ);
- დავამატეთ PureLink™ გენომის ლიზისური/შემბოჭველი ბუფერი;
- დავაცენტრიფუგეთ 10 000 ბრუნზე 1წთ-ის განმავლობაში;
- გაფილტრული სითხე გადავღვარეთ, ფილტრიანი სვეტი გადავიტანეთ ახალ მიკროცენტრიფუგის სინჯარაში.
-



სურ. 4-5 დნმ-ის ექსტრაქციის პროცესი.

III. <u>დნმ-ის გარეცხვა:</u> დნმ ვრეცხავდით ორი ტიპის (1 და 2) გამრეცხი ხსნარით. ისინი უზრუნველყოფენ დნმ-ის შემცველი ლიზატიდან უჯრედის კომპონენტების ნარჩენების და რნმ-ის ჩამოცილებას. სინჯარის ფილტრიან სვეტში ვასხამდით 500 მკლ გამრეცხ ბუფერს-1 და ვაცენტრიფუგებდით 10 000 ბრუნზე 1წთ-ის განმავლობაში, ოთახის ტემპერატურაზე;

- გაფილტრულ სითხეს ვღვრიდით, ფილტრიანი სვეტები გადაგვქონდა ახალი მიკროფუგის სინჯარაში;

- ვამატებდით 500 მკლ გამრეცხ ბუფერს-2, ვაცენტრიფუგებდით 3 წთ-ის განმავლობაში, მაქსიმალურ სიჩქარეზე ოთახის ტემპერატურის პირობებში.

IV. დნმ-ის გამოლექვა - სინჯარის ფილტრის მიერ შებოჭილი დნმ-ის გამოლექვა მოვახდინეთ სპეციფიკური გამომლექი ბუფერის საშუალებით. გამოვიყენეთ გამოლექვის ორი ეტაპი: პირველი 100 მკლ (დნმ-ის გამოსავლიანობა 80-85%), ხოლო მეორე - 50 მკლ მოცულობით (გამოსავლიანობა 10-15%).

დნმ-ის რაოდენობის განსაზღვრა და მისი განზავება. დნმ-ის ექსტრაქციის შემდეგ მისი რაოდენობის განსაზღვრისთვის გამოყენებული იქნა ულტრათა-ნამედროვე, სრულსპექტრიანი (220-750 ნმ) სპექტროფოტომეტრი Nano-Drop ND-1000 (სურ. 6-7).



სურ. 6-7. დნმ-ის რაოდენობის განსაზღვრა

პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის განსახორციელებლად შერჩეული იქნა დნმ-ის ოპტიმალური კონცენტრაცია 10 ნგ/მკ.ლ-ზე, რისთვისაც თითოეული საანალიზო ნიმუში განვაზავეთ ტრის აცეტატის ედტა-ს (ეთილენდიამინტეტრააცეტატის მჟავა) (TAE) გამოყენებით. სასურველ კონცენტრაციამდე განზავებისთვის გამოვიყენეთ ტორსიული კალკულატორი, რომელიც დამყარებულია მოცულობისა და კონცენტრაციის შემდეგ პრინციპზე:

$$C_1V_1 = C_2V_2 \qquad V_2 = C_1V_1 / C_2$$

სადაც C_1 და V_1 არის საანალიზო ნიმუშის/ხნარის საწყისი კონცენტრაცია და მოცულობა, ხოლო C_2 და V_2 საანალიზო ნიმუშის საბოლოო მოცულობა და კონცენტრაცია.

II.2.3.2. პრაიმერების დიზაინი

გენთა ელექტრონული ბაზიდან (NCBI) ავიღეთ SLC11A1 გენის (2q 36.1) ნუკლეოტიდური თანმიმდევრობა და დავგეგმეთ D543N ლოკუსის (მე-15 ეგზონი) შესწავლისთვის საჭირო პრაიმერები სტანდარტული წესების შესაბამისად (Innis and Gelfand, 1991):

შინაარსიანი პრაიმერი: **5´GTGAGACGACAGACAAATGTAGT3´**

უშინაარსო პრაიმერი: **5´GGTACCGTCCAGCTGAGA3´**

II.2.3.3. პოლიმერული ჯაჭვური რეაქცია

PCR ოპტიმიზაცია

დნმ-ის ამპლიფიცირებისთვის გამოვიყენეთ პოლიმერული ჯაჭვური რეაქცია (PCR). საკვლევი ნიმუშების დნმ-ის სასურველი რაოდენობის მისაღებად მოვახდინეთ PCR რეაქციის სტანდარტული პროტოკოლის მოდიფიცირება/ ოპტიმიზაცია. ოპტიმიზაციის პირველ ეტაპზე შევარჩიეთ რეაქციისთვის საჭირო რეაგენტების ოპტიმალური კონცენტრაციები. რეაქციის მოცულობა შეადგენდა 20 მკ.ლ-ს თითოეული საანალიზო ნიმუშისთვის.

რეაგენტები	**რაოდენობა (მკლ)**
ბუფერი	2
ნუკლეოტიდების ნარევი	2
პრაიმერების ნარევი	0,8
ორმაგად დისტილირებული H_20	6,1
Taq პოლიმერაზა	0,1
$MgCl_2$	6
დნმ	3
	20 მკ.ლ

PCR-ის ოპტიმიზაციის შედეგად შევარჩიეთ ამპლიფიკაციისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები დნმ-ის საჭირო რაოდენობის მისაღებად:

	$94^0C \rightarrow 2$ წთ	
დენატურაცია	$94^0C \rightarrow 20$ წმ	
გამოწვა	$56^0C \rightarrow 30$ წმ	40 ციკლი
ელონგაცია	$72^0C \rightarrow 20$წთ	
	$72^0C \rightarrow 2$ წთ	

PCR რეაქციის შემდეგ ამპლიფიცირებული დნმ-ის ნიმუშებს ვუშვებდით აგაროზას გელის ელექტროფორეზზე და ვამოწმებდით ტრანსილუმინატორში (სურ.8).



სურ. 8. PCR პროდუქტი გელზე

II.2.3.4. რესტრიქციული ფრაგმენტების სიგრძის პოლიმორფიზმი (RFLP)

SLC11A1 გენის D543N ლოკუსის პოლიმორფიზმის გამოსავლენად ამპლიფიცირებული დნმ-ის ნიმუშები რესტრიქციული ფრაგმენტების სიგრძის პოლიმორფიზმის მეთოდის (RFLP) გამოყენებით დამუშავდა NEB-ის (new England Biolabs) რესტრიქციული ფერმენტით - Hpy188I, რომელიც საძიებელ რეგიონში ახდენს AG და GG ნუკლეოტიდური წყვილების შეცნობას და მათ შორის არსებული წყალბადური და კოვალენტური ბმების გახლეჩას, რის შედეგადაც მიიღება დნმ-ის ფრაგმენტების სიგრძის პოლიმორფიზმი (სურ.9):

5′... TCNGA ...3′
3′... AGNCT ...5′

სურ.9. Hpy 188I-ის რესტრიქციული საიტი

ოპტიმიზაციის გზით შევარჩიეთ ფერმენტის აქტივაციისთვის საუკეთესო პირობები. RFLP რეაქციის მოცულობა შეადგენდა 50 მკლ-ს:

რეაგენტები	**მოცულობა (µl)**
• ამპლიფიცირებული დნმ	10
• რესტრიქტაზა - Hpy 188I	1
• 10xNEB ბუფერი	1
• ორმაგად დისტილ. H_2O	38
	50 µl

რეაქცია განხორციელებული იქნა წყლის აბაზანაში 37^{0}C-ზე ერთი საათის განმავლობაში ინკუბირებით. ინკუბაციის შემდეგ ფერმენტის დეაქტივაციისთვის საკვლევ მასალას ვაჩერებდით 80^{0}C-ზე 20 წუთის განმავლობაში. შემდგომ ეტაპზე საანალიზო მასალას ვღებავდით და ვამოწმებდით გელ-ელექტროფორეზით.

II.2.3.5. აგაროზას გელ-ელექტროფორეზი

ელექტროფორეზისთვის ვიყენებდით ჩვეულებრივ აგაროზას და მაღალი მგრძნობელობის ულტრა - სუფთა „აგაროზა 1000“-ს. შერჩეული იქნა გელის ოპტიმალური სიმკვრივე, ბუფერული სისტემები, გელის სახეობა და სისქე. ელექტროფორეზის ბუფერად ვიყენებდით ტრის-ბორატის ედტას (TBE). ელექტროფორეზისთვის ვიყენებდით აგაროზას 2%-ან გელს; დნმ-ს ვიზუალიზაცისთვის აგაროზას გელზე ვამატებდით ფლუორესცენციულ ეთიდიუმის ბრომიდის 0.5 მკგ/მლ საღებავს გელის ყოველ 100 მლ-ში წინასწარ შეტანით. გელზე ვუშვებდით ამპლიფიცირებული დნმ-ის 10 მკლ 5 მკლ საღებავთან ერთად. დნმ-ის საზომად ვიყენებდით 100 ნ.ფ. სტანდარტს. ელექტროფორეზი გრძელდებოდა 1 სთ-ის განმავლობაში 110ვ ძაბვაზე. ელექტროფორეზის დასრულების შემდეგ გელს

ვამოწმებდით ულტრაიისფერი სხივების ქვეშ ტრანსილუმინატორში (Bio-Rad) (სურ. 10-11).



სურ. 10. გელ-ელექტროფორეზი
.



სურ. 11. დნმ-ის ვიზუალიზაცია აგაროზა 1000-ის გელზე

II.2.4. იმუნოლოგიური ანალიზის მეთოდები

ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა იმუნური სტატუსის დასადგენად გამოყენებული იქნა იმუნოტურბიდიმეტრული და იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდები, რომელთა საშუალებით გამოვლენილი იქნა ანტიტუბერკულინური ჯამური და იმუნოგლობულინების (IgA, IgM, IgG) საერთო დონე ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა საკვლევ ნიმუშებში.

II.2.4.1. იმუნოტურბიდიმეტრული მეთოდი

თითოეული პაციენტის საკვლევ ნიმუშში (სისხლის შრატი) არსებული ცალკეული იმუნოგლობულინის - IgA, IgM, და IgG-ს საერთო დონის გამოვლენა მოხდა იმუნოტურბიდიმეტრული მეთოდით ბიოქიმიური ანალიზატორის - Humalyser 2000-ის გამოყენებით.

ცალკეული იმუნოგლობულინისთვის (IgA, IgM, IgG) იმუნოტურბიდიმეტრში მოვახდინეთ დაკალიბრება სტანდარტული კალიბრატორების გამოყენებით, რომელთა საკალიბრო მრუდზეც მოხდა საკვლევი პაციენტების ნიმუშების წაკითხვა.

კალიბრაციისას გამოყენებული იქნა:

- 5 კალიბრატორი+1 ნულოვანი 10 მკლ
- ბუფერი 500 მკლ
- ანტი IgA, IgM, IgG შრატი 500 მკლ

იმუნოტურბიდომეტრული ანალიზის მეთოდი მოიცავდა რეაგენტებს შემდეგი თანაფარდობით:

რეაგენტები	**მოცულობა მკ.ლ**
• ბუფერი	500
• ანტიშრატი	500
• საკვლევი ნიმუში	10
	1010 მკ.ლ

პროცედურა:

8,5%–იან პოლიეთილენგლიკოლის (pH-7,2) შემცველ ტრის-ბუფერში ვაზავებდით სტანდარტულ ხსნარებს (კალიბრატორები) და საკვლევ ნიმუშებს. თითოეულ სინჯარას ვამატებდით ანტიგლობულინურ ხსნარს, რომელიც შედგებოდა ტრის-ბუფერისა და ცხვრის ანტიშრატისაგან, თითოეული იმუნოგლობულინისათვის (ანტი–IgA, ანტი–IgG, ანტი–IgM) - ცალ-ცალკე, ვაინკუბირებდით 37^{0}C-ზე 10 წთ-ის განმავ-ლობაში. კალიბრატორები და ნიმუშში არსებული იმუნოგლობულინები იწვევდნენ აგლუტინაციას ანტი–ადამიანის იმუნოგლობულინთან რეაგენტის ანტიშრატში. აგლუტინაციის ხარისხი საკვლევი პაციენტის ნიმუში-იმუნოგლობულინების კონცენტრაციის პროპორციული იყო და ისაზღვრებოდა ტურბიდომეტრულად.

შედეგებს ვითვლიდით სპექტროფოტომეტრულად 340 ნმ ტალღის სიგრძეზე HUMALYSER 2000-ის აპარატით (სურ. 12):

სურ. 12. HUMALYSER 2000

II.2.4.2 იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდი

შრატში სპეციფიკური ანტიტუბერკულინური ჯამური ანტისხეულების (IgM+IgG+ IgA) გამოსავლენად გამოყენებული იქნა არაპირდაპირი იმუნოფერმენტული ანალიზი (ELISA).

ანალიზი ტარდებოდა 96-ფოსოიან ბრტყელძირიან პლანშეტზე, რომლის ფსკერზეც წინასწარ დატანილი იყო ანტიტუბერკულინური ანტისხეულები.

რეაქციისთვის გამოყენებული იქნა:

- 96-ფოსოიანი პლანშეტი, რომელზეც დატანილი იყო სპეციფიკური ანტიტუბერკულინური ანტიგენი;
- ნიმუშების გასაზავებელი სითხე PBS/BSA (კარბონატ-ბიკარბონატული ხსნარი) და ბუფერული, რომელიც შეიცავს < 0.1 % NaN_3;
- ფერმენტ–კონიუგატი HRP-მონიშნული ანტი–ადამიანის თხის IgG /-IgM /-IgA;
- სუბსტრატ - ქრომოგენი (3, 3’, 5, 5’ ტეტრამეთილბენზიდინი);
- გამრეცხი ხსნარი (10 x კონცენტრირებული) PBS/Tween;
- 6 სტანდარტული კალიბრატორი;
- მაბლოკირებელი ხსნარი - 0.5 M გოგირდმჟავა.

პროცედურა:

1. მიკროპლანშეტის პირველ ფოსოს ვტოვებდით ცარიელს, ხოლო მეორედან მეშვიდე ფოსოებში ვათავსებდით 50 მკლ საკალიბრო ხსნარებს, კონცენტრაციის ზრდადობის მიხედვით, ხოლო დანარჩენ ფოსოებში - წინასწარ განზავებულ საკვლევ ნიმუშებს (შრატებს) 50 მკლ მოცულობით. ნიმუშებს ვაზავებდით 1:101 კარბონატ-ბიკარბონატული (კბბ) ბუფერით, რომელიც შეიცავდა 1%-იან კაზეინს. მისი საშუალებით ვახდენდით ფოსოების ბლოკირებას არასპეციფიკური დაკავშირებების თავიდან ასაცილებლად;

2. პლანშეტს ვაფარებდით სპეციალურ საიზოლაციო პოლიეთილენის ნაჭერს და ვაინკუბირებდით ოთახის ტემპერატურაზე (25^{0}C-ზე) ერთი საათის განმავლობაში;

3. ინკუბაციის შემდეგ შრატიდან არასპეციფიკურად დაკავშირებული კომპონენტების მოსაცილებლად მიკროპლანშეტს ვრეცხავდით ხუთჯერ ფოსფატური ბუფერით, რომელიც შეიცავდა 0.05% Tween-20 ხსნარს, რისთვისაც თითოეულ ფოსოში ვამატებდით 400 მკლ მოცულობის გამრეცხ ხსნარს;

4. გარეცხვის პროცედურის შემდეგ პლანშეტის თითოეულ ფოსოს (პირველის გარდა) ვამატებდით 100 მკლ წინასწარ განსხავებულ ტუტე-ფოსფატაზათი მონიშნულ ანტი–ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ ანტისხეულებს ანუ კონიუგატის ხსნარს და ვაინკუბირებდით 30 წუთის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე;

5. ინკუბირების შემდეგ კვლავ ვრეცხავდით გამრეცხი ხსნარით ხუთჯერ;

6. შრატში ანტიმიკობაქტერიული ანტისხეულების არსებობის შემთხვევაში, ტუტე ფოსფატაზათი მონიშნული ანტი–ადამიანის ანტისხეულები უკავშრდებოდნენ პლანშეტის ფოსოებს;

7. ბოლო ეტაპზე ფერმენტული რეაქციისთვის თითოეულ ფოსოში (კონტროლის ჩათვლით) ვასხამდით 100 მკლ სუბსტრატს, რომელიც შეიცავდა $MgCl_2$ და p-ნიტროფენილფოსფატიდს კარბონატ-ბიკარბონატულ ბუფერში.

საკვლევი ანტისხეულების რაოდენობა დაკავშირებული კონიუგატის რაოდენობის პროპორციული იყო. ის განისაზღვრებოდა ფოსფატაზას ფერმენტული აქტივობით, რაც სუბსტრატთან ურთიერთქმედებისას მას ყვითლად ღებავდა. ეს რეგისტრირდება სპექტროფოტომეტრულად. ოპტიკური სიმკვრივე იზომებოდა სპექტროფოტომეტრ „Humareader Single”-ზე (გერმანია) 450 ნმ ტალღის სიგრძეზე. ანალიზი ტარდებოდა “Вектор Бест”-ის ფირმის კომერციული რეაქტივების ნაკრებით. დუბლიკატებისათვის ვთვლიდით საშუალო არითმეტიკულს.

თავი III. კვლევის შედეგები

III.1. filtvis tuberkulozis sensitiuri da wamalrezistentuli formebis asocireba AB0, Rh-Hr, Kell, MN sistemis eriTrocitur jgufur antigenebTan

qarTul populaciaSi

100 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც დადგენილი იქნა, რომ განსხვავებულ რასებსა და ეთნოსებს ტუბერკულოზის მიმართ განსხვავებული მგრძნობელობა ახასიათებთ და რადგან მგძნობელობის განსხვავებულ ფაქტორებს ატარებენ (Budd,1867). საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები ამ დრომდე შესწავლილი არ იყო. ჩვენს მიერ პირველად იქნა გამოკვლეული იმუნოგენეტიკური მარკერების გავრცელების თავისებურებანი [ერითროციტური ჯგუფური სისტემების (AB0, Rh-Hr, Kell, MN) ანტიგენები, ფენო- და გენოტიპური ჯგუფები, ალელები და ჰაპლოტიპები] ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ ქართულ პოპულაციაში.

კვლევის პირველ ეტაპზე შევეცადეთ, დაგვედგინა ფილტვის ტუბერკულოზურ (ყველა ტიპის ტუბერკულოზი) დაავადებასთან ზემოხსენებული იმუნოგენეტიკური მარკერების ასოციაციური კავშირები. ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული ყველა პაციენტის მონაცემი დამუშავებული იქნა სტატისტიკური ანალიზის მეთოდებით დაავადებისადმი მგრძნობიარე ფენოტიპების, ალელების თუ ჰაპლოტიპების გამოსავლენად და შედარებული იქნა ჯანმრთელ (დონორულ) პოპულაციასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში სისხლის ერითროციტული ჯგუფური ანტიგენების გავრცელება საკმაოდ კარგადაა შესწავლილი მსოფლიოს პოპულაციებში, ინფორმაცია დაავადების სენსიტიური და რეზისტენტული ფორმების ერითროციტურ ჯგუფურ ანტიგენებთან ასოციაცირების

შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის არ მოიპოვება. შეუსწავლელია საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის პაციენტებიც. ამიტომ, კვლევის მეორე ეტაპზე პაციენტები დაყოფილი იქნა ორ - წამლის მიმართ სენსიტიურ და წამალრეზისტენტულ საკვლევ ჯგუფებად. შესწავლილ იქნა ერითროციტური ჯგუფური ანტიგენების გავრცელების თავისებურებები თითოეულ საკვლევ ჯგუფში.

სისხლის ABO სისტემის ჯგუფური ანტიგენების მიხედვით დაავადებული პოპულაციის კვლევისას მიღებული შედეგების სტატისტიკური დამუშავების შედეგად გამოვლინდა სისხლის O(I) (55.5%±3,4) ფენოტიპური ჯგუფის მაღალი სიხშირე ტუბერკულოზით დაავადებულ პოპულაციაში, სხვა ჯგუფებთან შედარებით მაღალი სიხშირით გვხვდება B(III) (12%±2,2) ფენოტიპური ჯგუფი. ხოლო დონორებში მაღალი სიხშირით A(II) (36%±5.1) ფენოტიპური ჯგუფი არის წარმოდგენილი (დიაგრ.4). ამ მხრივ აღნიშნული მონაცემი ემთხვევა რიგი სხვა ავტორების მონაცემებს (Platonova, 1997; Nagervadze et al., 2006).



დიაგრ. 4. ABO სისტემის ფენოტიპური ჯგუფების გავრცელების თავისებურებანი ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ და ჯანმრთელ ქართულ პოპულაციაში

დაავადების სენსიტიურ ფორმაში დაფიქსირდა O(I) (57.5±4,6) და B(III) (13.4±1,0) ფენოტიპური ჯგუფების საგრძნობლად მაღალი სიხშირე დონორებთან (O(I)-47,6±5,3; B(III)-11,4±3,3) შედარებით. წამალრეზისტენტული ტუბერკულოზის შემთხვევაში

მაღალი სიხშირით მხოლოდ O(I) ფენოტიპური ჯგუფი (51,1±5,2) დაფიქსირდა, ხოლო B(III) ჯგუფის შემთხვევაში არ გამოვლინდა კორელაცია (დიაგრ.5).

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სენსიტიური ტუბერკულოზით დაავადებული O(I) და B(III) ჯგუფის ფენოტიპის, ხოლო წამალრეზისტენტული ფორმის შემთხვევაში კი მხოლოდ O(I) ფენოტიპური ჯგუფის მატარებელი ინდივიდები წარმოადგენს დაავადების მაღალი რისკის ჯგუფებს.



დიაგრ. 5. ABO სისტემის ფენოტიპური ჯგუფების გავრცელების თავისებურებანი რეზისტენტული და სენსიტიური ტუბერკულოზით დაავადებულ და ჯანმრთელ ქართულ პოპულაციაში

ზემოთ აღნიშნული ფენოტიპური ჯგუფების სიხშირის მაღალი მაჩვენებელი (1.207-ჯერ მაღალი სენსიტიურ და 1.07-ჯერ მაღალი წამალრეზისტენტულ ფორმაში) ტუბერკულოზით დაავადებულ პოპულაციაში დონორებთან შედარებით, შესაძლებელია, გამოწვეული იყოს ქართული პოპულაციისთვის დამახასიათებელი თავისებურებით.

იმუნოსეროლოგიური ანალიზით მიღებული შედეგების სტატისტიკური კვლევის მეთოდებით დამუშავების შედეგად გამოთვლილი იქნა ABO სისტემის ფენოტიპთა მაკოდირებელი r(O), p(A) და q(B) ალელების სიხშირე.

კვლევის შედეგად დაფიქსირდა r(O) ალელის სარწმუნოდ მაღალი (0,739) კონცენტრაცია ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულებში დონორულ

პოპულაციასთან შედარებით, სადაც აღნიშნული ალელის სიხშირე 0,69-ის ტოლია და იგი 1,07-ჯერ ნაკლებია დაავადებულ პოპულაციასთან შედარებით. რაც შეეხება p(A) ალელს, იგი თითქმის თანაბარი სიხშირითაა დაავადებულ და დონორულ პოპულაციაში. q(B) ალელის მაღალი (0,23) სიხშირე დონორულ პოპულაციაშია წარმოდგენილი, ხოლო დაავადებულში კი 1.24-ჯერ ნაკლებია (0,18) (დიაგრ. 6):



დიაგრ. 6. ABO სისტემის ანტიგენების მაკოდირებელი ალელების გავრცელების თავისებურებანი ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ და ჯანმრთელ პოპულაციაში

მსგავსი მაჩვენებელი დაფიქსირდა დაავადების ორივე ფორმის დროს. როგორც სენსიტიურ, ისე წამალრეზისტენტულ პაციენტებში მათი გავრცელების სიხშირე თითქმის თანაბარია. სენსიტიური ტუბერკულოზის დროს r ალელის კონცენტრაცია 1,11-ჯერ (0.75), ხოლო წამალრეზისტენტული ტუბერკულოზის დროს კი 1.05-ჯერ მაღალი (0.71) აღმოჩნდა დონორებთან შედარებით, სადაც აღნიშნული ალელის გავრცელების მაჩვენებელი 0.67-ის ტოლია (ცხრ.1).

მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ ფილტვის ტუბერკულოზი ასოციაციურ კავშირში იმყოფება მე-9 ქრომოსომაში (9q34.1-34.2) არსებულ გენურ ლოკუსთან, რომელიც განსაზღვრავს სისხლის ABO სისტემის ფენოტიპებს. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, სენსიტიური ტუბერკულოზისადმი მაღალი სენსიბილობის ჯგუფს მიეკუთვნება ABO სისტემის სისხლის O(I) ან B(III)

ფენოტიპური ჯგუფის და r ალელის მატარებელი ინდივიდები. ხოლო რეზისტენტული ტუბერკულოზის შემთხვევაში კი სისხლის O(I) ფენოტიპური ჯგუფის და r ალელის მატარებლები.

გენეტიკური მარკერები	*ალელები*	*საკვლევი ობიექტები*		
		სენსიტიური ტბ.	*წამალ.რეზისტ. ტბ.*	*დონორები*
ABO	r	0.75	0.71	0.67
	p	0.09	0.09	0.09
	q	0.17	0.22	0.23
		n= 90	n=113	n=485

ცხრილი 1. ABO სისტემის ფენოტიპების მაკოდირებელ r, p, q ალელთა სიხშირე ფილტვის სენსიტიური და წამალრეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ და ჯანმრთელ პოპულაციაში.

ABO სისტემის A(II) ფენოტიპური ჯგუფი და q ალელის მატარებლობა, გარკვეულწილად, შეიძლება მივიჩნიოთ ტუბერკულოზის მიმართ მდგრადობის განმაპირობებელ ფაქტორად.

საინტერესო შედეგები იქნა დაფიქსირებული რეზუს (Rh-Hr) სისტემის ანტიგენების კვლევისას. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოვლენილი იქნა ტუბერკულოზის მიმართ მაღალი მგრძნობელობის ფენოტიპები და მათი მაკოდირებელი ჰაპლოტიპები.

როგორც მე-7 დიაგრამიდან ჩანს, ტუბერკულოზით დაავადებულებში დონორებთან შედარებით (78±3,5%) 1,06-ჯერ მაღალი სიხშირით გამოვლინდა რეზუს-დადებითი ფენოტიპი (83±2.6%).



დიაგრ. 7. Rh *ფენოტიპების გავრცელების თავისებურება ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ და ჯანმრთელ პოპულაციაში*

მსგავსი შედეგები გამოიკვეთა რეზისტენტული და სენსიტიური ტუბერკულოზის შემთხვევებშიც (დიაგრ.8):



დიაგრ.8. Rh *ფენოტიპების გავრცელების თავისებურება სენსიტიური და რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ და ჯანმრთელ პოპულაციაში*

Rh^+ ფენოტიპის შედარებით მაღალი სიხშირე განსაკუთრებით სენსტიტიური ტუბერკულოზით დაავადებულ საკვლევ ჯგუფში გამოიკვეთა. აქ მისი სიხშირე 1.07-ჯერ მაღალი (84±3,4%) აღმოჩნდა, ვიდრე დონორებში (78±3,5%).

Rh^+ ფენოტიპის მაღალი სიხშირე დაავადებულ პოპულაციაში საშუალებას გვაძლევს, რომ ფილტვის ტუბერკულოზისადმი მგრძნობიარე ფენოტიპად მოვიჩნიოთ რეზუს-დადებითი ფაქტორი.

რეზუს სისტემის ალელთა (Rh-C, Rh-c, Rh-D, Rh-E, Rh-e) სიხშირის შესწავლის მიზნით, ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად გამოვლენილი იქნა გარკვეული ასოციაციური კავშირები დაავადების, როგორც წამალრეზისტენტულ, ისე სენსიტიურ ფორმებთან მიმართებაში (დიაგრ. 9, ცხრ. 2).



დიაგრ. 9. Rh სისტემის ალელების (E,e,C,c,D) გავრცელება ტუბერკულოზით დაავადებულ და დონორ პოპულაციაში

როგორც მე-9 დიაგრამიდან ჩანს, ჯანმრთელი პოპულაციისაგან განსხვავებით, ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულებში გამოიკვეთა საკმაოდ მყარი კორელაცია RhD, RhC და RhE ალელებთან.

ყველაზე მაღალი სიხშირით პაციენტებში Rh-E (0,21) ალელი დაფიქსირდა. კერძოდ, მისი სიხშირე 1.90-ჯერ მაღალი იყო, ვიდრე დონორებში (0.11). დაავადებულებში, ასევე, მაღალი აღმოჩნდა Rh-C ალელის გავრცელების სიხშირეც, რომლის მაჩვენებელი 0,37-ის ტოლია, მაშინ, როცა დონორებში 0,28-ს უტოლდება. რაც შეეხება რეზუს სისტემის ყველაზე ძლიერი იმუნოგენურობის Rh-Dალელს, იგი დაავადებულ პოპულაციაში 1.05-ჯერ მეტი სიხშირით (0,57) დაფიქსირდა, მაშინ როცა

დონორებში კი Rh-d ალელი მეტადადაა გავრცელებული. იგი 1.72-ჯერ მაღალი სიხშირით გვხვდება დონორებში (დიაგრ.9).

რეზუს სისტემის ალელთა გავრცელების სიხშირე შესწავლილი იქნა დაავადების ორივე ფორმაშიც (ცხრ.2):

გენეტიკური მარკერები	*ალელები*	*საკვლევი პოპულაციები*		
		სენსიტიური ტბ.	*რეზისტენტული ტბ.*	*დონორები*
Rh-Hr	**D**	**0,58**	0.56	0.54
	C	**0,42**	0.32	**0.28**
	c	0,71	0.75	0.74
	E	0,20	**0.22**	**0.11**
	e	0,82	0.77	0.87
		n= 90	n=113	n=485

ცხრ. 2. Rh სისტემის ალელების გავრცელების სიხშირე სენსიტიური და რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ და დონორულ პოპულაციაში

კვლევის შედეგების დამუშავებისას რეზუს სისტემის ალელებთან განსხვავებული კორელაცია გამოიკვეთა სენსიტიური და წამალრეზისტენტული ტუბერკულოზის დროს. სენსტიური ტუბერკულოზისადმი შედარებით უფრო მეტად მგრძნობიარე Rh-D (0,58) და Rh-C (0,42) ალელები აღმოჩნდა, ხოლო რეზისტენტული ტუბერკულოზისადმი კი Rh- E (0,22) ალელი, ხოლო რეზუს სისტემის რეცესიული ალელების შემთხვევაში ასეთ კავშირი არ ვლინდება.

რეზუს სისტემის Rh-c და Rh-e ალელებს, ისინი მაღალი გავრცელებით მხოლოდ დონორებში გამოვლინდა. აქედან გამომდინარე, რეზუს სიტემის დომინანტური Rh-D, Rh-C და Rh-E ალელები მკაცრად კორელირებს ფილტვის ტუბერკულოზთან.

რეზუს სისტემის ანტიგენების გავრცელების შესწავლის მიზნით, ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ტუბერკულოზით დაავადებულ პოპულაციაში გამოვლინდა C (60,09±3,43%) და განსაკუთრებით E (36,94±3,3%) ანტიგენის სიხშირის მაღალი მაჩვენებლები (დიაგრ.10).



დიაგრ. 10. Rh სისტემის ანტიგენების გავრცელების პროცენტული მაჩვენებლები ტუბერკულოზით დაავადებულ და დონორულ პოპულაციაში

კვლევის შედეგები წამალრეზისტენტული და სენსიტიური ტუბერკულოზის შემთხვევაში ნაჩვენებია მე-11 დიაგრამაზე. უნდა აღინიშნოს, რომ E ანტიგენის პროცენტული მაჩვენებელი RhE ალელის კონცენტრაციის შესაბამისად, მაღალი სიხშირით დაფიქსირდა წამალრეზისტენტული (38,8±5,1%) ტუბერკულოზის შემთხვევაში, სენსიტიურ (35,3±4,4%) და საკონტროლო ჯგუფთან (20±4,0%) შედარებით. C ანტიგენი მნიშვნელოვნად მაღალი სიხშირით სენსიტიური ტუბერკულოზის შემთხვევებში გამოვლინდა. მისი პროცენტული მაჩვენებელი 65,4±4,4%-ს შეადგენს, მაშინ, როცა წამალეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულებში 53,3±5,2%-ს, ხოლო დონორებში 51±4,9%-ს.



დიაგრ.11. Rh სისტემის ანტიგენების გავრცელების სიხშირე სენსიტიური და რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ და დონორულ პოპულაციაში

ფილტვის ტუბერკულოზთან ასოციაციური კავშირის გამოვლენის და მაღალი სენსიბილობის ჯგუფების გამოყოფის მიზნით, ასევე, შესწავლილი იქნა რეზუს სისტემის ჰაპლოტიპები. ამ მიზნით გამოკვლეული იქნა Rh-Hr სისტემის 7 ჰაპლოტიპური cde, Cde, cdE, cDe, cDE, CDe, CDE ჯგუფი და მიღებული შედეგები შედარებული იქნა დონორულ პოპულაციასთან.

აღსანიშნავია, რომ cde, cDe, CDe და cDe ჰაპლოტიპები, სხვა იშვიათ ჰაპლოტიპებთან შედარებით, ზოგადად მაღალი გავრცელებით ხასიათდება ჯანმრთელ ქართულ პოპულაციაში. ანალოგიური შედეგები მივიღეთ დაავადებულთა პოპულაციის ანალიზის შედეგად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაავადებულ პოპულაციაში რეზუს სისტემის ზოგიერთი ისეთი ჰაპლოტიპის გავრცელება გამოიკვეთა, რომლებიც ჯანმრთელებში თითქმის არ ფიქსირდება (დიაგრ.12).



დიაგრ.12. Rh-Hr სისტემის ჰაპლოტიპების გავრცელების თავისებურებანი ტუბერკულოზით დაავადებულებსა და დონორებში

კვლევის შედეგების მიხედვით ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების ქართულ პოპულაციაში Rh-cdE ჰაპლოტიპი 0,063 სიხშირითაა გავრცელებული. მაშინ, როცა ეს ჰაპლოტიპი დონორებში საერთოდ არ გვხვდება და მისი გავრცელების მაჩვენებელი 0-ს უტოლდება. Cde ჰაპლოტიპის სიხშირე დაავადებულებში 2,0-ჯერ მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე დონორებში, ხოლო CDe ჰაპლოტიპი დაავადებულ პოპულაციაში დონორებთან შედარებით 1.05-ჯერ მაღალი სიხშირით დაფიქსირდა. როგორც მე-12 დიაგრამიდან ჩანს, დაავადების მიმართ შედარებით მდგრადი აღმოჩნდა cde, cDe, cDE ჰაპლოტიპები, რომელთა გავრცელება დონორულ პოპულაციაში გაცილებით მაღალია.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ Cde, cdE და CDe ჰაპლოტიპების მატარებელი ინდივიდები ტუბერკულოზის განვითარების მაღალ რისკ-ჯგუფს მიეკუთვნება, ხოლო დაავადებისადმი მდგრად ჯგუფად cde და cDE ჰაპლოტიპების მატარებელი ინდივიდები შეიძლება ჩაითვალოს.

რეზუს სისტემის ჰაპლოტიპების შესწავლით დაავადების წამალრეზისტენტულ და სენსიტიურ ფორმებში გამოიკვეთა განსხვავებული კორელაციური კავშირები, როგორც დაავადების ფორმებსა და ჰაპლოტიპებს შორის, ასევე დონორულ პოპულაციასთან მიმართებაში (ცხრ.3):

გენეტიკური		*საკვლევი პოპულაციები*		
მარკერები	*ჰაპლოტიპები*	*სენსიტ. ტბ.*	*წამალ.რეზისტ. ტბ.*	*დონორები*
Rh-Hr	**cde**	0,37	0.421	0,436
	Cde	0	**0.01**	0.006
	cdE	**0,01**	0	0
	cDe	0,11	0.14	0.148
	cDE	**0,01**	0	0,126
	CDe	0,28	0.22	0.192
	CDE	0	**0,01**	0,004

ცხრ. 3. Rh-Hr სისტემის ჰაპლოტიპების გავრცელება ტუბერკულოზის რეზისტენტულ და სენსიტიურ ფორმებში და დონორებში

Rh-Cde ჰაპლოტიპი დაფიქსირდა მხოლოდ წამალრეზისტენტული ტუბერკულოზის შემთხვევაში, მაშინ, როცა მისი კონცენტრაცია სენსიტიურ ტუბერკულოზში 0-ს უტოლდება, ხოლო დონორებში კი 1,66-ჯერ დაბალია. ფილტვის ტუბერკულოზის სენსიტიური ფორმით დაავადებულ საკვლევ პოპულაციაში 0,01 სიხშირით დაფიქსირდა cdE ჰაპლოტიპური ჯგუფი. რეზუს სისტემის ეს ჰაპლოტიპი პრაქტიკულად არ გამოვლენილა დონორულ პოპულაციასა და დაავადების წამალრეზისტენტული ფორმის პაციენტებში.

სამივე დომინანტური ალელის მატარებელი RH-CDE ჰაპლოტიპი სენსიტიური ტუბერკულოზის დროს არ გამოვლენილა, ხოლო რეზისტენტულ ტუბერკულოზში 0.01 კონცენტრაციით დაფიქსირდა, მაშინ, როცა დონორებში მისი მაჩვენებელი მხოლოდ 0.004-ის ტოლია.

აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოდ, რომ ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმა ასოციაციურ კავშირშია Cde და CDE ჰაპლოტიპებთან, ხოლო დაავადების სენსიტიური ფორმა კი - cdE და CDe ჰაპლოტიპებთან. შესაძლოა, აღნიშნული ჰაპლოტიპების მქონე ინდივიდები

ინფიცირების შემთხვევაში განსხვავებულად დაექვემდებარონ დაავადების სენსიტიურ ან რეზისტენტულ ფორმას.

ვინაიდან cDE, cDe და cde ჰაპლოტიპები მნიშვნელოვნად დაბალი სიხშრით გამოვლინდა დაავადებულ პოპულაციაში, სავარაუდოდ, ისინი განაპირობებენ დაავადების მიმართ ორგანიზმის მდგრადობას და მათი მატარებლობა ერთგვარ დამცველობით ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ.

Rh სისტემის გენოტიპების კვლევისას დაავადებულებში შედარებით მაღალი სიხშირით გამოვლინდა Cc (52,21±4,2%) და იგი 1.12-ჯერ აღემატებოდა დონორულს. მნიშვნელოვნად მაღალი იყო EE (4,4±1,4%) და Ee (32,51±3,2%) გენოტიპების სიხშირე. EE გენოტიპი 2-ჯერ, ხოლო Ee 1.69-ჯერ აღემატება დაავადებულ პოპულაციაში მის გავრცელებას. ee გენოტიპი კი 1.22-ჯერ დაბალი სიხშირით არის წარმოდგენილი (63±%) დაავადებულებში დონორებთან (77,4±4,4%) შედარებით (დიაგრ.13).



დიაგრ. 13. Rh-Hr სისტემის გენოტიპების გავრცელების თავისებურება ტუბერკულოზით დაავადებულ და დონორულ პოპულაციებში

რაც შეეხება Rh-გენოტიპების გავრცელებას ფილტვის ტუბერკულოზის წამალრეზისტენტულ და სენსიტიურ ფორმებში, ნაჩვენებია მე-14 დიაგრამაზე.



დიაგრ. 14. Rh-Hr სისტემის გენოტიპების გავრცელების თავისებურება ტუბერკულოზის რეზისტენტული და სენსიტიური ტუბერკულოზით დაავადებულ და დონორულ პოპულაციებში

Cc გენოტიპი მაღალი სიხშირით გვხვდება (56,63±4,6%) სენსიტიური ტუბერკულოზის შემთხვევებში, ხოლო რეზისტენტული ტუბერკულოზის მაჩვენებელი დონორულს უტოლდება (46.6±5,3%). EE გენოტიპის პროცენტული მაჩვენებელი 2.52-ჯერ მაღალია (5,55±2,4%) რეზისტენტულ ტუბერკულოზში, ხოლო დაავადების ორივე ფორმაში თითქმის თანაბრად მაღალია Ee გენოტიპის მაჩვენებელი. რაც შეეხება CC გენოტიპს, იგი მხოლოდ 1.1-ჯერ მაღალია დაავადების სენსიტიურ ფორმაში დონორებთან შედარებით (დიაგრ. 14).

რეზუს გენოტიპებიდან ტუბერკულოზისადმი მდგრადობით გამოირჩევა ee გენოტიპი, რასაც ვერ ვიტყვით Cc, EE, Ee გენოტიპებზე. რეზუს სისტემის ეს გენოტიპები, პირიქით, ფილტვის ტუბერკულოზურ პათოლოგიასთან კორელაციით ხასიათდებიან.

Rh სისტემის ფენოტიპების კვლევისას ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ პოპულაციაში 0,49%±0,69 სიხშირით დაფიქსირდა იშვიათი - ccddEe, CCDEe და ccddEE ფენოტიპი. ამათგან იშვიათი - CCDEe (1,11±1,1) და ccddEE (1,11±1.1) ფენოტიპური ჯგუფები დაფიქსირდა რეზისტენტული ტუბერკულოზისას, ხოლო ccddEe (0,88±0,03) კი

- სენსიტიური ტუბერკულოზისას. Rh სისტემის ეს ფენოტიპები დონორულ პოპულაციაში არ გამოვლინდა.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ CcDEe (19,7±2,7) ფენოტიპი, რომელიც 2,46-ჯერ მაღალი სიხშირით გამოვლინდა დაავადებულ პოპულაციაში დონორულთან (8±2,7) შედარებით, მყარად ასოცირდება ფილტვის ტუბერკულოზთან (დიაგრ.15).



დიაგრ. 15. Rh-Hr სისტემის გენოტიპების გავრცელების თავისებურება ტუბერკულოზით დაავადებულ და დონორულ პოპულაციებში

რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ პოპულაციაში გამოვლინდა Ccddee (2,22±1,5), ხოლო სენსიტიური ტუბერკულოზით დაავადებულ პოპულაციაში მხოლოდ ccDEE (2,65±1,4) ფენოტიპი დაფიქსირდა (დიაგრ. 16).



დიაგრ. 16. Rh-Hr სისტემის ფენოტიპების გავრცელების თავისებურება ტუბერკულოზით დაავადებულ და დონორულ პოპულაციებში

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სენსიტიური ტუბერკულოზი კორელირებს CcDEe ფენოტიპთან. მისი სიხშირე 23±3,9%-ის ტოლია, მაშინ, როცა დონორებში თითქმის სამჯერ დაბალია (8±2.7%). კვლევის შედეგებით, წამალრეზისტენტული ტუბერკულოზი კორელირებს ccDEe ფენოტიპთან, რადგან მისი სიხშირე 15,55±3,8%-ია, მაშინ, როცა იგი სენსიტიური ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში (7,07±2,4) დონორებზე (10±3%) უფრო დაბალია.

კვლევა ჩატარდა MN ჯგუფური სისტემის მიხედვითაც, სადაც მნიშვნელოვანი ასოციაციური კავშირი გამოვლინდა ფილტვის ტუბერკულოზსა და MN სისტემის ფენოტიპურ ჯგუფებს შორის.

დაავადებულ პოპულაციაში გამოიკვეთა M(M+N-) ფენოტიპური ჯგუფის მაღალი სიხშირე (62.5±3,3%), დონორებში კი მისი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია (50,2±5,3). დონორულ პოპულაციაში, პირიქით, 1.78-ჯერ მაღალია N(M-N+) ფენოტიპური ჯგუფის პროცენტული მაჩვენებელი (დიაგრ.17).



დიაგრ. 17. MN სისტემის ფენოტიპების გავრცელება ტუბერკულოზით დაავადებულ და ჯანმრთელ პოპულაციაში

როგორც მე-18 დიაგრამაზე ჩანს, ფილტვის ტუბერკულოზის, როგორ წამალრეზისტენტული (58,8±5,1%), ისე სენსიტიური (65,4±3.7%) ფორმისას პაციენტთა დიდი უმრავლესობა M ფენოტიპის მატარებელია, სენსიტიურ ტუბერკულოზში კი აღნიშნული ფენოტიპური ჯგუფი 1.11-ჯერ უფრო მეტად გამოვლინდა, ვიდრე წამალრეზისტენტულის დროს (დიაგრ. 18).



დიაგრ. 18. MN სისტემის ფენოტიპების გავრცელება სენსიტიური და რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ და ჯანმრთელ პოპულაციაში

აღსანიშნავია, რომ N ფენოტიპის დაბალი ხვედრითი წილი განსაკუთრებით წამალრეზისტენტული ტუბერკულოზისას დაფიქსირდა. იგი, შესაძლოა, ასევე მივიჩნიოთ ტუბერკულოზისადმი მდგრადობის ფაქტორად.

აღნიშნული ჯგუფური სისტემის კვლევისას ალელების კონცენტრაციათა, ასევე, მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიკვეთა. ექსპერიმენტის შედეგების თანახმად, p(M) ალელის კონცენტრაცია შედარებით მაღალი (0,75) დაავადებულ პოპულაციაში აღმოჩნდა, ხოლო დონორებში - 0,65 იყო. ალტერნატიული შედეგი დაფიქსირდა q(N) ალელის კვლევისას. იგი მხოლოდ 0,24 სიხშირით გამოვლინდა დაავადებულებში, დონორებში კი - 0,35 სიხშირით (დიაგრ.19):



დიაგრ. 19. MN სისტემის ალელების გავრცელება ტუბერკულოზით დაავადებულ და დონორულ პოპულაციებში.

p ალელის თანაბრად მაღალი კონცენტრაცია გამოვლინდა ფილტვის ტუბერკულოზის, როგორც წამალრეზისტენტული, ისე სენსიტიური პაციენტების შემთხვევაში და მათი გავრცელების სიხშირე, შესაბამისად, 0,75 - 0,76-ს შეადგენდა, რაც 1,15-1,16-ჯერ მაღალია დონორებთან შედარებით. რაც შეეხება დონორებს, აქ მნიშვნელოვნად მაღალი სიხშირით გამოვლინდა q ალელი (0,35) (დიაგრ.20):



დიაგრ. 20. MN სისტემის ალელების სიხშირე ტუბერკულოზის რეზისტენტულ და სენსიტიურ ფორმებში და დონორებში.

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ p ალელი და, შესაბამისად, M ანტიგენი სენსიბილურია ტუბერკულოზის მიმართ და მათი მატარებელი ინდივიდები მიეკუთვნებიან ტუბერკულოზით ინფიცირების მაღალი რისკის ჯგუფებს, ხოლო q ალელის და, შესაბამისად, N ანტიგენის მატარებლობა დაავადების მიმართ ერთგვარ „დამცველობით“ ნიშანს წარმოადგენს.

საკვლევი პოპულაციები შესწავლილი იქნა Kell სისტემის მიხედვითაც. Kell ფენოტიპური ჯგუფების კვლევისას K+ ფენოტიპური ჯგუფის გავრცელების მაღალი სიხშირე (7,3±1,8%) დონორებთან (4,2±1,8%) შედარებით დაფიქსირდა წამალრეზისტენტული ტუბერკულოზის შემთხვევაში. ასევე, დონორებთან შედარებით, დაავადებულებში 4-ჯერ უფრო მაღალი აღმოჩნდა p(k) ალელის კონცენტრაციაც. Kell სისტემის ფენოტიპების გავრცელების სიხშირე და ალელთა კონცენტრაციები ტუბერკულოზით დაავადებულ და ჯანმრთელ პოპულაციებში წარმოდგენილია 21-ე და 22-ე დიაგრამებზე:



დიაგრ. 21. Kell სისტემის ფენოტიპების გავრცელების სიხშირე ტუბერკულოზით დაავადებულ და ჯანმრთელ პოპულაციებში.



დიაგრ. 22. Kell სისტემის p(K) და q(k) ალელთა სიხშირე ტუბერკულოზით დაავადებულ და ჯანმრთელ პოპულაციებში.

Kell სისტემის ფენოტიპები გაანალიზებული იქნა ტუბერკულოზის სენსიტიურ და რეზისტენტულ ფორმებში ცალ-ცალკე. კვლევამ აჩვენა, რომ K+ ფენოტიპი დონორებთან შედარებით 1,2-ჯერ მაღალი სიხშირით ვლინდება სენსიტიური და 2,14-ჯერ მაღალი სიხშირით - წამალრეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ პოპულაციაში (დიაგრ.23):



დიაგრ. 23. Kell სისტემის ფენოტიპების გავრცელების სიხშირე წამალრეზისტენტული და სენსიტიური ტუბერკულოზით დაავადებულ და ჯანმრთელ პოპულაციებში.

Kell სისტემის ალელების გავრცელების სიხშირის კვლევის შეგდეგების ანალიზით მიღებული შედეგები შემდეგ სურათს იძლევა: წამალრეზისტენტული ტუბერკულოზის შემთხვევაში q ალელის კონცენტრაცია 0,1-ია, ხოლო სენსიტიური ტუბერკულოზისას - 0,05. დონორულ პოპულაციაში აღნიშნული ალელი მხოლოდ 0,02 სიხშირით არის წარმოდგენილი (დიაგრ. 24):



დიაგრ. 24. Kell სისტემის ალელების სიხშირე წამალრეზისტენტული და სენსიტიური ტუბერკულოზით დაავადებულ და ჯანმრთელ პოპულაციებში

Kell სისტემის ანალიზით მიღებული შედეგების მიუხედავად, რთულია სარწმუნო დასკვნის გაკეთება დაავადებასთან მისი ასოციაციური კავშირის შესახებ, ვინაიდან Kell დადებითი ფენოტიპი სხვადასხვა ეთნიკურ და მათ შორის, ქართულ პოპულაციაში, ძალიან დაბალი სიხშირითაა გავრცელებული. მიუხედავად ამისა, საკვლევ დაავადებულ ჯგუფში ეს ანტიგენი იმდენად განსხვავებული სიხშირით (5-ჯერ მაღალი) გვხვდება, რომ დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ ფილტვის ტუბეკულოზის რეზისტენტულ ფორმასთან Kell დადებითი ფენოტიპისა და p ალელის კორელაციის არსებობის შესახებ.

III.1.1. სენსიტიური და წამალრეზისტენტული ტუბერკულოზის ასოცირება ერითროციტური ჯგუფური სისტემების (ABO, Rh, MN) ალელებთან საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანულ პოპულაციაში

ინფექციური დაავადებები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პოპულაციებში სასარგებლო გენთა დაგროვებასა და გენეტიკური სტრუქტურის გარდაქმნაში, შესაბამისად, მათი გენოფონდის ჩამოყალიბებაში. ევოლუციურად პოპულაციების გენოფონდში დაგროვდა გენთა ისეთი ალელური თუ არაალელური ბალანსი, რომელიც ხელსაყრელი აღმოჩნდა იმ საარსებო გარემოში პოპულაციის თვითმყოფადობისა და ჰომეოსტაზის შესანარჩუნებლად.

მფდ-სადმი მემკვიდრული მიდრეკილება, მაღალი ვარიაბელობით ხასიათდება და იგი პირდაპირ კავშირშია პოპულაციური პოლიმორფიზმის სიძლიერესთან. რადგანაც ეთნიკური ჯგუფები გენთა სხვადასხვა ალელს ატარებს, რომლებიც, ასევე, განსხვავებულ ალელურ და არაალელურ გარემოცვაში იმყოფება, განსხვავებულად ზემოქმედებს სხვადასხვა ინფექციური პათოგენის გამოვლენის

ხარისხზეც. ეს განსაკუთრებით ეხება იმუნოგენეტიკურ ლოკუსებს. ამაზე მიუთითებს ქრონიკული დაავადებების გამოვლენის განსხვავებული სიხშირე პოპულაციებში, მაშინაც კი, თუ ისინი მიგრირების გამო მსგავს გარემოში ან კიდევ, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ცხოვრობენ ან იკავებენ სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს.

ტუბერკულოზის მიმართ მსოფლიოს სხვადასხვა, მათ შორის, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე მცხოვრებ პოპულაციაში ერითროციტური ჯგუფური ანტიგენების მიმართ ვლინდება განსხვავებული ასოციაციური კავშირები. იაპონურ და ესკიმოსურ პოპულაციაში ფილტვის ტუბერკულოზი ასოცირდება B ანტიგენთან, შესაბამისად, B(III) და AB(IV) ფენოტიპებთან (Saha 1985); ინდურ პოპულაციაში B(III) და A(II) ფენო-ჯგუფთან (Seth et al, 2003); ინდოეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ანდრას რეგიონის პოპულაციაში B(III) და AB(IV) ფენოტიპურ ჯგუფებთან და Rh⁻⁻ ფაქტორთან (Rao & Reddy et al, 2012) და აშ.

დაავადებების მიმართ პოპულაციების მგრძნობლობის და მისი განმსაზღვრელი განსხვავებული ფაქტორების არსებობის გამო მათი გამოვლენის და შედარების მიზნით, ერთ-ერთ საკვლევ ჯგუფად აღებული იქნა საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანული პოპულაცია. ამ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული საქართველოს მოქალაქეების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრის აზერბაიჯანელი ეროვნების პაციენტიების კვლევის პირველ ეტაპზე ერითროციტური ჯგუფური სისტემის ალელების გავრცელების სიხშირე შესწავლილი იქნა ყველა ტიპის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტში. დონორების შესახებ მონაცემები აღებული იქნა ლიტერატურული წყაროდან.

კვლევის მეორე ეტაპზე საკვლევ პოპულაციაში გამოყოფილი იქნა ტუბერკულოზის წამალრეზისტენტული და სენსიტიური ფორმით დაავადებული პაციენტების საკვლევი ჯგუფები.

ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ აზერბაიჯანულ პოპულაციაში ერითროციტური ჯგუფური ABO სისტემის ალელთა კვლევისას ჯანმრთელებთან შედარებით დაავადებულ პოპულაციაში q ალელის მნიშნელოვნად მაღალი სიხშირე

დაფიქსირდა. კერძოდ, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებით, დაავადებულ პოპულაციაში მისი გავრცელების სიხშირე 0.293-ს შეადგენდა, მაშინ, როცა ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, დონორულ პოპულაციაში მისი გავრცელების სიხშირე მხოლოდ 0,125-ია. აღნიშნული მიუთითებს, რომ ABO სისტემის q ალელის გავრცელება დაავადებულ პოპულაციაში 2.3-ჯერ აღემატება მის გავრცელებას ჯანმრთელ პოპულაციაში.

შევისწავლეთ ამ სისტემის r ალელის გავრცელების სურათიც. აღმოჩნდა, რომ იგი თანაბარი სიხშირით არის წარმოდგენილი ორივე საკვლევ ჯგუფში, p ალელი კი 2,51-ჯერ მაღალი სიხშირით არის გავრცელებული დონორებში (დიაგრ.25).

დაავადების წამალრეზისტენტულ და სენსიტიურ ფორმებში q ალელი თანაბრად მაღალი (0,31-0,29) მაჩვენებლით დაფიქსირდა. მისი გავრცელების სიხშირე დაავადების ფორმების შესაბამისად, 2,48 - 2,32-ჯერ მაღალია, ვიდრე ჯანმრთელ პოპულაციაში (დიაგრ.25):



დიაგრ. 25. ABO სისტემის r, p, q ალელების გავრცელება ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ და ჯანმრთელ ადამიანებულ პოპულაციაში

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა P ალელის ანალიზის შედეგები. მისი სიხშირე დონორებში 3,48 -ჯერ მაღალი აღმოჩნდა წამალრეზისტენტულ და 1.99-ჯერ მაღალი - სენსიტიური ტუბერკულოზის შემთხვევებში დაფიქსირებულ მაჩვენებლებზე

(დიაგრ.26). აღნიშნული ალელი აზერბაიჯანულ პოპულაციაში შეიძლება განვიხილოთ დაავადების მიმათ ორგანიზმის მდგრადობის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის.



დიაგრ. 26. ABO სისტემის r, p, q ალელთა კონცენტრაცია ფილტვის სენსიტიური და წამალრეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ და ჯანმრთელ აზერბაიჯანულ პოპულაციაში

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, დაბეჯითებით ვთქვათ, რომ q ალელი აზერბაიჯანულ პოპულაციაში ასოცირდება ფილტვის ტუბერკულოზის, როგორც წამალრეზისტენტულ, ასევე დაავადების სენტიტიურ ფორმასთან, p ალელის მატარებლობა კი განსაზღვრავს დაავადების მიმართ ორგანიზმის მდგრადობას და იგი შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ დამცველ ფაქტორად.

Rh სისტემის ალელების კვლევისას აზერბაიჯანულ პოპულაციაში დაფიქსირდა Rh-"d" ალელის 1,23-ჯერ მაღალი (0,37) სიხშირე ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულებში დონორებთან (0,30) შედარებით (დიაგრ.27):



დიაგრ. 27. Rh სისტემის ალელების გავრცელების თავისებურება ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ და ჯანმრთელ ა ზერბაიჯანულ პოპულაციაში

28-ე დიაგრამიდან ჩანს, რომ მიღებული შედეგები ანალოგიურია ტუბერკულოზის წამალრეზისტენტულ და სენსიტიურ პაციენტებში და მისი გავრცელების სიხშირე შეადგენს 0.63-ს. დაავადების ორივე ფორმისას RhD"-" ალელი 1.23-ჯერ მაღალი სიხშირით დაფიქსირდა ჯანმრთელ პოპულაციასთან შედარებით.



დიაგრ. 28. Rh D ალელის გავრცელების თავისებურება რეზისტენტული და სენსიტიური ტუბერკულოზით დაავადებულ და ჯანმრთელ ა ზერბაიჯანულ პოპულაციაში

აქედან გამომდინარე, შეიძლება, რომ ტუბერკულოზისადმი მგრძნობელობის ფაქტორად აზერბაიჯანულ პოპულაციაში რეზუს უარყოფითობა მივიჩნიოთ.

MN სისტემის ალელთა კვლევისას გამოიკვეთა, რომ ტუბერკულოზი აღნიშნულ პოპულაციაში კორელირებს p (M) ალელთან. მისი კონცენტრაცია დაავადებულებში 0,701-ის, დონორებში კი 0,61-ის ტოლია (დიაგრ.29):



დიაგრ. 29. MN სისტემის ალელების გავრცელება ტუბერკულოზით დაავადებულ და ჯანმრთელ აზერბაიჯანულ პოპულაციაში

რაც შეეხება MN სისტემის q ალელს, იგი დონორულ პოპულაციაში წარმოდგენილია შედარებით მაღალი სიხშირით (0,39) დაავადებულებთან შედარებით (0,29) (დიაგრ.29).

მსგავსი სურათი გამოიკვეთა ფილტვის ტუბერკულოზის ორივე ფორმის შემთხვევაში. P(M) ალელის გავრცელების სიხშირე თანაბრად მაღალი მაჩვენებლით დაფიქსირდა (დიაგრ.30):



დიაგრ. 30. MN სისტემის ალელების გავრცელება სენსტიური და წამალრეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ და ჯანმრთელ აზრბაიჯანელ პოპულაციაში

დაავადების როგორც სენსიტიური, ისე წამალრეზისტენტული ფორმის შემთხვევაში მსგავსი შედეგი გამოიკვეთა. ორივე ფორმის ტუბერკულოზი აზერბაიჯანულ პოპულაციაში თანაბარი სიძლიერით კორელირებს p ალელთან და მისი მატარებელი ინდივიდები შეიძლება ჩაითვალოს ტუბერკულოზით ინფიცირების რისკ-ჯგუფებად. რაც შეეხება q ალელს, დიდი ალბათობითაა შესაძლებელი, იგი განხილულ იქნეს ტუბერკულოზის მიმართ ორგანიზმის მდგრადობის ერთ-ერთ ფაქტორად.

III.1.2. ერითროციტური ABO (r,p,q), Rh-Hr (RhD+,RhD-) დაMN (p,q) ჯგუფური სისტემის ალელთა გავრცელების შედარებითი ანალიზი ტუბერკულოზით დაავადებულ ქართულ და აზერბაიჯანულ პოპულაციებში

ცნობილია, რომ ქართული და აზერბაიჯანული პოპულაციები, კავკასიის მკვიდრი, შედარებით მსგავს გეოგრაფიულ სივრცეში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფებია. წლების მანძილზე გადამრჩევი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, ისინი კონკრეტულ საარსებო გარემოს შეეგუა მათი გენეტიკური სტრუქტურის ცვლილების საფუძველზე. რამდენადაც კავკასიის რეგიონი პათოგენების გავრცელებისა თუ დაავადებათა გამომწვევი ფაქტორების გამო საკმაოდ განსხვავებულია, შესაბამისად, აქ მცხოვრებ პოპულაციებს სხვადასხვა ტიპის დაავადებისადმი მგრძნობელობის თუ მდგრადობის განსხვავებული უნარი ჩამოუყალიბდათ.

ისევე, როგორც ბევრი სხვა გენეტიკური ნიშანი, ერითროციტური ჯგუფური ანტიგენებით დეტერმინირებული სისხლის ფენოტიპური ჯგუფების სიხშირეც არათანაბრად არის განაწილებული აზერბაიჯანულ და ქართულ პოპულაციებში. თუმცა, როგორც ქართულ, ასევე აზერბაიჯანულ პოპულაციაშიც დომინირებს სისხლის O(I) ფენოტიპური ჯგუფი.

პოპულაციურ-გენეტიკური კვლევებისთვის ალელების შესწავლა უფრო სარწმუნო ინფორმაციას იძლევა, ამიტომ კვლევას ერითროციტური ABO ჯგუფური სისტემის - (r (0), p (A) და q (B), რეზუს სისტემის - RhD“+“ და RhD“-„ და MN სისტემის - p (M) და q (N) ალელების დონეზე ვაწარმოებდით.

კვლევის შედეგად გამოვლინდა გარკვეული თავისებურება ABO და Rh-Hr სისტემის ალელთა გავრცელების მიხედვით, ქართულ და აზერბაიჯანულ როგორც დონორულ, ისე დაავადებულ პოპულაციებში.

აღმოჩნდა, რომ ქართულ და აზერბაიჯანულ პოპულაციებში ABO სისტემის r, p და q ალელების სიხშირეს შორის თანაფარდობა განსხვავებულია. ქართულ პოპულაციაში r ალელის კონცენტრაცია 0,69-ის ტოლია, აზერბაიჯანულში 0,596-ს შეადგენს, ანუ ქართულ პოპულაციაში მისი გავრცელების სიხშირე 1.15-ჯერ მაღალია,

ვიდრე აზერბაიჯანულში. თუმცა, r ალელი ორივე პოპულაციაში გავრცელების მხრივ პირველ ადგილს იკავებს, მომდევნო ადგილზე p ალელი დგას, ხოლო ყველაზე მცირე სიხშირით, როგორც ქართულ, ისე აზერბაიჯანულ პოპულაციაში q ალელია წარმოდგენილი. მათი გავრცელების რიცხობრივ მაჩვენებლებს შემდეგი სახე აქვს:

- P ალელის კონცენტრაცია აზერბაიჯანულ პოპულაციაში 0,279-ის, ხოლო ქართულში - 0,09-ის ტოლია, ანუ აზერბაიჯანულ პოპულაციაში იგი 3.1-ჯერ მაღალი კონცენტრაციითაა წარმოდგენილი;
- q ალელის სიხშირე აზერბაიჯანულ პოპულაციაში 0,125-ს შეადგენს, ხოლო ქართულ პოპულაციაში 0,23-ს უტოლდება, ანუ 1.92-ჯერ მაღალი სიხშირით გავრცელებული ქართულ პოპულაციაში.

ფილტვის ტუბერკულოზთან ABO სისტემის r, p და q ალელების კორელაციის შესასწავლად ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ორივე ეთნიკური ჯგუფი განსხვავებულად ავლენს კორელაციას ფილტვის ტუბერკულოზთან.

აღმოჩნდა, რომ ფილტვის ტუბერკულოზთან ქართულ პოპულაციაში r ალელი კორელირებს, სადაც იგი 1.08-ჯერ მაღალი სიხშირითაა წარმოდგენილი დონორულ პოპულაციასთან შედარებით, მაშინ, როცა r ალელი აზერბაიჯანულ პოპულაციაში დონორებშია უფრო მაღალი (0,596) კონცენტრაციით წარმოდგენილი, ვიდრე დაავადებულ პოპულაციაში (0,557).

საინტერესო სხვაობა დაფიქსირდა, ასევე, p და q ალელების კვლევისას. ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ ქართულ პოპულაციაში p ალელი თანაბრად არის განაწილებული დაავადებულ და დონორულ პოპულაციაში, ხოლო დაავადებულ აზერბაიჯანულ პოპულაციაში აღნიშნული ალელის მატარებლობა აშკარად განაპირობებს ორგანიზმის მდგრადობას ფილტვის ტუბერკულოზის მიმართ. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ p ალელი დაავადებულთან შედარებით 2.5-ჯერ მაღალი კონცენტრაციითაა წარმოდგენილი ჯანმრთელ აზერბაიჯანულ პოპულაციაში (0,279) (ცხრ. 4).

ტუბერკულოზთან q ალელი ქართულ პოპულაციაში არანაირ კორელაციას არ ავლენს, აზერბაიჯანულ პოპულაციაში კი აშკარად კორელირებს დაავადებასთან. ამ

დასკვნის საფუძველს ის ფაქტი იძლევა, რომ დაავადებულ აზერბაიჯანულ პოპულაციაში q ალელი 2,34-ჯერ მაღალი სიხშირითაა წარმოდგენილი დონორებთან შედარებით.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფილტვის ტუბერკულოზი ქართულ პოპულაციაში ასოცირდება ABO სისტემის r ალელთან, აზერბაიჯანულ პოპულაციაში კი - q ალელთან.

რეზუს სისტემის Rh-D და Rh“d„ ალელების კვლევისას ეთნიკურ ჯგუფებში დაფიქსირდა ალტერნატიული შედეგები. ფილტვის ტუბერკულოზი ქართულ პოპულაციაში კორელირებს Rh-D ალელთან, ხოლო აზერბაიჯანულ პოპულაციაში - Rh-“d„ ალელთან.

შესწავლილი იქნა MN სისტემის ალელების სიხშირე ორივე ეთნიკური ჯგუფის ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნული სისტემის ალელები ორივე ეთნიკურ ჯგუფში მსგავს კორელაციას ავლენენ დაავადებასთან. კერძოდ, p(M) ალელის კვლევისას ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ ქართულ პოპულაციაში მისი გავრცელების სიხშირე 0,73-ს შეადგენს ანუ 1.12-ჯერ მაღალია დონორულ პოპულაციასთან მიმართებაში. აზერბაიჯანულ პოპულაციაში კი იგივე ალელი 1.14 -ჯერ მაღალი იყო დაავადებულ პაციენტებში.

q(N) ალელი ორივე საკვლევი პოპულაციისთვის, სავარაუდოდ, ტუბერკულოზი-სადმი მდგრადობის განმაპირობებელ ალელს შეიძლება მივაკუთვნოთ. მისი კონცენტრაცია თანაბრად - 1.34-ჯერ ნაკლებია დაავადებულებში, როგორც ქართული, ასევე აზერბაიჯანული პოპულაციისთვის, ხოლო ჯანმრთელ პოპულაციაში სარწმუნოდ მაღალი კონცენტრაციით (0.29) - ქართულ და 0.39 - აზერბაიჯანულ პოპულაციაში.

გენეტიკური მარკერები	*ალელები*	*საკვლევი ჯგუფები*			
		ფ. ტბ ქართ. პოპ.	*ფ.ტბ. აზერ. პოპ.*	*დონორი ქართ. პოპ.*	*დონორი აზერ.პოპ.*
ABO	r (0)	**0.739**	0.557	0.68	**0.596**
	p (A)	0,85	0.111	0.09	0.279
	q (B)	0,185	**0.293**	0.23	**0.125**
Rh-Hr	RhD+	0.57	0.63	0.54	0.699
	RhD-	0.25	0.37	0.43	0.301
M N					
	M(P)	0.73	0.701	0.65	0.61
	N(q)	0.26	0.29	0.35	0.39
		n =203	n=92	n=485	

ცხრ. 4. ABO, Rh და NM სისტემის ალელების გავრცელების თავიებურებანი ქართულ და აზერბაიჯანულ დონორებში და ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ პოპულაციებში.

ფილტვის ტუბერკულოზთან ABO და Rh ერითროციტური ჯგუფური სისტემების ალელთა განსხვავებული კორელაციური კავშირი და MN სისტემის ალელთა მსგავსი კორელაციის გამოვლენა დაავადებასთან ქართულ და აზერბაიჯანულ პოპულაციაში, შესაძლებელია, აიხსნას პოპულაციურ დონეზე მუდმივად მოქმედი ელემენტარული ევოლუციური ფაქტორების შედეგად (გენების დრეიფი, მუტაციური პროცესი, გენური ნაკადები, იზოლაცია, ბუნებრივი გადარჩევა და ა.შ.), რის საფუძველზეც ზემოთ განხილული ანტიგენური დეტერმინანტების მიხედვით ჩამოყალიბდა ბალანსური პოლიმორფიზმი. ერითროციტური ჯგუფური სისტემების განმაპირობებელ და მის გარემოცვაში მყოფ სხვა იმუნოგენეტიკურ ლოკუსებს შორის დამყარდა გარკვეული წონასწორული ბალანსი, რამაც განაპირობა ABO, Rh და MN სისტემის ალელთა სპეციფიკური ასოციაციური კავშირების ჩამოყალიბება ფილტვის ტუბერკულოზის მიმართ ქართულ და აზერბაიჯანულ პოპულაციებში.

III.2. IgM, IgG და IgA იმუნოგლობულინების დონე ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულებში

ბოლო ათწლეულებში იმუნოლოგიური კვლევის ტექნიკის დახვეწამ განაპირობა მზარდი ინტერესი ანტიტუბერკულინური იმუნური პასუხის უკეთ გასაგებად და ამ მიმართულებით მრავალი მეცნიერული კვლევა იქნა ჩატარებული მსოფლიოს სხვადასხვა პოპულაციაში.

Mycobacterium tuberculosis-ით ორგანიზმის ინფიცირების შემდეგ მნიშვნელოვან როლს ასრულებს უჯრედული (სპეციფიკური) იმუნური პასუხი. უჯრედშიდა პათოგენის კონტროლს და მის განადგურებას T-უჯრედების ეფექტორული მექანიზმები უზრუნველყოფს (Bothamley et al., 1995). ადრე ფიქრობდნენ, რომ ჰუმორული იმუნური პასუხის დამცველობითი როლი მინიმალური იყო ტუბერკულოზური ინფექციისას. მაგრამ მეცნიერთა ინტერესის გაძლიერებამ და კვლევების სპექტრის გაფართოებამ აჩვენა, რომ ანტიგენით გააქტივებული B- უჯრედები და მათ მიერ სინთეზირებული ანტისხეულები ანტიტუბერკულოზური იმუნიტეტის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ანტიგენ-ანტისხეულის რეაქციები აჩქარებს დენდრიტული უჯრედების, მაკროფაგების და ანტიგენ- სპეციფიკური T-ლიმფოციტების ლოკალურ აკუმულაციას დაზიანებულ კერებში და ზრდის მიკობაქტერიის მიმართ უჯრედულ იმუნურ პასუხს (Dannenberg, 2006; Palomino et al., 2007). IgA-ს მნიშვნელოვანი როლი აკისრია მიკობაქტერიისგან ორგანიზმის დაცვაში. იგი ლორწოვანი გარსების მთავარი იმუნოგლობულინია (Julian et al.,2000; de Larrea et al.,2006). გარდა IgA-სა, IgG-ც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტუბერკულოზური ინფექციის მართვის პროცესში.

მიკობაქტერიული ანტიგენით აქტივირებული T-უჯრედები ურთიერთქმედებენ B-უჯრედებთან, რომლებიც, თავის მხრივ, ჯერ IgM-ს ასინთეზებენ, ხოლო მოგვიანებით, ინფექციური პროცესიდან აღდგენის პერიოდში ხდება IgG-ს სინთეზი, რომელიც სპეციფიკურად ანადგურებს შეჭრილ მიკროორგანიზმს. იგივე მიკროორგანიზმის ხელმეორედ შეიჭრისას მასპინძელ ორგანიზმში B უჯრედები

დაუყოვნებლივ წარმოქმნიან სპეციფიკურ IgG ანტისხეულებს მიკრობის გასანადგურებლად (Jain et al.,1984, Palomino et al.,2007).

სხვადასხვა პათოგენის მიმართ ორგანიზმის მიერ პროდუცირებული ანტისხეულები საკმაოდ ძლიერ მარკერებს წარმოადგენენ ინფექციური დაავადების დიაგნოსტიკის თვალსაზრისით და მათი გამოვლენა საკმაოდ იაფი და მარტივია, ამიტომ სეროლოგიურმა დიაგნოსტიკამ კარგად მოიკიდა ფეხი (Silva et al., 2003). მიკობაქტერიის წინააღმდეგ განვითარებული ჰუმორული იმუნური პასუხი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტუბერკულოზის ადრეული სეროდიაგნოსტიკის საქმეშიც (Bothamley, 1995; Lenka, 2003; Demkow et al., 2005; Demkow et al., 2006; Senol, 2006; Liu et al., 2007; Araujo et al., 2008; Bezerra et al., 2009). ტუბერკულოზის შემთხვევაში სეროლოგიური ტესტების სპეციფიკურობა მას შემდეგ გაუმჯობესდა, რაც გამოვლენილი იქნა მიკობაქტერიული კომპლექსის მაღალ-სპეციფიკური და რეკომბინანტული ანტიგენები (Demkow et al., 2002).

მიკობაქტერიის მრავალფეროვანი ანტიგენური დეტერმინანტების (პოლიპეპტიდები, რომლებიც თრგუნავენ მაკროფაგების ფუნქციას და იწვევენ უჯრედულ იმუნურ პასუხს: მოლეკულური მასის ცილოვანი ანტიგენები 71, 65, 38, 36, 23, 19, 16, 14 და 12კდ, რომელთაგან 36კდ და 16კდ დომინანტური ანტიგენებია, პოლისაქარიდები - II-არაბინომანანი (LAM), რომელიც თრგუნავს T-უჯრედების პროლიფერაციას) წინააღმდეგ ორგანიზმი გამოიმუშავებს სხვადასხვა კლასის (IgA, IgG, IgM) სპეციფიკურ ანტისხეულებს, რომელთა აღმოჩენა შეიძლება პაციენტის შრატში იმუნოფერმენტული (ELISA) მეთოდით (Tomoka et al., 1990; Demkow et al., 2002; Beck et al., 2005).

ანტიტუბერკულოზური ჰუმორული იმუნური პასუხისას, აქტიური ტუბერკულოზის დროს გამომუშავებული ანტისხეულები ძირითადად IgM და IgG კლასისაა. აღნიშნული ანტისხეულები ავლენენ მაღალ სპეციფიკურობას და მგრძნობელობას მიკობაქტერიის ანტიგენური დეტერმინანტების მიმართ (Julian et al., 2004; Bam & Karn., 2009). მკვლევართა მეორე ჯგუფის მიერ ჩატარებულ გამოკვლევებში

ნაჩვენებია, რომ მიკობაქტერიული ინფექციისას მნიშვნელოვანია, ასევე, IgA (Julian et al., 2004).

ნაკლებადაა შესწავლილი იმუნური სისტემის მდგომარეობა დაავადების სხვადასხვა კლინიკური ფორმის დროს. ცნობილია, რომ დაავადების სტადიების მიხედვით იმუნოგლობულინების დონე ცვალებადობს. დაავადების მეორე სტადიაზე მნიშვნელოვნად იზრდება IgG, IgA და IgM დონე პირველ სტადიასთან შედარებით, მესამე სტადიაზე - IgG და IgA დონე. დაავადების კლინიკურ ფორმებში ცნობილია, რომ IgG-ის დონე მაღალია ტუბერკულოზის ექსუდაციური და კავერნოზული დაზიანებებისას ფიბრო-პროდუქციულ და ფიბროკავერნოზულ ფორმასთან შედარებით (Jain et al.,1984). ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ორგანიზმის ჰუმორული იმუნური პასუხი დაავადების კეროვანი, ფიბრო-კავერნოზული და რღვევის ფაზაში მყოფი ინფილტრაციული ფორმის დროს. ამასთანავე, რადგანაც ტუბერკულოზის მძიმე კლინიკური ფორმები ხშირ შემთხვევაში ასოცირდება ბაქტერიის რეზისტენტობის ჩამოყალიბებასთან, სწორედ ამიტომ, იგივე კვლევა განვახორციელეთ ტუბერკულოზის რეზისტენტული და წამლის მიმართ სენსიტიურ ფორმებში. ამასთანავე, მიკობაქტერიული ინფექციისას ანტისხეულების დონე დაავადების წამალრეზისტენტულ ფორმებში თითქმის შეუსწავლელია.

გამოკვლეული იქნა სამი კლასის იმუნოგლობულინების - IgG, IgM და IgA დონე ფილტვის ტუბერკულოზის სენსიტიური და რეზისტენტული ფორმისას და ასევე, დაავადების კეროვანი, ფიბრო–კავერნოზული და რღვევის ფაზაში მყოფი ინფილტრაციული ფორმების დროს. საერთო იმუნოგლობულინების დონის შესწავლის გარდა, კვლევას ვატარებდით სპეციფიკური ანტიტუბერკულინური იმუნოგლობულინების ჯამური (Ig G+M+A) დონის შესწავლის მიზნითაც.

გამოკვლეული 30 პაციენტიდან (ასაკობრივი ჯგუფი 16–73 წლამდე), 15 იყო ფილტვის ტუბერკულოზის კეროვანი ფორმის მქონე, ხოლო 15 - ინფილტრაციული ტუბერკულოზით რღვევის ფაზაში. საკონტროლო მასალად აღებული იქნა იმავე ასაკობრივი ჯგუფის 30 ჯანმრთელი მოხალისე. ასევე, გამოკვლეული იქნა ანტისხეულების ტიტრი წამალრეზისტენტული და წამალთა

მიმართ სენსიტიური ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში (30– სენსიტიური, 30– წამალრეზისტენტული ფორმით). სენსიტიური ფორმის მქონე 30 პაციენტიდან ხუთი, ხოლო რეზისტენტული 30 პაციენტიდან რვა იყო მდედრობითი სქესის.

ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად გამოვლინდა, რომ ფილტვის ტუბერკულოზისას, ჩვეულებრივ, IgG კლასის სპეციფიკური ანტისხეულები ჭარბობს, IgM ანტისხეულები, უფრო მეტად, დაავადების საწყის სტადიაზე ჩნდებიან, ხოლო IgA გვხვდება უფრო იშვიათად, ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ ჯამური ანტისხეულების განსაზღვრა.

მიკობაქტერიის საწინააღმდეგო სპეციფიკური ჯამური ანტისხეულების შესწავლისას ფიბრო-კავერნოზული, ინფილტრაციული რღვევის ფაზაში მყოფი და კეროვანი ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში ჯამური ანტისხეულების (IgG + M + A) დონე მნიშვნელოვნად მაღალი აღმოჩნდა ფიბრო-კავერნოზული (საშუალო მაჩვენებელია 0,695±0.01) და რღვევის სტადიაში მყოფი ინფილტრაციული (საშუალო მაჩვენებელი - 0,687 0.01) ტუბერკულოზის მქონე პაციენტებში, საკონტროლო, ჯანმრთელ პოპულაციასთან შედარებით. მიღებული მონაცემების თანახმად აღნიშნული მაჩვენებლის საშუალო სიდიდე 0,257 იყო, სარწმუნოობის მაჩვენებელი შეადგენდა P<0,05. ჯამური იმუნოგლობულინები მნიშვნელოვნად მაღალი ტიტრით დაფიქსირდა კეროვანი ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში, სადაც იგი შეადგენდა 0,489±0.01, ხოლო P<0,001 (დიაგრ. 31).

საკონტროლო ჯგუფი	კეროვანი	ინფილტრ. რღვ. ფაზა	ფიბრ/კავ.
0.257±0.03	0.489±0.01	0.687±0.01	0.695±0.01



დიაგრ. 31. ჯამური (IgG, IgA, IgM) ანტისხეულების საშუალო ოპტიკური სიმკვრივე ტუბერკულოზის სხვადასხვა სტადიაზე (1-საკონტროლო ჯგუფი, 2- კეროვანი, 3- ინფილტრაციული ტბ რღვევის ფაზაში, 4-ფიბრო-კავერნოზული, ოპტ. – 405 ნმ)

როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, ტუბერკულოზური დაავადების სხვადასხვა კლინიკური ფორმისას სპეციფიკური იმუნოგლობულინების დონე განსხვავებულია. ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ დაავადების გართულებული მიმდინარეობისას, რომელსაც თან ახლავს ფილტვის ქსოვილის დესტრუქციული ცვლილებები, ორგანიზმის იმუნური სისტემის ჰუმორული რგოლი რეაგირებს IgE-ის სინთეზის გაძლიერებით IgG-ის სინთეზის დათრგუნვის ფონზე, ხოლო IgM და IgA-ს კონცენტრაცია პრაკტიკულად არ იცვლება (Jain et al., 1984; Rohini et al., 2012). თუმცა, ჩვენს შემთხვევაში დაავადების ფორმის სიმძიმესთან ერთად სპეციფიკური ჯამური ანტისხეულების დონე მატულობს. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ფიბრო–კავერნოზული ტუბერკულოზის დროს, თუმცა, ეს მაჩვენებელი დიდად არ განსხვავდება ინფილტრაციული რღვევის ფაზაში მყოფი პაციენტების მაჩვენებლისაგან. როგორც ჩანს, დაავადების ფაზის სირთულესთან ერთად ადგილი აქვს იმუნოსტიმულაციას, რაც ანტისხეულების სინთეზის მატებაში გამოიხატება. სავარაუდოდ, ეს მაჩვენებებლი

შეიძლება დაგვეხმაროს დაავადების ფაზების დიფერენცირებულ დიაგნოსტიკაში, როგორც დამატებითი ინფორმაცია.

რადგან დაავადების ფაზებთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა იმუნოგლობულინების კონცენტრაციის ცვლილებებს, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, შეგვესწავლა, ახდენდა თუ არა გავლენას მკურნალობა ანტიბაქტერიულ ჰუმორულ იმუნიტეტზე. აღმოჩნდა, რომ სპეციფიკურ ანტისხეულთა ტიტრი ხანგრძლივად ნამკურნალევ პაციენტებში პირველად პაციენტებთან (ახალ დაწყებული მკურნალობით ან არანამკურნალევი) შედარებით უფრო მაღალი იყო (დიაგრ. 32), რაც სრულიად ადეკვატურია, რადგან ხანგრძლივი მკურნალობის ქვეშ, უმეტესად, წამალრეზისტენტული პაციენტები იმყოფებებოდნენ, რომლებშიც ბაქტერიის კონცენტაცია მაღალი უნდა იყოს და იმუნური სისტემა, შესაბამისად, ანტისხეულების მატებით პასუხობს.

სავარაუდოდ, ანტიტუბერკულინური ჯამური ანტისხეულების კონცენტრაციის შესწავლა ეფექტური იქნება მკურნალობის მონიტორინგის თვალსაზრისითაც.



დიაგრ. 32. სპეციფიკური ჯამური (IgG, IgA, IgM) ანტისხეულების დონე დონორებში, ნამკურნალევ და არანამკურნალევ პაციენტებში

ლიტერატურულ მონაცემებში არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტუბერკულოზით ავადობისას მნიშვნელოვნად მატულობს სპეციფიკური ანტიტუბერკულოზური IgG და მის განსაზღვრას აქვს დიდი მნიშვნელობა დაავადების

პროგნოზირების თვალსაზრისით. IgG-თან ერთად IgM-ს განსაზღვრის შემთხვევაში ბევრად იზრდება სპეციფიკურობა მიკობაქტერიული ანტიგენების მიმართ და, შესაბამისად, მისი პროგნოზული მნიშვნელობა აღწევს 88,5%-ს (Lenka, 2003; Bam & Karn 2009). აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯამური ანტისხეულების დონის განსაზღვრა უფრო ეფექტურია ამ თვალსაზრისით, ვიდრე თითოეულისა ცალ-ცალკე.

სპეციფიკური ანტიტუბერკულინური იმუნოგლობულინების ჯამური კონცენტრაცია, როგორც ჩანს, დამოკიდებულია დაავადების ფორმასა და ფაზაზე, ლოკალიზაციაზე და ორგანიზმში დაავადების გავრცელებაზე. ხშირად, დაავადების გამწვავებისას აღინიშნება ანტისხეულების კონცენტრაციის ტალღისებური ცვლილება (Jain et al., 1984). საერთო ჯამში, ანტისხეულური პასუხის სურათი ტუბერკულოზის დროს ძალიან ინდივიდუალური და რთულია. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ, ზოგადად ჰუმორული იმუნური პასუხის დადგენის მიზნით გამოგვეკვლია ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულებში საერთო იმუნოგლობულინების, კერძოდ, IgG, IgM და IgA-ს კონცენტრაციაც.

ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების სისხლის შრატში იმუნოგლობულინების (IgA, IgG, IgM) საერთო დონის განსაზღვრის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სამივე იმუნოგლობულინის - IgA, IgG და IgM დონე ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში მაღალი კონცენტრაციით დაფიქსირდა. განსაკუთრებით მაღალი იყო IgG-ს (1757,432) დონე, შემდეგ - IgM (437,8162) და IgA-ისა (363,1182), საკონტროლო ჯგუფთან (IgA - 235±233 მგ/დლ, IgG - 1150±636 მგ/დლ, IgM - 135±134 მგ/დლ.) მიმართებაში (დიაგრ. 33):



დიაგრ. 33. იმუნოგლობულინების IgG, IgA და IgM საერთო დონე (მგ/დლ) ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში და საკონტროლო ჯგუფში

ფილტვის ტუბერკულოზის წამალრეზისტენტულ და სენსიტიურ პაციენტებში იმუნოგლობულინების საერთო დონე შემდეგ სურათს იძლეოდა: სენსიტიურ ფორმებში - IgA - 362,16±214,35 მგ/დლ, IgG -1878,96±1093,88 მგ/დლ, IgM - 426,84±845,63 მგ/დლ, ხოლო წამალრეზისტენტულ ფორმებში - IgA - 381,49±225,71 მგ/დლ, IgG - 1696,91±1049,37 მგ/დლ, IgM - 467,70±948,56 მგ/დლ კონცენტრაციით დაფიქსირდა (დიაგრ.34):



დიაგრ. 34. იმუნოგლობულინების IgG, IgA და IgM საერთო დონე (მგ/დლ) ტუბერკულოზის წამალ-სენსიტიურ და წამალ-რეზისტენტულ ფორმებში და საკონტროლო ჯგუფში

IgG და IgM-ის დონე IgA-თან შედარებით, ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების შრატში (P<0.001) საკონტროლო ჯგუფთან (P<0.05) შედარებით მაღალი კონცენტრაციით დაფიქსირდა. IgA უმნიშვნელოდ მაღალი კონცენტრაციით იყო მომატებული ფილტვის ტუბერკულოზის, როგორც წამალრეზისტენტული, ისე სენსიტიური ფორმით დაავადებულებში (P<0.01) (დიაგრ. 34).

IgG დაავადების სენსიტიურ ფორმაში 1.107-ჯერ მაღალი იყო, ვიდრე წამალრეზისტენტულ ტუბერკულოზში. IgM და IgA-ს მიხედვით მნიშვნელოვანი სხვაობა არ გამოვლენილა, ორივე კლასის იმუნოგლობულინი საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, თანაბრად მაღალი კონცენტრაციით იყო წარმოდგენილი, როგორც სენსიტიურ, ისე წამალრეზისტენტული ტუბერკულოზის მქონე პაციენტებში (დიაგრ. 34).

იმუნოგლობულინების დონე ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში შესწავლილი იქნა სქესის მიხედვითაც. სენსიტიური ტუბერკულოზით დაავადებულ მდედრობითი სქესის ინდივიდებში შრატის იმუნოგლობულინების დონე შემდეგ სურათს იძლევა: IgA - 396,18±160მგ/დლ, IgG - 1865,0±915მგ/დლ და IgM - 295,5±208მგ/დლ; მამრობითი სქესის პაციენტებში კი – IgA - 348±214მგ/დლ, IgG - 1875±1146 მგ/დლ, IgM - 436±883მგ/დლ. აღნიშნული მონაცემი სამივე იმუნოგლობულინის, განსაკუთრებით კი IgG-ს შემთხვევაში, მაღალი იყო საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, სადაც იმუნოგლობულინების კონცენტრაციას შემდეგი სახე აქვს - IgA-ს დონე 235±233მგ/დლ-ია (P<0.05), IgG - 1150±636მგ.დლ (P<0.001) და IgM - 135±134მგ/დლ (P<0.05) (დიაგრ. 35).



დიაგრ. 35. იმუნოგლობულინების საერთო დონე (მგ/დლ) სენსიტიური ტუბერკულოზის მქონე ქალებსა და მამაკაცებში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით

დაავადების წამალრეზისტენტულ ფორმებშიც მსგავსი მონაცემები დაფიქსირდა. ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ მდედრობით და მამრობით პაციენტებში იმუნოგლობულინების მაჩვენებლებს შემდეგი სახე აქვს - IgA ქალებში-358±183მგ/დლ, მამაკაცებში-386,68±235მგ/დლ; IgG - ქალებში-1686±1048მგ/დლ, მამაკაცებში 1624.95±1158 მგ/დლ; IgM -ქალებში - 308±166 მგ/დლ, მამაკაცებში-521.93±893 მგ/დლ. (დიაგრ. 36).



დიაგრ. 36. იმუნოგლობულინების საერთო დონე (მგ/დლ) მდედრობითი და მამრობითი სქესის წამალრეზისტენტული ტუბერკულოზის მქონე პაციენტებში და საკონტროლო ჯგუფში

ლიტერატურული მონაცემებით, ჯანმრთელ პოპულაციაში IgM და IgG-ს კონცერნტრაციებში სქესის მიხედვით არსებითი განსხვავება არ ფიქსირდება. ჩვენს შემთხვევაში ტუბერკულოზის, როგორც სენსიტიური ისე წამალრეზისტენტული ფორმით დაავადებულებში IgM-ის დონე მამრობითი სქესის პაციენტებში მნიშვნელოვნად მაღალი (სენსიტიური ტბ - 436±883მგ/დლ წამალრეზისტენტული ტბ.- 521.93±893მგ/დლ) იყო, ვიდრე მდედრობითი სქესის პაციენტების სისხლის შრატში (სენსიტიური ტბ. - 295,5±208მგ/, წამალრეზისტენტული ტბ. - 521.93±893მგ/დლ) და საკონტროლო ჯგუფში (135მგ/დლ) (P<0.01) (დიაგრ.36). აღნიშნული შესაძლოა გამოწვეული იყოს ცხოვრების მათი წესიდან გამომდინარე. ანალოგიური შედეგები ფიქსირდება ლიტერატურულ წყაროებშიც (alarchon-Segovia & Fishbein, 1971; Maddison et al., 1975)

როგორც კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, ანტისხეულების მაღალი ტიტრს განპირობებდა IgG-ს კონცენტრაციის საგრძნობი მატება. აღნიშნული იმუნოგლობულინის დონე დაავადების, როგორც სენსიტიური, ისე წამალრეზისტენტული ფორმისას საგრძნობლად მაღალია საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (P<0.001). ეს ეხება, როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი სქესის პაციენტებს (დიაგრ.37).

სენსიტიური ტუბერკულოზის შემთხვევაში IgG-ს კონცენტრაცია ორთავე სქესის წარმომადგენლებში თანაბრად მაღალი მაჩვენებლით დაფიქსირდა (დიაგრ.36), ხოლო დაავადების რეზისტენტულ ფორმაში იგი 1.05-ჯერ მაღალი კონცენტრაციით - ქალებში, ვიდრე მამაკაცებში (დიაგრ.37).



დიაგრ. 37. იმუნოგლობულინ IgG –ს (მგ/დლ) დონე მდედრობითი და მამრობითი სქესის სენსიტიურ და წამალრეზისტენტულ პაციენტებში და საკონტროლო ჯგუფში

ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე, ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში სპეციფიკური ანტი-ტუბერკულოზური ანტისხეულების გამოვლენა მნიშვნელოვანია ტუბერკულოზის სხვადასხვა კლინიკურ ფორმაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რღვევის სტადიაში მყოფი ინფილტრაციული ტუბერკულოზისას და დაავადების ფიბროზულ/კავერნოზული ფორმისას, რადგან აღნიშნული მონაცემი შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც დამატებითი დიაგნოსტიკური მეთოდი. რადგან, ბაქტერიოსკოპული გამოკვლევები ხშირად არ იძლევა ზუსტი დიაგნოზის დასმის საშუალებას და ბავშვებში თითქმის არ გამოიყენება მასალის მოპოვების სირთულის გამო, ხოლო კულტურის მეთოდი ხანგრძლივ დროს მოითხოვს. საკმაოდ ზუსტი იმუნოფერმენტული ანალიზის (ELISA) მეთოდით პაციენტის შრატში არსებული სპეციფიკური ანტისხეულების ტიტრის განსაზღვრა დაავადების ადრეულ სტადიაზე დაავადების ადრეული დიაგნოსტირების საშუალებას იძლევა (Bam& Karn 2009).

იმუნოგლობულინების საერთო დონის განსაზღვრის შედეგად ჩვენს მიერ მიღებული შედეგები ემთხვევა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მონაცემებს, რომლის თანახმად სპეციფიკურ IgG ანტისხეულს აქვს მაღალი სპეციფიკურობა და მგრძნობელობა მიკობაქტერიული ანტიგენების მიმართ. თუ IgG-თან ერთად IgM-ის დონის განსაზღვრა მოხდება, მნიშვნელოვნად იზრდება დიაგნოსტირების

სპეციფიკურობის ხარისხი, რასაც ტუბერკულოზის დიაგნოსტირებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს (Bam & Karn, 2009).

რაც შეეხება ჰუმორულ იმუნურ პასუხს (იმუნოგლობულინების საერთო კონცენტრაცია), ფილტვის ტუბერკულოზის სენსიტიური და რეზისტენტული ფორმებისას მნიშვნელოვან სხვაობას არ იძლევა და ორგანიზმი დაავადების ორივე ფორმის დროს ავითარებს მსგავს იმუნურ პასუხს, რაც გამოიხატება IgG-ს დონის მნიშვნელოვან მატებაში.

ჩვენს მიერ მიღებული შედეგები, ამ მხრივ, ემთხვევა სხვა ავტორების მონაცემებს (Fabio et al., 1994; Lenka et al., 2003), რომლებიც აღნიშნავენ, რომ ტუბერკულოზური პათოლოგიისას ორგანიზმში მნიშვნელოვნად იზრდება IgG ანტისხეულების დონე.

III.3. SLC11A1 გენის D543N ლოკუსის პოლიმორფიზმის შესწავლა ფილტვის ტუბერკულოზის წამალრეზისტენტული და სენსიტიური ფორმებით დაავადებულ პაციენტებში

ტუბერკულოზის მიმართ ორგანიზმის წინასწარგანპირობებულობაში მონაწილე კანდიდატ გენებს (TLR (Medzhitov, 2001; Krutzik et al, 2001), MHC (HLA) (Palomino et.al 2007; Taype et.al. 2010), IFN-γ Hill 2006; Taype et al., 2006), TGF (Moore et al., 2001; Niimi et al., 2002; Henao et al., 2006; Oral et al., 2006; Mak et al., 2007), VDR (Prithvi R. et.al. 2011) შორის ყველაზე მეტად ბუნებრივ მდგრადობასთან ასოცირებული გენი SLC11A1-ია შესწავლილი. მის მიერ კოდირებული მაკროფაგული ცილა 1 (NRAMP1) მონაწილეობს რკინის იონების მემბრანულ ცვლაში, რის შედეგადაც ხდება მაკროფაგების აქტივაცია და მასპინძლის ანტიმიკრობული რადიკალების გენერალიზება, რასაც მნიშვნელოვანი დამცველობითი ფუნქცია აქვს მიკობაქტერიის წინააღმდეგ განვითარებულ იმუნურ პასუხში (Blackwell et al, 2000, 2003; Goswami et al, 2001).

საქართველოში ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტებში, რომლებიც ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენდა, დაავადების წინასწარ-განპირობებულობაში თუ მის კლინიკურ განვითარებაში მონაწილე კანდიდატი გენები შეუსწავლელია. ქვეყანაში წამალრეზისტენტული ტუბერკულოზის მაღალი პრევალენტობის და მის ზოგიერთ ეთნოტერიტორიულ ჯგუფში [შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, აჭარის, იმერეთის და სამეგრელოს რეგიონები (USAID 2007)], დაავადების მაღალი გავრცელების გამო საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია.

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა SLC11A1 გენის D543N ლოკუსი მისი პოლიმორფული ვარიაციების, ფილტვის ტუბერკულოზის წამალრეზისტენტულ ფორმებთან შესაძლო ასოციაციური კავშირის გამოვლენის მიზნით.

SLC11A1 მოთავსებულია მე-2 ქრომოსომის გრძელი მხრის 36.1 ლოკუსში (2q36.1) (სურ. 13):



სურ. 13. SLC11A1 გენის ლოკუსი მე-2 ქრომოსომაში.

SLC11A1 გენის ოთხ სხვადასხვა ლოკუში (სქემა.1) გამოვლენილი - 5´(GT)n (მიკროსატელიტური უბანი G/T ცვალებადი რაოდენობის განმეორებადი თანმიმდევრობები (n) SLC11A1 5'-დან); INT4 (ერთნუკლეოტიდიანი ცვლილება მე-4 ინტრონში 4: 469+14G/C-ში); **D543N** (მე-15 ეგზონის 543 კოდონში მომხდარი ცვლილებით, რომელიც იწვევს ასპარაგინის მჟავის ასპარტამით შეცვლას); 3´ UTR (a TGTG დელეცია, რომელიც ხდება მე-15 ეგზონის უკანასკნელ 55-ე ნუკლეოტიდურ წყვილში, 15:1729+55del4) - პოლიმორფიზმი მსოფლიოს სხვადასხვა პოპულაციაში არათანაბრად არის გავრცელებული და არათანაბრად ასოცირდება ტუბერკულოზთან.



სქემა 1. SLC11A1 პოლიმორფული ლოკუსები

მაგალითად, აზიური ქვეყნების პოპულაციებში გამოვლინდა 5'(GT)n, 3'UTR, D543N ლოკუსების პოლიმორფიზმის ასოციაციური კავშირი ტუბერკულოზთან, მაშინ, როცა ევროპულ პოპულაციაში მოცემული ოთხი ლოკუსიდან არც ერთი მათგანის პოლიმორფიზმთან არ დაფიქსირდა ტუბერკულოზის ასოციაციური კავშირი.

ყველაზე დაბალი სიხშირით ტუბერკულოზის დროს მეოთხე ინტრონში (INT4) მომხდარი მუტაციები ფიქსირდება (Takahashi, 2008; Li 2006). ზანგისა და მისი თანამშრომლების (Zhang et al., 2005) მიხედვით, INT4 და D543N-ის პოლიმორფიზმი ასოციაციურ კავშირშია ინფიცირების შემდეგ ტუბერკულოზის მძიმე ფორმის პროგრესირებასთან. SLC11A1-ს ზემოთ აღნიშნულ ალელთა პოლიმორფიზმის ასოციაციური კავშირი ტუბერკულოზის მძიმე ფორმასთან დადასტურებული იქნა ტარაკაშის და მისი თანამშრომლების მიერ იაპონურ პოპულაციაში. ამავე ავტორების მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოითქვა ვარაუდი, რომ SLC11A1–ს პოლიმორფიზმი ასოციაციურ კავშირშია ტუბერკულოზის წამალრეზისტენტულ ფორმასთან (White et al., 1994; Liu et al., 1995; Takahashi et al., 2007).

